

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების,
მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტი

მალვინა ჯიბლაძე

**ტრანსნაციონალური კომპანიები გლობალურ ბიზნესსა და
სოციალურ გარემოში: პრობლემები, შესაძლებლობები,
ტენდენციები (სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე)**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი

დისერტაცია

სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება
სამეცნიერო ხელმძღვანელები: საჯარო მმართველობის დოქტორი/
ასოცირებული პროფესორი ირაკლი მანველიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი/
პროფესორი თეიმურაზ შენგელია

ბათუმი - 2021

„როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მალვინა ჯიბლაძე

ხელმოწერა:

თარიღი:

სარჩევი

შესავალი -----	4
თავი 1. ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზი -----	15
1.1. ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის განვითარების გლობალური ტენდენციები -----	15
1.2. ეკონომიკური პროცესების ტრანსნაციონალიზაცია როგორც თანამედროვე მდგრადი განვითარების მთავარი ფაქტორი -----	31
1.3. ტრანსნაციონალური კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის ინსტიტუციონალური გარემო -----	47
თავი 2. წარმოების ტრანსნაციონალიზაცია თანამედროვე ეტაპზე -----	71
2.1 კაპიტალის და წარმოების ტრანსნაციონალიზაცია -----	71
2.2 ტრანსნაციონალური კომპანიების ექსპანსიის მასშტაბები და მექანიზმები -----	83
2.3 საქართველოს საწარმოების ტრანსნაციონალიზაციის პროცესის კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები -----	100
თავი 3. სამხრეთ კავკასიის ქვეყნები თანამედროვე ტრანსნაციონალური საინვესტიციო პროცესებში: პრობლემები, შესაძლებლობები, ტენდენციები -----	112
3.1 ტრანსნაციონალური კომპანიების როლი საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ეკონომიკურ განვითარებაში -----	112
3.2 ტრანსნაციონალური კომპანიების სოციალური პოლიტიკა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა რეგიონის ქვეყნებში -----	140
დასკვნები და წინადადებები -----	168
გამოყენებული ლიტერატურა -----	175
დანართები -----	190

შესავალი

თემის აქტუალურობა: მსოფლიოში მიდინარე ეკონომიკური პროცესების მთავარ აქტორად ტრანსნაციონალური კომპანიები და წარმოების გლობალიზაცია გვევლინება, ვინაიდან ისინი გავლენას ახდენენ ეროვნული სახელმწიფოებისა და მსოფლიოს სოციალურ და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. ამავ დროს ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია ეროვნულ და გლობალურ დონეზე აძლიერებს ბიზნესის სოციალურ გარემოს საზოგადოებრივ განვითარებაში და შესაბამისად მის კორპორატიულ პასუხისმგებლობას სოციუმში.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) ე.წ. შემობრუნების წერტილი, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ინტეგრაციის საწყის ეტაპები XX საუკუნის 90-იანი წლებიდან შეიძლება ჩაითვალოს. ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების შემდეგ (იგულისხმება საბჭოთა კავშირის დაშლა), რეგიონის ქვეყნებში ღია ეკონომიკაზე გადასვლა გარკვეულწილად ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა დააჩქარეს. თუ XX საუკუნემდე საერთაშორისო ეკონომიკის მთავარი სუბიექტები სახელმწიფოები იყვნენ, XX საუკუნის მიწურულს გადრმავებულმა საერთაშორისო ურთიერთობებმა ტრანსნაციონალური კომპანიების როლის გაზრდას შეუწყო ხელი. თავდაპირველად მათ მიზანს გლობალურ დონეზე საერთო პრობლემების გადაწყვეტა წარმოადგენდა, ამასთან, საერთო პრობლემებზე კოლექტიური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებამ მეტი შანსი გააჩინა მათი მოგავრებისთვის, რამაც არანაკლებ დიდი როლი ითამაშა ინტეგრაციული პროცესების შემდგომი გადრმავებაში.

რეგიონის ქვეყნები მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნით ცდილობენ მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიების დაინტერესებას, რაც თავისმხრივ გაზრდის პირდაპირი უცხოური ნაკადების შემოდინებას. მსოფლიო პროცესებში ინტეგრაციისათვის რეგიონის ქვეყნები ცდილობენ საერთაშორისო რეიტინგებში მოწინავე პოზიციებით მიიპყრონ ყურადღება. ცხადია, რომ სამივე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და ბიზნეს პოტენციალის ერთობლივი ანალიზით

შესაძლებელია საინტერესო ტენდენციების წარმოჩენა და ახალი სამეცნიერო მიგნებების განსაზღვრა. ამასთან გაიზარდა მკვლევარებისა და პრაქტიკოსების ყურადღება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით, რაც სავსებით ლოგიკურია რეგიონის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ტრანსნაციონალიზაციისა და მასთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერული კვლევებისადმი. მათ შორისაა ტრანსნაციონალური კორპორაციები, ბიზნეს და სოციალური გარემო, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა. აღნიშნული სფერო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მსოფლიოში ცნობილ მკვლევართა ნაშრომებში: ს. ჰაიმერი (Hymer, 1970), ჯ. დანინგი (Dunning..., 1987), ა. ქეროლი (Carroll, 1991), რ. დალმტორმი (Dahlstrom, R..., : 1992), ფ. კნიკერბორგერი (Knickernocker, 1973), ე. ჰეკშერი და ბ. ოლინი (Heckscher..., 1991), პ. ბაკლი და მ. კასონი (Buckley..., 1976), გ. არმსტრონგი და ფ. კოტლერი (Armstrong..., 2012), ჯ. გელბრეიზი (Galbraith, 1976b) და ა.შ.

ბოლო პერიოდში აღნიშნული საკითხების კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ქართველ მეცნიერებებს, მათ შორის აღსანიშნავია: ლ. ხოფერია (ხოფერია, 2012), ი. გიგაური (გიგაური, 2012), რ. მანველიძე (მანველიძე, 2009), დ. ქათამაძე (ქათამაძე, 2009), თ. შენგელია (შენგელია, 2008; 2010), ი. მანველიძე (მანველიძე, 2009), ა. აბრალავა (აბრალავა, 2003) და სხვები.

მიუხედავად აღნიშნული ნაშრომებისა, ქართულ ენაზე საკამოდ მწირია ნაშრომები, რომელშიც კომპლექსურად და სისტემურად იქნება შესწავლილი ეროვნული ეკონომიკების ტრანსნაციონალიზაციის და ინტერნაციონალიზაციის გავლენა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბიზნესის სოციალური გარემოს და ბიზნესის კორპორაციული პასუხისმგებლობის ფორმირების და განვითარების პროცესზე. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში მოცემული კვლევის შედეგები და დასკვნები აქტუალურია, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

რეგიონის ქვეყნები, სადაც დომინირებს ინვესტიციებით მართული ეკონომიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რაც ხელს უწყობს მთლიანი შიდა პროდუქტის და არა მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდას, მსოფლიო პროცესებში ინტეგრაციას და

კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ტრანსნაციონალიზაციის მაღალი დონით ცდილობენ. ვინაიდან, ტრანსნაციონალური კომპანიები გლობალურ მმართველობაში საკუთარ წესებს ამკვიდრებენ და ქვეყანაში შეაქვთ ინოვაციური ტექნოლოგიები, რაც შემდგომ უკვე ავითარებს მიმღები ქვეყნის მწარმოებლურობას, რეგიონის ქვეყნებში, სწორედ მათი საქმიანობა შეიძლება გახდეს ეროვნული წარმოებისა და ბიზნესის განმავითარებელი ძალა. ამ თვალსაზრისით, ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობა არამხოლოდ ზრდის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შემოდინებას, არამედ ხელს უწყობს ბიზნესის სოციალური გარემოს გაუმჯობესებას და სოციალური პრობლემების მოგვარებასაც, უმუშევრობის დონის შემცირებას, შრომით საქმიანობაში ახალი სტანდარტების დანერგვას, ცოდნის კომერციალიზაციასა, ინოვაციური ტექნოლოგიებისათვის აუცილებელ გარემოს შექმნას და ა.შ.

ბიზნესის სოციალური გარემოს განვითარება, სხვადასხვა სოციალური-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებით, კიდევ უფრო აძლიერებს რეგიონის ქვეყნებში კომპანიების სოციალურ თუ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას. მართალია, ძირითადად მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიები მართავენ იმ პროცესებს, რომელითაც ისინი მათი საქმიანობით ახდენენ გავლენას ბუნებრივ გარემოსა და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებზე, საკუთარ თანამშრომლებზე, მომხმარებლებზე, ინვესტორებზე, პარტნიორებზე, ადგილობრივ მოსახლეობაზე და ზოგადად ყველა დაინტერესებულ მხარეზე, თუმცა მსგავსი ტენდენციით ადგილობრივი კომპანიებიც ეტაპობრივად ნერგავენ სოციალურად პასუხისმგებელ მიდგომებს.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შემდგომი განვითარება ბიზნესის სოციალური გარემოს და ზოგადად სოციუმის განვითარების საწინდარია, ვინაიდან რეგიონის ქვეყნები ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინიციატივის წევრებია, რომელთა მნიშვნელოვან პრიორიტეტს სწორედ სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს. ამასთან, რეგიონის ქვეყნები ინდივიდუალურად მიერთებული არიან სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებებთან, რომლებიც საერთაშორისო დონეზე არეგულირებენ სოციალური პასუხისმგებლობის ამა თუ იმ კომპონენტს. ამდენად, რეგიონის ქვეყნებში მისი

განვითარება ხელს შეუწყობს საერთაშორისო დონეზე რეგიონის იმიჯის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების უფრო ეფექტიანად განხორციელებას.

შესაბამისად, ტრანსნაციონალიზაციის მაღალი დონით, არამხოლოდ ვითარდება რეგიონის ცალკეული ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა და სოციალური გარემო, არამედ მათ აძლევს საშუალებას გახდეს ლიდერი საერთაშორისო დონეზე.

კვლევის ობიექტი და საგანი. კვლევის ობიექტია საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის სუბიექტი - ტრანსნაციონალური კორპორაციები სოციალურ გარემოში, ხოლო კვლევის საგანს წარმოადგენს ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის მახასიათებლები გლობალურ ბიზნესსა და სოციალურ გარემოში.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანს წარმოადგენს სოციალურ გარემოს გაუმჯობესებაში ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის თავისებურებების გამოვლენა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე კვლევის ამოცანებია:

- ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობისა და ტრანსნაციონალური კაპიტალის განვითარების თანამედროვე გლობალური ტენდენციების შესწავლა და ტრანსნაციონალური კორპორაციების სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ბაზარზე შესვლის საერთაშორისო სტრატეგიების შერჩევის მექანიზმების დადგენა;

- სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციების გამოვლენა საერთაშორისო ინდექსების (ბიზნესის კეთების ინდექსი, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, კორუფციის აღქმის ინდექსი, გლობალიზაციის KOF ინდექსი) მიხედვით;

- სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ტრანსნაციონალიზაციის დონეზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა და მათ შორის კავშირის გამოვლენა მარტივი წრფივი რეგრესიის მეშვეობით;

- ბიზნეს და სოციალურ გარემოს ფორმირებაზე ტრანსნაციონალური კომპანიების გავლენის დადგენა და მახასიათებლების გამოყოფა;

- სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბიზნესის სოციალური გარემოს ხარისხის დადგენა, მასზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა და განსაზღვრა;

- სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში გლობალური ბიზნესის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესწავლა, თანმდევი პრობლემების გამოვლენა და ანალიზი, არსებული შესაძლებლობების გამოვლენა და ტენდენციების ჩვენება.

ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი: კვლევის დასახული მიზნების და ამოცანების გადაჭრას ემსახურება კვლევის თეორიული და ემპირიული ბაზის საფუძველზე განსაზღვრული კვლევის კონკრეტულ და ზოგადმეცნიერული მეთოდები.

კვლევაში გამოყენებულია ტრიანგულაციური მიდგომა, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა მეთოდებისა და თეორიული მიდგომების კომბინაციურ გამოყენებას ერთი და იმავე პრობლემის შესასწავლად. მეთოდოლოგიური საფუძველი განპირობებულია ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის თავისებურებებისა და თანმდევი პროცესების ანალიზით. კერძოდ, კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა:

სტატისტიკური მონაცემებისა და რეგრესული ანალიზის პროგნოზირების მეთოდი, კერძოდ მარტივი წრფივი რეგრესიის მეთოდი. რეგრესიის მეთოდით განვსაზღვრეთ რეგიონის ცალკეული ქვეყანაში არსებული დამოკიდებულება სამ ტენდენციას შორის: ტრანსნაციონალიზაციას (KOF ინდექსის საფუძველზე), პირდაპირი უცხოური ინვესტიციებსა და ბიზნესის კეთებას შორის, საიდანაც იკვეთება შემდეგი: სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს შემოდინება უფრო მეტად განაპირობებს ტრანსნაციონალიზაციის სიდიდეს, ვიდრე საერთაშორისო რეიტინგებში მოწინავე პოზიციები. შესატყვისობის სიკარგე, რომელიც შემდეგი ნიშნულებით განისაზღვრება : <0.1- სუსტი; 0.11 - 0.3 -ზომიერი; 0.31 - 0.5 -საშუალო და >0.5 / ძლიერი, გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ რეგრესიის მოდელი ტრანსნაციონალიზაციასა და კუი-ს შორის საშუალო ან ძლიერია, ხოლო ტრანსნაციონალიზაციასა და საერთაშორისო რეიტინგებს შორის ზომიერი ან ძლიერი.

მსგავსი მეთოდი იქნა გამოყენებული, რათა განგვესაზღვრა კომპანიების როლი, ქვეყნის ბიზნეს და სოციალური გარემოს გაუმჯობესებაში, კერძოდ აისახა დამოკიდებულება სამხრეთ კავკასიის ცალკეული ქვეყანაში „სოციალური პროგრესის ინდექსი“-სა და მთლიანი შიდა პროდუქტს შორის.

შედარებითი ანალიზის მეთოდი, სადისერტაციო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ბიზნესი განვითარების ტენდენციებისა და თავისებურებების შესწავლა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ცალკ-ცალკე, რისთვისაც გამოყენებული იქნა საერთაშორისო ეკონომიკური ინდექსები (ბიზნესის კეთების ინდექსი, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, კორუფციის აღქმის ინდექსი, გლობალიზაციის KOF ინდექსი). აღნიშნული მეთოდის საუძველზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შედარება განხორციელდა 2010-2019 წლების ფარგლებში, რამაც წარმოადგენა მოგვცა რეგიონის ქვეყნების ბიზნესის განვითარების დინამიკაზე და გამოავლინა თითოეულ ქვეყანაში ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შედარება ასევე განხორციელდა ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლებით როგორცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) და სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებლები და გამოავლინა მათ რაოდენობაზე მოქმედი ეკონომიკურ-პოლიტიკური მოვლენები.

- სადისერტაციო ნაშრომში ასევე განხორციელდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შედარება, საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაციის მიერ, მდგრადი განვითარებისთვის შეუშავებული პრინციპების მიხედვით. საიდანაც იკვეთება, რომ ანგარიშვალდებულების და გამჭირვალობის პრინციპი რეგიონის ქვეყნებში ნაკლები აქტუალურობით სარგებლობს, თუმცა შეინიშნება კომპანიების მიერ მათი დანერგვის ტენდენცია იძულებითი სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ტენდენციების კვალდაკვალ. პრინციპი „საერთაშორისო ქცევის წესების პატივისცემა“ სომხეთსა და აზერბაიჯანში უფრო პრიორიტეტულია, რასაც მათ მიერ სსო-ს რატიფიცირებული კონვენციების რაოდენობაც მოწმობს. დანარჩენი ოთხი პრინციპი კი რეგიონის ქვეყნებში თანაბრად მნიშვნელოვნად წარმოჩინდება.

სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილში, ასევე შედარებული იქნა რეგიონის ცალკეულ ქვეყანაში კომპანიების შიდა და გარე სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებები და პრიორიტეტები. ნაშრომში განხილული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობებიდან შიდა პასუხისმგებლიან აქტივობებში დომინირებს თანამშრომლების სოციალური დაზღვევა და ტრენინგები, ხოლო გარე

მიმართულებით ქველმოქმედება და გარემოზე ზრუნვა. შესწავლილი კომპანიების ოფიციალური ვებ-გვერდებზე არსებული ინფორმაციით, სამივე ქვეყანაში კომპანიების მიერ კრიზისული სიტუაციების მართვა სრულიად უგულვებელყოფილია, ხოლო ხელისუფლებასთან ურთიერთობა სომხეთისაგან განსხვავებით, საქართველოსა და აზერბაიჯანში შედარებით პრიორიტეტული მიმართულებაა.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია **მრავალკრიტერიუმანი ანალიზის მეთოდები**, კერძოდ ანალიტიკური იერარქიის პროცესის (AHP) მეთოდი და პროპორციულობის ყოველმხრივი შეფასების (COPRAS) მეთოდი, რომელითაც არამხოლოდ შეფასდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბიზნეს და სოციალური გარემო, არამედ კვლევის შედეგები დაინტერესებულ მხარეს დაეხმარება სწორად შეარჩოს პარტნიორი ქვეყანა სხვადასხვა პრიორიტეტების გათვლისწინებით. აღნიშნული ინოვაციური მეთოდით მიღებული შედეგი კი იქნება მინიშნება რეგიონის ქვეყნებისათვის, აღმოფხვრას სწორედ ის პრობლემა, რომელიც მის სისუსტეს წარმოადგენს.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდი იქნა გამოყენებული იმისათვის, რომ შეგვესწავლა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში რომელი დარგის კომპანიები იყვნენ ყველაზე სოციალურად პასუხისმგებლიანები და განგვესაზღვრა პრიორიტეტული კსკ-ს მიმართულება დარგების მიხედვით, ამისათვის შევარჩიეთ რეგიონის ცალკეულ ქვეყანაში ყველაზე მსხვილი 100 კომპანია და შევისწავლეთ აღნიშნული კომპანიების ოფიციალური ვებ-გვერდები.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდის ფარგლებში ასევე გამოიკითხა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქეები. კვლევის მიზანი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, საზოგადოების დამოკიდებულების და არსებული ცოდნის შესწავლა წარმოადგენდა. კვლევამ ცხადყო, რომ ინფორმირებულობის ხარისხი და ცნობიერების დონე კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ რეგიონის ქვეყნებში არცთუ ისე მაღალია, თუმცა გამოკითხულთა უმრავლესობას საკითხის შესახებ აუმღლდა ცნობადობა კორონავირუსის მსოფლიო პანდემიის დროს.

არსებული წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის და შეფასების, საკვლევ საკითხთან დაკავშირებული საკითხებთან დაკავშირებული სამთავრობო

აქტების და დოკუმენტების, ეკომიგრაციის პროცესების თანდროული და თუ შემდგომი პერიოდის პრესაში და მედიაში არსებული მონაცემების შესწავლა მოხდება მონოგრაფიული კვლევის, დოკუმენტური ანალიზის, კონტენტ-ანალიზის, სისტემური და შედარებითი ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, აზერბაიჯანის სახელმწიფო სტატისტიკის კომიტეტი, სომხეთის სახელმწიფოს სტატისტიკური სამსახური და სხვა) კვლევები და სტატისტიკური მონაცემები, რის საფუძველზეც განხორციელდა ლიტერატურის, დოკუმენტებისა და ინფორმაციის ანალიზი.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები, უცხოელი და ქართველი მეცნიერების მიერ შესრულებული სამეცნიერო გამოკვლევები ტნკ-ების საქმიანობის შესახებ. შეგროვებული მასალების შედარებითა და გაანალიზებით მოხდა დასკვნის გამოტანა.

მეთოდებთან დაკავშირებული უპირატესობები ვლინდება იმაში, რომ კვლევა ატარებს სწორედ დისციპლინათშორის ხასიათს და ეყრდნობა საერთო მეცნიერულ და კონკრეტული სამეცნიერო კვლევით მეთოდებს. დასახული მიზნის და ამოცანების გადაჭარისთვის კვლევა ეყრდნობა სისტემურ, სტრუქტურულ-ფუნქციონალურ, ინსტრუქციონალურ, სოციალურ, შედარებით-ანალიზურ მეთოდებს. მსგავსი მიდგომა კვლევაში ქმნის გარკვეულ უპირატესობებს, ვინაიდან სხვადასხვა მეთოდების გამოყენება საშუალებას იძლევა სრულად იქნეს შესწავლილი დასმული პრობლემა.

მეცნიერული სიახლე. კვლევა მიეკუთვნება ფუნდამენტური კვლევის კატეგორიას, რომლის შედეგად დადგინდა არა მარტო საკვლევი პრობლემის შესწავლის სამეცნიერო დონე, არამედ გამოვლინდა და ნაჩვენებია ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის მახასიათებლები გლობალურ ბიზნესსა და სოციალურ გარემოში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე. ნაშრომში კომპლექსურადაა შესწავლილი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის თავისებურებები გლობალურ ბიზნესსა და სოციალურ გარემოში.

ნაშრომის ძირითადი მეცნიერული სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

- დანინგის ეკლექტიკური თეორიაზე დაყრდნობით საქართველოს მაგალითის კვალდაკვალ **შევისწავლეთ** ტრანსნაციონალიზაციის პროცესი როგორც ქვეყნის, ასევე კომპანიების დონეზე, მსგავსი მიდგომით პირველად **ავხსენით** უპირატესობების (ადგილმდებარეობის, მფლობელისა და ინტერნაციონალიზაციის) როლი საქართველოში ტრანსნაციონალიზაციის პროცესის ჩამოყალიბებაში.

- შედარებითი ანალიზის მეთოდების გამოყენებით **შევისწავლეთ და გამოავლინეთ** სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკის განვითარების ზოგადი ტენდენციები. კერძოდ, დადასტურდა, რომ წარმატებული რეფორმებისა და ლიბერალური პოლიტიკის შედეგად, გაიზარდა ტნკ-ების ინტერესი რეგიონის ქვეყნებისადმი, ქვეყნისადმი, რამაც კიდევ უფრო გაზარდა პუი-ს ნაკადების შემოდინება. ტნკ-ების ინტერესს რეგიონში გეოგრაფიული მდებარეობაც განაპირობებდა, რასაც ტრანსპორტის სფეროში ინვესტიციების რაოდენობის მაღალი მაჩვენებელიც მოწმობს. ამასთან სხვადასხვა საერთაშორისო ინდექსებისა (ბიზნესის კეთების ინდექსი, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, კორუფციის აღქმის ინდექსი, გლობალიზაციის KOF ინდექსი) და ეკონომიკური მაჩვენებლების (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებლები, მთლიანი შიდა პროდუქტი) შედარების საფუძველზე დადასტურდა რეგიონის ქვეყნებთან ბიზნესურთიერთობების ჩამოყალიბების ზრდადი მსოფლიო ინტერესი.

- **ნაჩვენებია** 1. ცალკეულ ქვეყანაში შესული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობის და 2. საერთაშორისო რეიტინგებში მოწინავე პოზიციების გავლენა ქვეყნის ტრანსნაციონალიზაციის სიდიდეზე. მათ შორის დამოკიდებულების განსაზღვრით **დავადასტურეთ**, რომ საქართველოსა და სომხეთში ტრანსნაციონალიზაციის მაღალი დონე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია პუი-ს ნაკადების შემოდინებაზე, ხოლო აზერბაიჯანი ნაკლებად.

- **შესწავლილია** კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (კსპ) შესახებ საზოგადოების ცოდნის ხარისხი და რეგიონის ცალკეულ ქვეყანაში გამოვლინდა მის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები.

- **განალიზებულია** სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ტნკ-ების საქმიანობის თანმდევი პროცესების უპირატესობები და ნაკლოვანებები;

- **გამოვლენილია** რეგიონის ცალკეულ ქვეყანაში სსო-ს გარემოს დაცვის მიმართულებით შემუშავებული პრინციპების გათვალისწინების მიზეზები და აღნიშნულია სოციალური პასუხისმგებლობის (შიდა და გარე) პრიორიტეტული მიმართულებებიც.

- **განვსაზღვრეთ** კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორები, რომელთა გათვალისწინებაც უნდა მოხდეს სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლების მიერ.

- **შევიშავეთ** რეკომენდაციები, რომლებიც რეგიონის სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს, არამხოლოდ შეუქმნის წარმოდგენას ტნკ-ების საქმიანობის განხორციელების შესახებ, არამედ დაანახებს ტნკ-ების საქმიანობის დადებით შედეგებს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებაში.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა. კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მეცნიერულ-შემეცნებითი, ისე გამოყენებითი კუთხით. თემის იდეები, განზოგადებები, დასკვნები ხელს შეუწყობს სახელმწიფო და ბიზნეს სექტორის კიდევ უფრო მეტ აქტიურობას ბიზნესის სოციალური გარემოს და სოციალური პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად. დღეს არსებული პრობლემები (კონცეპტუალური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ინსტიტუციონალური) აფერხებს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის, როგორც ვალდებულობის წარმატებას სამომავლოდ. კვლევის შედეგები კი ხელისუფლებას და ბიზნეს დაეხმარება სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, რათა არ შეანელოს ყურადღება ბიზნესის სოციალური გარემოს და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისა და ამდღეობის ხელშეწყობისათვის.

კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნება ბიზნესის სოციალური გარემოს და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის თეორიული და პრაქტიკული საკითხების შემდგომი დამუშავების პროცესში. კერძოდ, კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს, იმაში რომ კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბიზნესის ხელშეწყობის სახელმწიფო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის სრულყოფილებისთვის. ასევე, კვლევის მასალები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასწავლო მეთოდური მუშაობის

პროცესში ისეთი სასწავლო კურსების სწავლების დროს როგორცაა ბიზნესის საფუძვლები, გლობალური ბიზნესის, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და ა.შ. აქედან გამომდინარე, მას ექნება პოტენციური გავლენა აღნიშნულ სამეცნიერო და საწავლო დარგების განვითარებაზე ბიზნესის და მასთან დაკავშირებული სოციალური საკითხების შესწავლის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავების და ახლი ცოდნის შექმნის თვალსაზრისით, ხოლო კვლევის შედეგების გამოყენება ხელისუფლების მიერ ეკონომიკური პოლიტიკის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების შემდგომი დამუშავების პროცესში ხელს შეუწყობს სახელმწიფო სტრატეგიის სრულყოფას ბიზნესის საკითხებთან დაკავშირებით.

საერთაშორისო ინდექსების გამოყენებით განხორციელებული კვლევის შედეგები (შედარებითი მეთოდით), არამხოლოდ ახასიათებს ბიზნესის განვითარების თავისებურებებს, არამედ საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ რეგიონის ქვეყნებში ბიზნესის სამომავლო განვითარების პერსპექტივები. ასევე მიზანშეწონილია ნაშრომში განხილული საკითხების გამოყენება უმაღლეს სასწავლებლებშიც სახელმძღვანელო მასალის სახით.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლისაგან, სამი თავისაგან (8 პარაგრაფი) და დასკვნითი ნაწილისაგან. თანდართულია გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

თავი 1. ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური ანალიზი

1.1 ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის განვითარების გლობალური ტენდენციები

XX საუკუნის 90-იან წლებიდან მსოფლიოში მომხდარმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა, რომელიც უკავშირდება გლობალიზაციასა და ღია ეკონომიკაზე გადასვლას, ახალი მსოფლიო წესრიგი ჩამოაყალიბა.

დღევანდელ მსოფლიოში არცერთი ქმედება და პროცესი არ უნდა განვიხილოთ შეზღუდულად და ცალკე მდგომი ვინაიდან გლობალიზაციის პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს. (ჩადუნელი, 2013). ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა შექმნეს ისეთი მარეგულირებელი სისტემის შექმნა, რომელმაც ლიბერალიზაციის პრინციპებზე დაყრდნობით აღმოფხვრა სავაჭრო ბარიერები და უზრუნველყო კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. თავდაპირველად ერთობლივი მონეტარული და ფინანსური პოლიტიკის მექანიზმების შემუშავება საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციების პრეროგატივა იყო (Гороховская, 1999), და საერთაშორისო და ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის თავისებურებები განაპირობებდა საზოგადოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებასა და ადგილობრივი წარმოების პროცესების ერთიან სისტემაში ტრანსფორმაციას. თუმცა, კორონავირუსის მსოფლიო პანდემიამ ნაწილობრივ შეანელა ტრანსნაციონალიზაციის პროცესი, რაც შემდგომში შეიძლება გახდეს მასთან დაკავშირებული საკითხების ტენდენციების ცვლილების საფუძველი.

ტრანსნაციონალური კორპორაცია არის ის საწარმოო ან/და ფინანსური გაერთიანებები, რომლებიც შექმნილია ერთი ქვეყნის კაპიტალითა და მმართველობითი კონტროლით, ხოლო შვილობილი კომპანიები განლაგებულია ქვეყნის ფარგლებს გარეთ ორ ან მეტ ქვეყანაში. იმ ქვეყანას რომელსაც ტრანსნაციონალური კორპორაციის სათაო ოფისი მდებარეობს საბაზო ქვეყანა ქვია, ხოლო რომელშიც კომპანიას განთავსებული აქვს თავიანთი ფილიალები - მიმღები ქვეყანა. ზოგადად მმართველი კომპანიები ე.წ. გლობალურ ქალაქებში მდებარეობენ

და შეჯერებული პოლიტიკისა და ზოგადი სტრატეგიის გატარებას საბოლოო შედეგის მისაღწევად - მოგების მისაღებად ცენტრიდან ახორციელებენ.

მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების წლიური ბრუნვა ბევრი განვითარებადი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტსაც კი აღემატება. მსოფლიო ეკონომიკაში ტრანსნაციონალური კორპორაციების მადომინირებელ როლს განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ ისინი პირველები არიან ტექნოლოგიური ინოვაციების შემუშავებაში, დანარგვისა და გავრცელების სფეროში. გარდა ამისა, ეს კომპანიები გლობალურად აფასებენ მსოფლიოში წარმოქმნილ პრობლემებსა და მისი განვითარების სტრატეგიას. შესაბამისად, ტრანსნაციონალურ კორპორაციების ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავთ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში. (ქათამაძე, 2009).

ტრანსნაციონალური კორპორაციები ძირითადად ბაზირებული არიან დასავლეთის ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში და კოორდინირებული გლობალური სტრატეგიის ფარგლებში დაუბრკოლებლად ახერხებენ სახელმწიფოთა ეროვნული ეკონომიკური საზღვრების გადალახვასა და უცხო ქვეყანაში ეკონომიკური გავლენის მოპოვებას. ვინაიდან ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ახალი რეგიონები და ბაზრები, დღეს ტრანსნაციონალური კორპორაციები მეურნეობის ყველა დარგში გვხვდება და ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არამხოლოდ საქონლისა და მომსახურების წარმოების სახეობით, არამედ წარმოების ტექნოლოგიითაც.

ტნკ-ები აქვთ უზარმაზარი ძალაუფლება, რომლის საშუალებითაც ისინი არამხოლოდ აკონტროლებენ, არამედ შეუძლიათ გვერდი აუარონ ტრადიციულ ეკონომიკურ საზღვრებს, პოლიტიკურ სისტემებსა და ძალაუფლების სხვა ცენტრებს. (Abbas..., 2003:16). ვინაიდან გლობალიზაციის პროცესი უკავშირდება მსოფლიო მასშტაბის მოგებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, რაც თავისმხრივ განაპირობებს ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულების ზრდას, ხელოვნურად შექმნილი ბარიერების მოხსნის შედეგად კაპიტალმა თანდათანობით დაკარგა ეროვნულობა. შედეგად კი გაადვილდა საქონლის, სერვისისა და ცოდნის გადაადგილება ნებისმიერ იმ ქვეყანაში, სადაც მაღალი მოგების მიღების

შესაძლებლობაა. როგორც ცნობილი ეკონომისტი გ. მენქიუ აღნიშნავს, ქვეყნის მიერ ბარიერების მოშლით ზოგი მოგებულ რჩება და ზოგიც ზარალდება, მაგრამ საერთო ჯამში სარგებლობა ზარალს აჭარბებს, ვინაიდან საერთაშორისო ვაჭრობით იზრდება საქონლის მრავალფეროვნება. თავისუფალი ვაჭრობა მომხმარებელს ფართო არჩევანს აძლევს, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული საქონელი განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა ეფუძნება მსოფლიოს ეკონომიკის მიკრო და მაკრო ეკონომიკის დონეებს შორის ეფექტურ ურთიერთობას და აერთიანებს ბაზრის და დაგეგმილ მართვის მეთოდებს. ტრანსნაციონალური კორპორაციები არამხოლოდ წარმოადგენენ მონაწილეებს სახელმწიფო დონეზე, არამედ გამოდიან აგენტების სახით და გვევლინებიან გლობალიზაციის გამტარებლებად, თუმცა გლობალიზაცია ტრანსნაციონალური კორპორაციების მხრიდან კონტროლს არ ექვემდებარება და ისინი იძულებულნი არიან შეუსაბამონ თავიანთი სტრატეგიები მუდმივად ცვალებად გარემოს. ტრანსნაციონალური კორპორაციები იცვლებიან რადიკალურად, მისი მიზნების, ამოცანების, სტრუქტურის, პოლიტიკისა და საქმიანობის შესაბამისად. (Kefalas, 2008 :69).

ვინაიდან მსოფლიო ეკონომიკაში ტნკ-ები გლობალიზაციის სუბიექტებად გვევლინებიან და მათი მოცულობა კიდევ უფრო იზრდება, ინგლისურენოვან ლიტერატურაში განასხვავებენ ორი ტიპის საერთაშორისო კორპორაციას: 1. მრავალეროვნულ კორპორაცია (მნკ), ინგლისურად - Multinational Corporations (MNC), 2. ტრანსეროვნული კორპორაცია (ტნკ), ინგლისურად - Transnational Corporations (TNC).

ამერიკელი თეორეტიკოსი რობერტ დალსტრომი მრავალეროვნულ კორპორაციას (მნკ) უწოდებს ისეთ კომპანიას, რომელიც ოპერირებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში თავისი შვილობილი თუ ფილიალი საწარმოების საშუალებით. (Dahlstrom ..., 1992).

ამერიკელი პროფესორის სტეფან ჰამერის აზრით კი მრავალეროვნული კორპორაცია არამარტო ახორციელებს პირდაპირ ინვესტირებას სხვადასხვა ქვეყანაში, არამედ აქტიურად მართავს აღნიშნულ პროცესს ინტეგრირებული გზით და ხასიათდება პერსონალისა და მენეჯერების მრავალეთნიკურობით. (Hymer, 1970).

ზემოთ ჩამოთვლილი განმარტებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მრავალეროვნული კორპორაცია, არის გლობალური ფირმა, რომელიც თავისი ფილიალებისა თუ შვილობილი საწარმოებს საშუალებით მოღვაწეობს საერთაშორისო ბაზარზე, აწარმოებს და ყიდის პროდუქციას ან მომსახურებას ეროვნულ საზღვრებს მიღმა, აქტიურად მართავს აღნიშნულ პროცესს ინტეგრირებული გზით და ხასიათდება პერსონალისა და მენეჯერების მრავალეთნიკურობით.

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკისათვის საყოველთაოდ აღიარებულია და ამას გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) ყოველწლიურად გამოცემული მასალებიც მოწმობს. ტრანსნაციონალური კორპორაციები განისაზღვრება როგორც ორგანიზაცია, რომელიც შედგება მშობელი კომპანიისგან და მისი საგარეო ვალდებულებებისაგან (UNCTAD, 2002:291), რომლის საქმიანობაც სცდება სახელმწიფო საზღვრებს და ქმნიან სტაბილურ, საერთაშორისოდ მოქმედ კორპორატიულ ქსელებს მომწოდებლებთან, კლიენტებთან და თანამშრომლებთან. (Zak, 2012: 2).

ტერმინი „მრავალეროვნული კორპორაცია“ ფართოდ გამოიყენება ინგლისურენოვან ლიტერატურაში, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია - UN, საერთაშორისო სავალუტო ფონდი - IMF, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია - WTO და სხვა) იყენებენ ტერმინს „ტრანსნაციონალური კორპორაცია“-ს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) კი ტრანსნაციონალურ კომპანიებს მოიხსენიებს მრავალეროვნულ საწარმოებად (Multinational Enterprises –MNE).

ვინაიდან, გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) მასალებში გამოყენებულია ტერმინი „ტრანსნაციონალური კორპორაცია“ და სამი მაჩვენებლის (აქტივები, გაყიდვები, მომუშავე თანამშრომლების რაოდენობა) საფუძველზე ხდება კომპანიების სიდიდის (ტრანსნაციონალიზაციის) განსაზღვრა, ვფიქრობ, შინაარსობრივად დაახლოებული ტერმინები ქართულ ლიტერატურაში კიდევ უფრო გაადვილებს ტრანსნაციონალური კორპორაციის რაობის გაგებას. გარდა

ამისა, საქართველო მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, სადაც მსგავსი ფორმის იდენტიფიკაციისათვის იგივე ტერმინი გამოიყენება. ასევე, დაკვირვებიდან გამომდინარე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც ჭარბობს ტერმინი „ტრანსნაციონალური კორპორაცია“. ნაშრომში „ტრანსნაციონალური კორპორაცია“-ს ტერმინის გამოყენება, ასევე განპირობებულია თემატიკითაც, ვინაიდან ჩვენ განვიხილავთ ტრანსნაციონალური კორპორაციების (კორპორაციულ) სოციალურ პასუხისმგებლობას, ტერმინების (ტრანსნაციონალური კორპორაცია და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა) მსგავსი გადაბმა კიდევ უფრო გაადვილებს მის სწორად აღქმას.

პირველ ტრანსნაციონალური კორპორაციების მაგალითებს ვხვდებით ჯერ კიდევ ფინიკიელებისა და რომაელების კოლონიალიზმის დროს, რომლებიც აღწერილია ჯონ დანინგის (Dunning, 1993) და კარლ ჯეიმს მურისა და დევიდ ჩარლზ ლევისის (Moore..., 2000:2) ნაშრომებში. რენესანსის პერიოდის ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც დაკავშირებულია ბრიტანულ და გერმანული სავაჭრო კორპორაციებთან, კოლონიური დაპყრობების დროს, გვხვდება დანინგისა და ლუნდანის ნაშრომებში. (Dunning...,2008:25)

ჯერ კიდევ სამრეწველო რევოლუციის დაწყებამდე, ეკონომიკურმა ორგანიზაციებმა დაიწყეს ისეთი საქმიანობების განხორციელება რომელმაც ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებას, ახალი ტერიტორიების ათვისებას, გამდიდრებასა და ახალი შესაძლებლობების აღმოჩენას დანაზოგების ხარჯზე, რამაც საბოლოო ჯამში მიგვიყვანა იქამდე, რომ სახელმწიფო პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობდა საზღვარგარეთ არსებულ საწარმოების სავაჭრო პროცესებში. ამასთან ევროპის სახელმწიფოებს არ ჰქონდათ ალტერნატივა გაეტარებინათ თავიანთი პოლიტიკა კოლონიურ ტერიტორიებზე და მთავრობის მხარდაჭერით ახორციელებდნენ კომპანიების საქმიანობებს. მაგალითად, ბრიტანული აღმოსავლეთ ინდური კომპანია, ე.წ. „Dutch East India Company“, დაარსებული ჯერ კიდევ 1600 წელს ინგლისელი კომერსანტების, ჰოლანდიელი ვაჭრებისა და გერმანელი ბანკირების მიერ, თავიანთ ნათესავეებს როგორც ფირმის წარმომადგენლებს გზავნიდნენ ამერიკაში და ყიდდნენ საექსპორტო საქონელს. (Donald, 2004).

აღნიშნულ კომპანიას ისევე, როგორც „Muscovy Company” (დარეგისტრირებული 1553 წელს), „British East India Company” (დარეგისტრირებული 1600 წელს), „Hidson’s Bay” (დარეგისტრირებული 1670 წელს), „Royal African Company” (დარეგისტრირებული 1672 წელს) და სხვებს თავიანთი არსებობის მანძილზე არ განუცდიათ სერიოზული ევოლუცია, თუმცა დღეისათვის ისინი ითვლებიან თანამედროვე ტრანსნაციონალური კორპორაციების წინამორბედებად. (Williams, 2011).

მე-19 საუკუნეში მანამდე არსებული ვაჭრობის მოტივატორები უგულებელყოფილი იქნა, ვინაიდან დაბალმა ხარჯებმა და საზღვაო გადაადგილების სიმარტივემ ხელი შეუწყო ექსპორტზე ორიენტირებული მრეწველობის განვითარებას. (Williams, 1929:39) ამასთან მე-19 საუკუნის მიწურულს თავისუფალი კონკურენცია შეიცვალა მონოპოლიზაციით და დაიწყო კაპიტალის მასიური გადაადგილების პროცესი. სწორედ აქედან იწყება ტრანსნაციონალური კორპორაციების ტრანსფორმაცია, რომელიც დღესაც მიმდინარეობს.

გამოყოფენ ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების ხუთ თაობას. პირველ ეტაპზე ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ დაკავშირებული იყო ინვესტირების კოლონიური ქვეყნებში განხორციელებასთან, სადაც იქმნებოდა როგორც შემსყიდველი, ასევე გამსაღებელი ქვედანაყოფები. მაშინ როდესაც სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის დეფიციტის გამო მაღალტექნოლოგიური სამრეწველო წარმოების აწყობა საზღვარგარეთ არახელსაყრელი იყო ტრანსნაციონალიზაციის სუბიექტებად ამ პერიოდში გვევლინება სხვადასხვა ქვეყნების ფირმების გაერთიანებები - ტრესტების, კარტელებისა და სინდიკატების სახით, რომლებიც იყოფდნენ გასაღების ბაზრებს, ატარებდნენ შეთანხმებულ საფასო პოლიტიკას და სხვა. (ყორდანაშვილი, 1997:74). პირველი თაობის ტრანსნაციონალური კორპორაციები ცნობილი არიან, როგორც „სანედლეულო-ეროვნული ტრანსნაციონალური კომპანიები”, რომლებიც ძირითადად დაკავებული იყვნენ ბუნებრივი რესურსების მოპოვებით აზიის, აფრიკის, ლათინურ ამერიკის ქვეყნებში. (მანველიძე, 2009:1.2).

ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების პირველი თაობისათვის იკვეთებოდა ინგლისის უპირატესი როლი, როგორც კაპიტალისტური მსოფლიოს მთავარი ბანკირი და 1900 წლამდე მსოფლიო ექსპორტის 75% მასზე მოდიოდა. 1900 წლის შემდეგ კი ინგლისის როლი თანდათანობით მცირდება, მაგრამ 1913 წელს ინგლისი კვლავ წამყვან პოზიციას იკავებს, რაც მსოფლიო გრძელვადიანი უცხოური ინვესტიციების 40% -ით განისაზღვრება.

ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების მეორე ეტაპი (1918 წლიდან 1939 წლამდე) ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში მერყეობს და აღნიშნული პერიოდისათვის აწარმოებდნენ შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკას. ამ ეტაპის ტნკ-ების განვითარება ძირითადად განპირობებულია მეორე მსოფლიო ომის დროს სამხედრო მიზნებთან დაკავშირებული მთავრობის ხარჯების მკვეთრი ზრდით, რამაც სამხედრო წარმოება კაპიტალური ინვესტიციების ყველაზე მომგებიანი სფეროდ აქცია.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში და განსაკუთრებით მე-20 საუკუნის 60-იან წლებში კოლონიური სისტემის ნგრევის შემდეგ მესამე თაობის ტნკ-ები იწყებენ აღმოცენებას, რომლებიც ხასიათდებიან:

- მონოპოლიური კაპიტალის მასშტაბებისა და პირობების ცვლილებით;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებით, სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევებით, ახალი ბაზრების ათვისებითა და სხვა.

მესამე თაობის ტნკ-ების ორიენტირებული იყვნენ გასაღების ბაზრის, ნედლეულის წყაროებისა და კაპიტალის გამოყენების სფეროს მოპოვებით, რომლებსაც მრეწველობის ახალ დარგებში (კოსმოსი, ელექტრონიკა, ატომური ენერჯია და სხვა) ტექნიკური მიღწევებით ახორციელებდნენ. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიზანს კონკურენტულ ბრძოლაში პოზიციების განმტკიცებასა და გასაღების ბაზრის გაფართოვება წარმოადგენდა, რასაც ისინი ალიანსებში გაერთიანებული კონცერნებისა და კონგლომერატების სახით ახორციელებდნენ.

ტრანსნაციონალური კორპორაციების მეოთხე თაობის ფორმირება მე-20 საუკუნის 80-იანი წლების პერიოდში იწყება და ხასიათდება რეგიონსა და ქვეყნებს გარეთ არსებულ ტნკ-ების ერთიანი სტრატეგიის მოქმედებით. მსოფლიო ბაზრის

კონკურენციის პირობებში დაჩქარდა შერწყმისა და შთანთქმის პროცესი, რამაც თავისმხრივ წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია განაპირობა.

მეოთხე თაობის ტნკ-ების ფორმირების ეტაპზე მათი საქმიანობა მიმართულია, არამხოლოდ მსოფლიო ბაზრის ცალკეული სეგმენტის მოპოვებაზე, არამედ მსოფლიო პროდუქციის წარმოებისა და გაყიდვების შექმნაზეც.

ისინი ხასიათდებიან:

- ბაზრისა და კონკურენციის პლანეტარული ხედვით;
- კონკურენტებისა და გლობალური კონკურენციის ომში მეთოდების ცნობით;
- საქმიანობის გლობალურ ან/და რეგიონალურ დონეზე განხორციელებით;
- მოგების მნიშვნელოვანი ნაწილის მაღალტექნოლოგიური მრეწველობის სფეროს სამეცნიერო-კვლევით შესწავლისაკენ მიმართვით;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიების საფუძველზე ფილიალების ფუნქციონირების კოორდინაციით;
- თითოეული საწარმოო კვანძის მოქნილი ორგანიზებითა და კორპორაციის სტრუქტურის ადაპტირებით;
- ფილიალების, საწარმოებისა და ქარხნების ერთიან მართვის ქსელში გაერთიანებით.

საერთაშორისო თანამედროვე ბიზნესისათვის ე.წ მეხუთე თაობის ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის დამახასიათებელია ახალი ტიპის გლობალური კომპანიების განვითარება - სტრატეგიული ალიანსების გაერთიანების თვალსაზრისით. საერთაშორისო კომპანიები გადაიქცნენ უფრო მოქნილ და ნაკლებად ცენტრალიზებულ გაერთიანებებად, რომლებიც საერთო მიზნების მიღწევის მიუხედავად არ კარგავდნენ სტრატეგიული მართვის დამოუკიდებლობას. მათ არ გააჩნდათ მკაფიო საზღვრები და დარგობრივი სპეციალიზაცია. მსგავსი ტიპის პარტნიორობა პრაქტიკაში იმდენად ხშირია, რომ მკვლევრების უმრავლესობა დარწმუნებულია საერთაშორისო ეკონომიკა სტრატეგიული მართვის ახალი ეპოქის ზღვარზე სწორედ მსგავსი სტრატეგიული ალიანსების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა. (Tappett : 2002).

შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ტნკ-ების განვითარების ზრდის მიზეზები ძირითადად გამოწვეული იყო ბუნებრივი რესურსებისა და კაპიტალის წვდომის უპირატესობებით, მსოფლიო პოლიტიკური სტაბილურობით, საზღვარგარეთის მომხმარებლებთან სიახლოვით, კონკურენტული პოტენციალის შესახებ უტყუარი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებისას ბარიერების ადვილად გადალახვით, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ფინანსური რესურსების ფართო გამოყენების შესაძლებლობებით, მთლიანი კომპანიის მართვის სტრატეგიების შემუშავებითა და სხვა.


ტრანსნაციონალური კორპორაციის მნიშვნელობა გლობალურ მსოფლიო ეკონომიკაში დღითიდღე იზრდება და მათი რაოდენობა ბოლო 35 წლის განმავლობაში 11-ჯერ გაიზარდა. ის ფაქტი, რომ დღეს ტრანსნაციონალური კორპორაციები საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მთავარი აგენტები არიან ისიც მოწმობს, რომ ჯერ კიდევ 1984 წელს მსოფლიოს 100 ეკონომიკურად ძლიერი ორგანიზაციებიდან 55 იყო სახელმწიფო, ხოლო 45 ტრანსნაციონალური კორპორაცია. (Мовсесян..., 1999). გაეროს ეკონომიკური ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით კი 2000 წელს 63 000 ტრანსნაციონალური კორპორაცია და 830 000 ფილიალი არსებობდა. აქედან, საზღვრებს გარეთ არსებული ფილიალებიდან 270 000 განვითარებულ, 360 000 განვითარებად და 200 000 გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში გვხვდება.

მსგავსი ტენდენცია განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- ტნკ-ები ცდილობენ გააფართოვონ თავიანთი გასაღების ბაზრების არეალი და გავიდნენ მომხმარებელთა ახალ ჯგუფებზე და ჯერ კიდევ აუთვისებელ ბაზრებზე, სადაც კონკურენცია ჯერ კიდევ არ არის ისეთი მძაფრი, როგორც განვითარებულ ქვეყნებში;
- შეამცირონ წარმოების ხარჯები და გაზარდონ შემოსავლების მოცულობა ისეთ რეგიონებში, სადაც იაფი მუშახელი და ნედლეულია;
- დააბალანსონ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული რისკები, რომლებიც წარმოიშვებიან ერთ ქვეყანაში ან ერთ რეგიონში საქმიანობის წარმართვის შედეგად.

ტნკ-ების ზრდა მსოფლიოში აქტიურად მიმდინარეობდა ჯერ კიდევ 1990 წლებიდან. (იხ. დიაგრამა №1).


დიაგრამა №1 ტნკ-ებისა და მათი შვილობილ კომპანიების ზრდის ტენდენცია 1991-2000წწ.



წყარო: გაეროს ეკონომიკური ინსტიტუტი.

ზრდის ტენდენცია XXI საუკუნის დასაწყისშიც გაგრძელდა და 2005 წლისათვის „Fortune Global 500“-ის მიხედვით არსებობდა 189 ამერიკული და 123 აზიური ტნკ, ხოლო 2014 წლისათვის 141 ამერიკული და 197 აზიური. ჩინეთის ტნკ რაოდენობა 2005 წელს გაიზარდა 18-ით, ხოლო 2014 ში კი 95-ით. საერთო ჯამში კი 2014 წლისათვის 500 უმსხვილესი კომპანიის შემოსავალი 31.2 ტრილიონი დოლარი და 1.7 ტრილიონი მოგება გახლდათ. „Fortune Global 500“-ის მიხედვით მათ დასაქმებული ჰყავდათ 65 მლნ. ადამიანი და ოპერირებდნენ მსოფლიოს 36 ქვეყანაში.

დიაგრამა №2: შემოსავლების მიხედვით უმსხვილესი 500 კომპანიის განაწილება ქვეყნების მითითებით 2005-2014 წწ.



წყარო: ჟურნალი „Fortune 2015“

თანამედროვე ტნკ-ებისთვის დამახასიათებელია მსოფლიო მასშტაბის წარმოებისა და რეალიზაციის ერთიანი ქსელის შექმნა, შესაბამისად საზღვარგარეთ საქმიანობის გაფართოვების მიზნით ფილიალების შესაქმნელად ქვეყნების შერჩევასა ერთ-ერთი მთავარი როლი დანახარჯების ანალიზს ენიჭება (მაგ. საშუალო ხელფასის სიდიდე, გადასახადების სიდიდე, ნედლეულის ფასი, სარეალიზაციო ბაზარი და სხვა), თუმცა ყურადღება გასამახვილებელია შემდეგი ფაქტორებიც: საბაზრო პირობები, წარმოებისა და მუშახელის ფაქტორები, ხარჯები და კადრების კვალიფიკაცია, კომუნიკაცია და სხვა ინფრასტრუქტურული სისტემები, ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური პირობები, კულტურის აღქმა, სარისკო სიტუაციები, პოლიტიკური რისკების ჩავლით და სხვა. ეს ყველაფერი კი ძირითადად დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნებისათვის და ამიტომაც ბოლო წლებში ტნკ-ების ფილიალების რაოდენობა მნიშვნელოვნად განვითარებად ქვეყნებში იზრდება, რაც თავისმხრივ ხელს უწყობს ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში ტნკ-ების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩინეთსა და ინდოეთში. (იხ. ცხრილი №1).

ცხრილი №1: „Fortune global 500”-ის მიხედვით უმსხვილესი 500 კომპანიების განაწილება

Fortune Global 500	2005	2007	2009	2010	2012	2014
ავსტრალია	11	10	10	9	10	9
ჩინეთი	18	25	38	47	74	98
ინდოეთი	5	6	7	8	8	8
იაპონია	81	67	68	71	68	57
მალაიზია	1	1	1	1	1	1
სინგაპური	1	1	2	2	2	2
სამხრეთ კორეა	11	14	15	11	14	17
ტაივანი	1	5	5	7	5	4
ტაილიანდი	1	1	1	1	1	1
აზია	133	135	155	163	191	196
აშშ	175	162	140	141	134	128
კანადა	14	17	14	11	11	11
ევროპა	171	175	179	175	150	148
სხვა	7	11	12	10	14	17
	500	500	500	500	500	500

წყარო: ჟურნალი „Fortune 2015”

ცხრილიდან ჩანს, რომ ტნკ-ების დიდი რაოდენობა თავდაპირველად განაწილებული იყო ევროპისა და ამერიკის ქვეყნებს შორის, ხოლო აზია მესამე ადგილს იკავებდა. მონაცემების მიხედვით მოცემულ ათწლეულში უმსხვილესი 500 ტრანსნაციონალური კორპორაციის რაოდენობა გაიზარდა ევროპასა და აზიაში, ხოლო შემცირდა ამერიკაში. ასევე „Fortune Global 500“- ის ჟურნალის მონაცემების მიხედვით აზიაში დომინირებს ჩინური კომპანიები.

საქართველოში პირველი ტნკ-ების ინტერესს ჭიათურის მანგანუმის მრეწველობა წარმოადგენდა, ამასთან 1879 წელს 54 ტონაზე მეტი მანგანუმის საზღვარგარეთ გატანით ჭიათურა ერთ-ერთ მთავარ ექსპორტიორად ჩაითვალა. 1914 წლამდე ჭიათურის მადნის უმსხვილესი იმპორტიორი ძირითადად გერმანია იყო (მთელი ექსპორტის 43%), თუმცა ჭიათურის მანგანუმი პირველ მსოფლიო ომამდე ინგლისშიც (23%), ბელგიაშიც (14%), აშშ-იც (6%), საფრანგეთშიც (5%) დიდი პოპულარობით სარგებლობდა. (ავდალიანი, 2008:3). ვესტფალიაში რკინის მადარო „Gute Hoffnung“-ი, კრუპის ქარხანა და პეტერბურგის „ვახტერისა და კომპანიის“ სავაჭრო სახლის წარმომადგენლები ჩართული იყვნენს ჭიათურის მანგანუმის მოპოვების პროცედურებში. საქართველოში ქარხნული მეთოდების შემოღებამ, რაც იმდროინდელი ევროპისათვის დამახასიათებელი მოვლენა გახლდათ კიდევ უფრო ხელი შეუწყო უცხოური კაპიტალის დაბანდებას ქვეყანაში.

საქართველოში დიდ ეკონომიკურ პოტენციალს ხედავდა ცნობილი ევროპული კომპანიები, კემოდ კი ნობელების, სიმენსების, როტშილდების ოჯახის ბიზნესების წარმომადგენლები. ისინი საქართველოს ხშირად განიხილავდნენ, როგორც ტრანზიტული პოტენციალის მქონე ქვეყანას.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში, როგორც ევროპისა და აზიის შემაერთებელი რეგიონი ძმები სიმენსების ყურადღებაც მიიქცეის და ვენისა და სანქ-პეტერბურგის შემდეგ პირველი ფილიალი „სიმენსი და ჰალსკე“ თბილისში დააარსეს. ხელსაყრელი მდებარეობის შედეგად შესაძლებელი იყო თბილისიდან ახლო აღმოსავლეთსა და შორეულ ინდოეთში სატელეგრაფო ხაზების გაყვანა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სიმენსების ბიზნესში ტრანზიტული ქვეყნის როლს ასრულებდა, პარალელურად მოხდა ინდუსტრიული პოტენციალის აღმოჩენაც. ამას ისიც მოწმობს,

რომ სიმენსებმა ბათუმისა და ფოთის პორტები გამოიყენეს საქართველოსა და აზერბაიჯანში მოპოვებული ნაწარმის ევროპაში გასატანად. (Наниташвили, 1982:2).

სიმენსების ოჯახის ინტერესი სამხრეთ კავკასიის რეგიონში ელექტროინდუსტრიის გარდა, ლითონგადამამუშავებელ მრეწველობასაც მოიცავდა და 1891 წელს ისინი კავკასიაში მოპოვებული სპილენძის 84% აწარმოებდნენ. საქართველოში მათი ინტერესი სპილენძის მოპოვების გარდა, ვერცხლისა და კობალტის მადაროების შესყიდვაც გახლდათ, კერძოდ კი აფხაზეთის ტერიტორიაზე. (აინუნგი...)

რაც შეეხება აზერბაიჯანს, აქ ინტერესის წყარო ნავთობის კომერციული მოპოვება გახლდათ. შვედმა მეწარმეებმა, ნობელებმა ბაქოში 1876 წელს დააარსეს პირველი ნავთობის კომპანია, ხოლო 1979 წლისათვის ბაქოში უკვე 9 ჭაბურღილი და გადამამუშავებელი საწარმო ფუნქციონირებდა. თავდაპირველად ნავთობის ტრანსპორტირება ასტრახანის პორტში კასპის ზღვის გავლით ხორციელდებოდა, რაც არახელსაყრელ სანაოსნო პირობას ქმნიდა. ალტერნატიული გზის ძიება როტმილდების ოჯახის დაფინანსებით მოიძებნა და 1883 წელს ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზის ექსპლუატაციაში შესვლით დასრულდა. ამ უკანასკნელმა კი უზრუნველყო კასპიური ნავთობის შავი ზღვის პორტამდე ტრანსპორტირება და სამხრეთ კავკასიის რეგიონის მსოფლიო ბაზართან კიდევ უფრო დაკავშირება.

გარდა აღნიშნული კომპანიებისა სამხრეთ კავკასიის რეგიონში ნედლეულის მოპოვებასა და რეალიზაციის საქმიანობას სხვა ტრანსნაციონალური კორპორაციებიც ემსახურებოდნენ, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს რეგიონში შრომის საერთაშორისო დანაწილებასა და საწარმოო კომპლექსის ფორმირებას.

დღეს ტნკ-ები მეურნეობის ყველა დარგში გვხვდება, თუმცა თანამედროვე ტნკ-ებისათვის დამახასიათებელია ინოვაციური საქმიანობა. კონკურენტული უპირატესობიდან გამომდინარე ტნკ-ების უცხოურ ბაზარზე შეღწევის პრიორიტეტს სწორედ ტექნოლოგიების ცოდნა და ფლობა წარმოადგენს. ამის ნათელი მაგალითია სონი, ელჯი, ეიფლი, პანასონიკ ელექტრიკი, ტომიბა, ნოკია, ვადაფონე და სხვა, რომლებმაც თავიანთ დარგებში შექმნეს ახალი პროდუქტების მრავალი ვერსიები და მომხმარებლებს მიაწოდეს ტექნოლოგიური პროგრესის თანამედროვე ნიმუშები.

ინოვაციური პროდუქტების მწარმოებელმა კომპანიამ, ასევე უნდა იზრუნოს ბაზარზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნებაზეც. მაგალითად ფინური კომპანია Nokia აწარმოებს სატელეკომუნიკაციო ქსელების აღჭურვილობასა და სერვისს, 1998-2012 წლებში მობილური ტელეფონების უმსხვილესი გამყიდველი იყო მსოფლიოში თუმცა მას შემდეგ რაც ბაზარზე iPhone-ი, Sumsung-ი, Sony Xperia-ი, Windows-ი გამოჩნდა მან დაკარგა პირველობა დაბალი ინოვაციურობის გამო. კომპანიამ სანამ ოპერატიული სისტემა Symbian-ი განაახლა მსოფლიო უკვე Apple-ის, Google-ისა და Android-ის პლატფორმით სარგებლობდა. (BBC...).

ტნკ-ები მონაწილეებს წარმოადგენენ სახელმწიფო დონეზე და გამოდიან აგენტების სახით. ზოგიერთი მკვლევრის აზრით ტნკ-ების მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში მთავარ სუბიექტად მოგვევლინება, ხოლო სახელმწიფოები მეორე ადგილს დაიკავებენ. მკვლევრების ნაწილი კი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოები აკონტროლებენ ტნკ-ების ინტეგრაციის დონეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოები არასოდეს დაკარგავენ თავიანთ გავლენასა და პოზიციებს. (Верховцева, 2013:1.1).

ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა განვითარების სხვადასხვა ტენდენციები გაიარეს და შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი მიმართულებები: (Ромашкин, 2016:1.2).

- თვისობრივად ახალი მეხუთე თაობის „გლობალური კორპორაციების“-ს ჩამოყალიბება და ძველი ტნკ-ების ტრანსფორმირება;
- მაღალკვალიფიციური აგრესიული ტნკ-ების ფორმირება ტრადიციულ მრეწველობაში (გერმანიისა და ევროპის სხვა ქვეყნებში);
- კრიზისის წინაშე მყოფი ტნკ-ების შერწყმის მცდელობა უცხოური კომპანიების მიერ (იაპონია, სამხრეთ კორეა);
- ტრადიციული ტნკ-ების შექმნა ეროვნულ-საფინანსო ინსტიტუტების მიერ (განვითარებადი ქვეყნები, მექსიკა, ნაწილობრივ ჩინეთი და სხვა);
- მცირე და საშუალო ფირმების საზღვარგარეთ გაძლიერება, რომლებიც ფაქტობრივად გარდაიქმნებიან ახალ ტრანსნაციონალურ კორპორაციებად.

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის გაფართოვებამ და კაპიტალის გადინების ზრდის ტენდენციამ მიგვიყვანა მსოფლიო წარმოების აღმავლობისაკენ და

საერთაშორისო ბაზრების ერთიანი რეგულირების სისტემის შექმნისაკენ. საერთაშორისო გარემოს ჩამოყალიბების ტენდენციები კი სხვადასხვა ორგანიზაციების (WB-მსოფლიო ბანკი, WTO-საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია, GATT-ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმება, IMF-საერთაშორისო სავალუტო ფონდი, CMEA-ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო და სხვა.) შექმნამ გამოიწვია. ცხრილი №2-ზე ასახული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, მთავრობათაშორისი დოკუმენტები შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოებრივი კავშირების გაღრმავების წინამძღვრებად. (იხ. დანართი №3).

რაც შეეხება მეხუთე თავის ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ისინი საქმიანობას მსოფლიოს მასშტაბით ახორციელებენ. მაგალითად შვედური ფირმა ნესტლე თავისი საქონლის 98%-ის რეალიზაციას მსოფლიოს 190 ქვეყანაში ახორციელებს და დასაქმებული ჰყავს 308 000 ადამიანამდე. (Nestle, 2018). იგივე შეიძლება ითქვას „ნესკაფე“-ზე, რომელიც 200 ქვეყანაში იყიდება, „ნოკია“-ს მობილური ტელეფონი - 130 ქვეყანაში, ლუდი „ჰეინკენი“ 170-ში და ა.შ., თუმცა არიან კომპანიები, რომლებიც წარმოების რესურსების თავმოყრას ერთ ქვეყანაში ამჯობინებენ. მაგალითად ერთ-ერთი ამერიკული კომპანია „Boeing Company“, რომელიც საავიაციო-სამხედრო ტექნიკის მწარმოებელია, ამერიკის უმსხვილესი ექსპორტიორია და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წამყვანი კონტრაქტორია კომპანიის შტაბი მდებარეობს ამერიკაში, კერძოდ შტატ ჩიკაგოში (ილინოისი), ხოლო თვითმფრინავებს აწყობს ისევ ამერიკაში ოლონდ ვაშინგტონის შტატში (სიეტლი) ახორციელებს.(DAT..., 2015). იგივე შეიძლება ითქვას „დაიმლერის ავტოკორპორაციის“ (Daimler AG) ყველაზე ცნობილ ბრენდზე - „Mercedes-Benz“-ზე, ავტოგიგანტმა ავტომობილების წარმოების რესურსებს გერმანიაში მოუყარა თავი, კერძოდ კი შტუტგარტის შტატში. (Interbrend..., 2018). მიუხედავად იმისა, რომ ალბამის შტატში გაიხსნა ახალი ქარხანა, მერსედესის 10 ავტომობილიდან 9 მარკის ავტომობილი კვლავ გერმანიაში იწარმოება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მნიშვნელოვნად შეიცვალა ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრუქტურა და მართვის სტრატეგიები. ის ფაქტი, რომ ტნკ-ები

საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ელემენტია, ხშირად კომპანიები თავიანთ ფილიალებს მართავენ ადგილობრივი მენეჯმენტისა და კადრების მეშვეობით. მაგალითად კომპანიამ „Ford Motors Company“-იმ ამერიკული მართველობის პრინციპები შეუსაბამა ბრიტანეთისა და გერმანიის ადგილობრივ პირობებს, რომლებმაც შემდგომში დამოუკიდებლად დაიწყეს ერთიდაიგივე პროდუქტის, ამ შემთხვევაში ავტომანქანის წარმოება (იაგუარი, ლენდ როვერი და სხვა). (Пивоваров..., 2013:5.2).

ბოლო დროს შეინიშნება ისეთი ქვეყნების კომპანიების რაოდენობის ზრდა, როგორცაა ბრაზილია, ჩინეთი, ჰონკონგი, სამხრეთ კორეა და ა.შ. მსოფლიოს 50 უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კორპორაციების რეიტინგში Fortune Global 500-ის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება. (იხ. დანართი №4).

საგალო ვაჭრობის გიგანტი „ვოლმარტი“ ამერიკული კომპანიაა, რომელიც ბოლო წლებია პირველობას არ თმობს. მისი წლიური შემოსავალი აღემატება ზოგიერთი ქვეყნის წლიურ შემოსავალს და ყურადღებას იპყრობს დასაქმებულთა რაოდენობის სიდიდითაც, რაც 2 300 000 ადამიანს გულისხმობს.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ ბ. ქალენი თავის წიგნში სახელწოდებით „საერთაშორისო ბიზნესი“ აღნიშნავს, რომ მსოფლიოს ბევრ უმსხვილეს კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები იმისათვის, რომ ზეგავლენა მოახდინონ ქვეყნებზე. მაგალითად, კომპანია Wal-Mart-ის შემოსავალი გაცილებით მაღალია მრავალი ქვეყნის მშპ-ზე. ამასთან კომპანია ყურადღებას ამახვილებს სოციალურ კეთილდღეობაზე, რომლის ფარგლებშიაც ატარებენ გარემოსდაცვით ღონისძიებებს, აფინანსებენ განათლების მიღებას და მონაწილეობას დეზულობენ საზოგადოებრივ აქტივობებში.

Fortune Global 500-ის მონაცემების მიხედვით, 2018 წლის მსოფლიოს 500 უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციები ძირითადად ბაზირებული არიან 10 ქვეყანაში: ამერიკა (126), ჩინეთი (120), იაპონია (52), გერმანია (32), საფრანგეთი (28), დიდი ბრიტანეთი (21), კორეა (16), ჰოლანდია (15), შვეიცარია (14) და კანადა (12). საერთო ჯამში კი ეს ქვეყნები მსოფლიო ბაზარზე არსებული ტნკ-ების 87,2 % წარმოადგენენ. (Global Finance...).

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებმა დაარღვია ერი-სახელმწიფოების ცნება, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, რომლებმაც გლობალური სტრატეგიის ფარგლებში ადვილად გადალახეს სახელმწიფოთა ეროვნული საზღვრები და დაიმკვიდრეს ადგილი უცხო ქვეყნებში. თავისმხრივ, მათ საქმიანობამ ხელი შეუწყო წარმოებისა და კაპიტალის გადინებას, რამაც ქვეყნებს შორის დამოკიდებულება კიდევ უფრო გააღრმავა. სამხრეთ კავკასიის რეგიონი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ყოველთვის იყო ტნკ-ების ყურადღების ცენტრი, თუმცა ამას ტნკ-ების საქმიანობის სპეციფიკაც განაპირობებდა. ტნკ-ების განვითარების ტენდენციების პარალელურად იცვლებოდა დარგობრივი სტრუქტურაც, რამაც შემდგომში უკვე ჩამოაყალიბა საერთაშორისო ბაზრების ერთიანი რეგულირების სისტემა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, ისიც დღეისათვის ტნკ-ები მეურნეობის ყველა დარგში გვხვდება და ამით კიდევ უფრო ხელს უწყობს შრომის საერთაშორისო დანაწილებას და საწარმოო კომპლექსების ფორმირებას, თუმცა კორონავირუსის მსოფლიო პანდემიის მიერ ტრანსნაციონალიზაციის პროცესების შენელებამ, შეიძლება შეცვალოს მასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების განვითარების ტენდენციები.

1.2 ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაცია როგორც თანამედროვე მდგრადი განვითარების მთავარი ფაქტორი;

ტრანსნაციონალიზაციის ფენომენი 60-იანი წლებიდან დაწყებული იპყრობს ეკონომიკის ყურადღებას და განვითარების გრძელი გზა გაიარა, თუმცა მიუხედავად ამისა ტრანსნაციონალიზაციის თეორიის ყველა ასპექტი ჯერ კიდევ არ არის სრულად ახსნილი. ტრანსნაციონალიზაციის თეორია შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. პირველს მიეკუთვნება ტრანსნაციონალური კორპორაციების ევოლუციის თეორიები, რომლებიც გვიჩვენებენ იმ ეტაპების კანონზომიერებებს, რასაც გაივლიან ისინი და მიმდები ქვეყნები ეკონომიკური ევოლუციის მსვლელობისას. ესენია პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის, დამწევი ციკლისა და ოლიგოპოლისტური დაცვის, აგრეთვე ერის ინვესტიციური განვითარების გზების თეორიები. მეორე ჯგუფის თეორიები

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ტრანსნაციონალიზაციის მოტივაციის სხვადასხვა ფაქტორებს. მას შეიძლება მივაკუთვნოთ ტექნოლოგიური კონცეფცია, მონოპოლისტური უპირატესობების კონცეფციის თეორია, ინტერნაციონალიზაციის თეორია, ელექტიკური თეორია და ერის კონკურენტული უპირატესობის თეორია. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ტექნოლოგიური კონცეფცია წამოაყენა ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტ-ინსტიტუციონალისტმა ჯ. კ. გელბრეითმა, თავის წიგნში - „ახალი ინდუსტრიული საზოგადოება“. (Galbraith, 1967b). ის თვლის, რომ ტრანსეროვნული კორპორაციები ავითარებს თავის უცხოურ სტრუქტურებს ძირითადად საზღვარგარეთ თავისი რთული ტექნიკური პროდუქციის მომსახურებისა და გასაღების გასაფართოებლად, საგარანტიო მომსახურების ორგანიზაციის და პრომოუშენ-კომპანიების ხარჯზე. მას წიგნში წარმოდგენილი აქვს ეკონომიკური სისტემა ორი შემადგენლით: „გეგმური სისტემა“, რომელიც მოიცავს მსხვილ კორპორაციებს, და „საბაზრო სისტემა“, რომელიც შედგება წვრილი ფირმებისა და ინდივიდუალური მეწარმეებისაგან. საბაზრო სისტემის მიმართ ჯ. გელბრეიტის თვალსაზრისმა თავისი ასახვა პოვა მის ნაშრომში, „ეკონომიკური თეორიები და საზოგადოების მიზნები“, რომელიც იქცა კაპიტალისტურ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზის სფეროში ავტორის წინა გამოკვლევების განზოგადებად. (Galbraith, 1973a). ამ ნაშრომში ავტორმა მოგვცა „ტექნოსტრუქტურის“ ცნების ფორმულირება, რომლის წარმოქმნა დაუკავშირა კორპორაციათა ინსტიტუტის ევოლუციას. ჯ. გელბრეიტის აზრით, „გეგმურ სისტემაში“ ბატონობს ტექნოსტრუქტურა, ხოლო „საბაზრო სისტემაში“- მის მიერ შევიწროებული ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი წვრილი საწარმოები.

აღსანიშნავია, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოქმნის მიზეზს მრავალი მკვლევარი იკვლევს. მნიშვნელოვანი წვლილი, ამ მიმართულებით კვლევაში, შეიტანა სტეფან ჰაიმერმა და წამოაყენა მონოპოლისტური უპირატესობის თეორია. (Hymer, 1976). იგი ასევე განასხვავებს პორტფელური და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმასხვავებელი ნიშანთვისებებს და აღნიშნავს, რომ პორტფელური ინვესტიციები უზრუნველყოფს საზღვარგარეთული საწარმოების მოგების მხოლოდ ნაწილს და არ იძლევა მათი მოქმედებების გაკონტროლების

საშუალებას, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემთხვევაში აქციათა საკონტროლო პაკეტი რჩება სათაო კომპანიის ხელში და აქ პრინციპულად მნიშვნელოვანი ფაქტორია არა საკუთრება, არამედ კონტროლი.

ფილიპ კოტლერი და გარი არმსტრონგი (**Armstrong..., 2012**) ნაშრომში „მარკეტინგის პრინციპები“ აღნიშნავენ, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების გიგანტური ზომები და მათი მოქმედების მასშტაბები ქმნის შთაბეჭდილებას მათი მონოპოლიზმის შესახებ, თუმცა ასევე თვლიან, რომ ასეთი მოსაზრება მთლად მართებული არ არის, ვინაიდან დიდი ზომები ჯერ კიდევ არ აძლევს ფირმას მონოპოლიად გარდაქმნის საშუალებას.

ვინაიდან ტრანსნაციონალური კორპორაცია - წარმოადგენს მოგების განსაკუთრებულ ფორმას, რომელიც აჯამებს მონოპოლიზმისა და მისი უარყოფის დიალექტიკურ ერთიანობას კოტლერი და არმსტრონგი საჭიროდ მიიჩნევენ ტრანსეროვნული მონოპოლიისა და კორპორაციის ცნებების შინაარსის დაზუსტებას. ტრანსნაციონალური კორპორაცია - ეს არის სააქციო საზოგადოება, რომელსაც აქვს საზღვარგარეთული აქტივები და რომლის საკონტროლო პაკეტს ფლობს ერთი და იგივე ქვეყნის კაპიტალისტი. ყოველი ამგვარი კომპანიაა როდია მონოპოლიური. მონოპოლიურს განეკუთვნება მხოლოდ ის ტრანსეროვნული სააქციო საზოგადოება, რომელიც გაბატონებულია მსოფლიო მეურნეობის ერთ ან რამდენიმე დარგში თუ სფეროში, აქედან გამომდინარე, შესწევს ძალა აქტიურად იმოქმედოს წარმოების პროცესზე, მსოფლიო ბაზარზე და მიითვალოს მონოპოლიური გაგება. ასეთ მოთხოვნებს აკმაყოფილებს კორპორაციათა არცთუ ისე დიდი ნაწილი.

მონოპოლისტური თეორია შემდგომ განავითარა ამერიკელმა ეკონომისტმა ჩარლზ კინდლბერგერმა. თავად მონოპოლისტური კონკურენციის ცნება შემოიტანა და გამოიკვლია ედუარდ ჩემბერლინმა. სასაქონლო ბაზრის მონოპოლიზაციის პირობებში კომპანია ცდილობს გამოიყენოს კონკურენციის განსაკუთრებული სახე, გამოყოფს რა თავის საკუთარ საქონელს განსაკუთრებულ ჯგუფად რეკლამის და სხვა ღონისძიებების გამოყენების გზით, საქონლის ბაზარზე გასატანად. ეს საქონელი ხდება განსაკუთრებული და მასზე საბაზრო კონკურენციის საერთო კანონები არ ვრცელდება. (**Kidleberger, 1969**).

როცა კომპანია გამოდის უცხოურ ბაზარზე, იგი ბუნებრივია, კონკურენციაში შედის იქ უკვე მოქმედ ადგილობრივ კორპორაციებს, რომელთაც გააჩნიათ რიგი უპირატესობანი, ვინაიდან კარგად იცნობენ საკუთარ ბაზარს და მომხმარებლის გემოვნებას. ამიტომ ერთ-ერთი საშუალებაა, დაიპყრო ბაზრის რომელიმე სეგმენტი, მონოპოლისტური კონკურენციის მეთოდების გამოყენებაში მდგომარეობს.

პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია, რომელიც შემუშავებულია 1966 წელს, ამერიკელი პროფესორის რაიმონდ ვერნონის მიერ, ემყარება ნებისმიერი საქონლის მიერ ბუნებრივი სასიცოცხლო ციკლის გავლის შესახებ პოსტულატს, რომელიც შედგება სამი თანმიმდევრული სტადიისაგან: ინოვაციის, ზრდის სიმწიფის და სტანდარტიზაციის ფაზებისაგან. (Vernon, 1966).

პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის თეორია, გამოიყენებოდა გარკვეული ტიპის უცხოური ინვესტიციების ასახსნელად, რომლებიც განახორციელეს ამერიკულმა კომპანიებმა დასავლეთ ევროპულ საწარმოებში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და სწორედ ამ თეორიამ ახსნა ტნკ-ების საქმიანობის გადატანა საზღვარგარეთ. ვერნონის თანახმად, პირველი სტადიის დროს ამერიკულმა ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა შექმნეს ახალი ინოვაციური პროდუქტი, რომელიც თავდაპირველად იწარმოებოდა და იყიდება ადგილობრივ ბაზარზე. მოთხოვნის ზრდასთან ერთად ხდებოდა ადგილობრივი ბაზრის გაჯერება, ასევე საქონლის სტანდარტიზება და ექსპორტირება საზღვარგარეთ. ფირმები იწყებენ ფილიალების გახსნას სხვა ქვეყნებში, სადაც წარმოების ხარჯები შედარებით დაბალია. როდესაც კონკურენცია მეტოქე ფირმების მხრიდან ინტენსიურია, საქონელი აღწევს სიმწიფეს. აქედან გამომდინარე, უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ფაზას, რომელიც თან სდევს პროდუქციის სიმწიფის ეტაპს. უცხოური ინვესტიციების ინტერნაციონალიზაციის თეორიის თანახმად, მომგებიანობის გასაზრდელად ზოგიერთი ბიზნესგარიგება უნდა განხორციელდეს ფირმის ფარგლებში და არა ფირმებს შორის, სწორედ ეს მიზეზი განაპირობებს ტნკ-ების არსებობას. აღნიშნული თეორია ტნკ-ების წარმოების ინტერნაციონალიზაციას არასრულყოფილი ბაზრების არსებობით ხსნის. (Denisia, 2010).

დამწვევი ციკლის თეორია ე.წ. „მფრინავი ბატების“ პარადიგმა შემუშავებულია იაპონელი მეცნიერი კ. აკამაცუ მიერ, რომელიც იაპონიის მრეწველობის სხვადასხვა დარგების შესწავლის საფუძველზე მივიდა დასკვნამდე დარგების განვითარების სამფაზიანობის შესახებ. ყოველი დარგის პირველ ფაზაში იზრდება უცხოური საქონლის იმპორტი ქვეყანაში. მეორე ფაზაში იგი შესუსტებას იწყებს საკუთარი იმპორტშემცველი წარმოების წარმოებისა და განვითარების გამო, რომელიც განსაზღვრულ მომენტში უსწრებს იმპორტს მოცულობის მიხედვით. მესამე ფაზა უკავშირდება დარგის ექსპორტის განვითარებას სხვა ქვეყნებში. ამ სამი ფაზის შემდეგ ყალიბდება პირობები ადგილობრივი კორპორაციების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტრანსნაციონალიზაციისათვის. იმპორტის, იმპორტშემცველი წარმოების და დარგის ექსპორტის მოცულობების გრაფიკები რომანტიკოს იაპონელს ველური ბატების გუნდების ჩამოყალიბებას ახსენებდა, ამიტომაც უწოდა კონცეფციას „მფრინავი ბატების“ პარადიგმა. (Akamatsu, 1961).

ოლიგოპოლისტური დაცვის თეორია, რომელიც შემოგვთავაზა ეკონომისტმა ფედერიკ ნიკერბოკერმა (Knickerbocker, 1973). ტრანსნაციონალიზაციის განვითარებას ხსნის აგრეთვე ლიდერებთან დევნით, მაგრამ უკვე ტრანსეროვნულ კორპორაციებს შორის. 187 ამერიკული კორპორაციის შესახებ ემპირიული მონაცემების საფუძველზე ოცი წლის მანძილზე მან აღმოაჩინა ის, რომ ოლიგოპოლისტურ დარგებში, სადაც ეროვნული ბაზრის დიდ ნაწილს აკონტროლებს შვიდიდან ოთხი კორპორაცია, ერთ-ერთი კონკურენტული კომპანიის ტრანსეროვნული ნახტომიდან 3-7 წლის შემდეგ უცხოურ ბაზრებზე აუცილებლად მოდიან მისი საშინაო კონკურენტები. ამ თეორიაში ტრანსნაციონალიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება კონკურენტული დევნა ლიდერ კომპანიაზე.

შვედი ეკონომისტების ელი ჰეკშერსა და ბერტილ ოლინის მიერ შემუშავებული თეორია ასაბუთებს წარმოების ფაქტორების გადაადგილების ეფექტიანობას ერთი ქვეყნიდან მეორეში. ამ თეორიის ძირითადი კანონი, რომელიც მისი ავტორების სახელს ატარებს - ჰეკშერ-ოლინის თეორია, გვეუბნება, რომ ქვეყნებს, რომელთაც ესა თუ ის წარმოების ფაქტორები ჭარბად აქვთ, ექნებათ შედარებითი უპირატესობანი იმ

საქონლის და მომსახურების ექსპორტში, რომელიც დაფუძნებულია წარმოების მოცემული ფაქტორების ინტენსიურ გამოყენებაზე. (Heckscher..., 1991).

ინტერნალიზაციის თეორია, რომელიც წარმოადგენილია ინგლისელი ეკონომისტების პიტერ ბაკლისა და მარკ კასონის მიერ, დაფუძნებულია იმ პოსტულატებზე, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების ძირითად კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს მთლიანი ინტერნალური (შიდა) სტრუქტურა, რომლის დროსაც კორპორაციაში შემუშავებული ნოუ-ჰაუ მიუწვდომელია კონკურენტებისათვის. (Bukley..., 1976).

ერის ინვესტიციური განვითარების გზების თეორია, რომელიც შემოთავაზებულია ჯ. დანიინგის მიერ (1981) ჰოლანდიელ მეცნიერ ნარულოისთან ერთად. ამ თეორიის თანახმად, განვითარებული ქვეყნები გადიან ხუთ ეტაპს, რომელთა კლასიფიკაციურ ნიშნებს წარმოადგენს მზადყოფნა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიღებისა და ექსპორტირებისათვის. (Dunning..., 1996).

ჯონ დანიინგის **ეკლექტიკური თეორია** მიზნად ისახავს ცალკეული „საუკეთესო“ ელემენტების გაერთიანებას, რომლებიც აღებული იყო სხვადასხვა წინამორბედი თეორიებიდან ტრანსნაციონალიზაციის ყოველმხრივი ახსნისათვის. თეორია ეფუძნება ინტერნაციონალიზაციის პირობებსა და ფირმის საკუთრების და მიმღები ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობას.

ეკლექტიკურ თეორიას, რომელსაც სხვაგვარად OLI-ის (Ownership, Location, Internationlization) პარადიგმასაც უწოდებენ, სამი ფაქტორისაგან შედგება: ადგილმდებარეობის, მფლობელისა და ინტერნაციონალიზაციის უპირატესობა. სწორედ ამ თეორიაზე დაფუძნებით ნაშრომის მეორე ნაწილში ჩვენ შევეცადეთ პირველად მოგვეხდინა და აგვეხსნა თუ რა როლს თამაშობს კონკურენტული უპირატესობა საქართველოში ტრანსნაციონალიზაციის პროცესის ჩამოყალიბებაში.

მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან ტენდენციას ტრანსნაციონალიზაცია წარმოადგენდა, რომელიც ეკონომიკურად განპირობებული იყო კაპიტალის გადაადინების შესაძლებლობებითა და აუცილებლობით. ტრანსნაციონალიზაციის დროს იმ ქვეყნებიდან, სადაც კაპიტალის შედარებით ჭარბი ოდენობაა, გაედინება ქვეყნებში სადაც მისი დეფიციტია, თუმცა ჭარბადაა წარმოების სხვა ფაქტორები

(შრომა, მიწა, სასარგებლო წიაღისეული), რომლებიც არ შეიძლება იყოს გამოყენებული რაციონალურად კვლავწარმოების პროცესებში კაპიტალის უკმარისობის გამო.

ტრანსნაციონალიზაციის პროცესის გამოხატულებაა ტრანსნაციონალური კორპორაციების მსოფლიო ეკონომიკის რეალურ სუბიექტებად გადაქცევა, სწორედ ამიტომ თანამედროვე მსოფლიოში ტნკ-ები გვევლინებიან, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების მთავარ ფაქტორებად, რომლებიც დიდწილად განსაზღვრავენ მსოფლიო ბაზრების განვითარების სტრუქტურასა და მიმართულებებს. (Любецкий, 2015:42).

ტრანსნაციონალიზაცია განიხილება, როგორც კაპიტალის მოძრაობა ორ ან რამდენიმე ქვეყანაში, შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ მისი საწყისი წერტილი ინვესტიციების განხორციელებაა სხვადასხვა ქვეყნებში, რომელიც შემდგომში სავაჭრო ნაკადების ფორმირებით გვევლინება. ზოგადად რომ ითქვას ინვესტიციები კაპიტალის დაბანდებაა ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ორგანიზაციებსა და წარმოებებში, რომელიც ქმნის სტაბილურ და გრძელვადიან კავშირებს ეკონომიკებს შორის და შეუძლია მიძღვას ქვეყნის კონკურენტული პოზიციის გაუმჯობესება.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის და ინტეგრაციის პროცესებში კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა იზრდება და გლობალიზაციის განხორციელების ერთ-ერთ ფორმად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გვევლინება. პუი-ის ძირითადად ტრანსნაციონალური კორპორაციები (ტნკ) ახორციელებენ, რომლებისთვისაც ეროვნული ეკონომიკის საზღვრები პირობით ხასიათს ატარებს და ხელს უწყობს უცხოური კაპიტალის ნაკადების საერთაშორისო კონკურენციის ჩამოყალიბებას, ბაზრების ლიბერალიზაციას და სხვა. ამასთან, ტნკ საქმიანობა მოიცავს საინვესტიციო და საწარმოო რგოლი მთლიან ჯაჭვს, დაწყებული კაპიტალის მობილიზებიდან, ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნით, საწარმოო აქტივების შექმნით, საქონლისა და მომსახურების უშუალო წარმოებით, დამთავრებული ახალი ტექნოლოგიების შემუშავებით. ტნკ-ები ამ საქმიანობას საზღვარგარეთ ეწევიან პუი-ს არხების მეშვეობით, აგრეთვე იმ მექანიზმებით, რომლებიც არ არის დაკავშირებული კაპიტალთან (მაგალითად, ლიცენზირება, ფრენშიაიზინგი, მმართველობითი

კონტრაქტები, ტექნიკური და მარკეტინგული მომსახურების გაწევა) და თავისი არსით ახლოსაა კლასიკურ კომერციულ ოპერაციებთან. (საერთაშორისო ბიზნესი..., 2011:5.2).

შესაბამისად ტრანსნაციონალიზაციის მოცულობის მზარდი ტენდენცია განპირობებული იყო მსოფლიო ეკონომიკის ლიბერალიზაციით, რომლის წყალობითაც გაფართოვდა კაპიტალის მოძრაობის არეალი. ვინაიდან, ტრანსნაციონალიზაცია გულისხმობს ტრანსნაციონალური გაერთიანებებს საზღვრისა და ეროვნულობის გარეშე და ამ პროცესში ჩართულია მსოფლიოს ყველა ქვეყანა, საერთაშორისო დონეზე ის ქვეყნები აღწევენ წარმატებას, რომლის ეკონომიკაც ლიბერალიზაციის მაღალი დონით გამოირჩევა.


გასულ საუკუნეში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით ამერიკა ლიდერობდა, თუმცა ბოლო პერიოდში დინამიკა იცვლება. დინამიკის ცვლილება შესაძლოა დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებასაც გამოეწვია, ვინაიდან ადრე უპირატესობა სანედლეულო დარგებს ეკუთვნოდა, განსაკუთრებით ნავთობის მოპოვებას უცხოეთში გატანას, კორონავირუსის მსოფლიო პანდემიამდე, ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართული იყო ადგილობრივი დონის ამაღლებისაკენ და მომხმარებლების სხვადასხვა ტექნოლოგიების მოთხოვნით დაკმაყოფილებისაკენ, მაგალითად, საავტომობილო კომპანიები ქმნიდნენ საკუთარ წარმოებას ტაილანდში და ბრაზილიაში არა იმიტომ, რომ მოეხდინათ ავტომობილების ექსპორტი აშშ-ში და იაპონიაში, არამედ მათი გასაღებისთვის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და სამხრეთ ამერიკაში.

კორონავირუსის მსოფლიო პანდემიამდე, მთელი პროცესების დინამიკა და მასშტაბები, რომლებიც დაკავშირებული იყო ტნკ-ების, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და წარმოების ინტერნაციონალიზაციის განვითარებასთან კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებითაც.

Heritage Foundation-ი, რომელიც 180-ზე მეტი ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს ზომავს (ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი) 2019 წლის კვლევის შეფასებით საქართველო 75.9 ქულით (მაქსიმალური ქულა 100) მე-16 ადგილზეა. ამასთან საქართველოს სარეიტინგო ქულა 12 კომპონენტიდან 5

კომპონენტში გაუმჯობესდა, ხოლო ქვეყნის მთლიანი ქულის 0,3 პუნქტით შემცირება განაპირობა: 1. სასამართლოს ეფექტიანობის მკვეთრი გაუარესების კომპონენტის ცვლილებამ - 2019 -54,6%; 2018 -64,2%; 2. მთავრობის ჩართულობის კომპონენტის გაუარესებამ - 2019 - 58,5%; 2018 - 61,8%; 3. მონეტარული თავისუფლების ქულების შემცირებამ - 2019 - 76,0%, 2018 - 79,6%; (**Heritage...**, 2019). (იხ. დიაგრამა № 3).

დიაგრამა № 3 : ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი საქართველოში, ევროპასა და მსოფლიოში Heritage Foundation-ის მიხედვით 1995 2019წ.



წყარო: დიაგრამა შემუშავებულია ავტორის მიერ Heritage Foundation მონაცემებზე დაყრდნობით ამავე ინდექსის მიხედვით საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა და ევროპის 44 ქვეყანას შორის მე-8 ადგილზეა და მისი საერთო ქულა როგორც მსოფლიოს (60,8 ქულა), ისე რეგიონის (68,6 ქულა) საშუალო ქულას აღემატება.

როგორც მონაცემებიდან ჩანს „ვარდების რევოლუციამდე“, 2002 და 2003 წლებში ამ ინდექსის მიხედვით საქართველო იკავებდა დაბალ ადგილებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტენდენცია 2004-2005 წლებშიც გაგრძელდა რევოლუციის შემდეგ გატარებულმა რეფორმებმა შეამცირა კორუფცია, გაამარტივა გადასახადები, განავითარა ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა, გახსნა ბაზრები, რასაც 2006 წლიდან რეიტინგის გაუმჯობესება მოყვა.

Fraser Institute-ის რეიტინგი „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება“, რომელიც 163 ქვეყანას ხუთი ძირითადი მიმართულებით აფასებს - მთავრობის ზომა, საკანონმდებლო სისტემისა და საკუთრების უფლების დაცვა, მყარი ვალუტა, საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება და რეგულაცია საქართველო ჰონგ-კონგის, სინგაპურის, ახალი ზელანდიის, შვეიცარიის, ირლანდიისა და ამერიკის შემდეგ მეშვიდე ადგილს იკავებს. ამავე ინსტიტუტის მიერ 2018 წელს გამოქვეყნებული

ანგარიშის მიხედვით, რომელიც მოიცავს ქვეყნების შეფასებებს 2016 წლის მონაცემთა საფუძველზე საქართველომ წინა წლებთან შედარებით გაიუმჯობესა რეიტინგი და ეკონომიკურად უფრო განვითარებული ქვეყნები, როგორცაა გერმანია ან საფრანგეთი უკან ჩამოიტოვა. (იხ.ცხრილი № 2).


ცხრილი № 2 : ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი საქართველოში, Fraser Institute - ის მიხედვით 2007-2017წ

წელი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
საქართველო	38	26	30	27	22	13	11	7	9	7	12

წყარო: (Fraser..., 2018)

მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების ინდექსი“-ს ანგარიშის მიხედვითაც კი შეინიშნება საქართველოს პროგრესი ბიზნესის რეგულაციებისა და საკუთრების დაცვის უფლებებზე. მსოფლიოს ბანკის მიერ 2019 წელს გამოქვეყნებული ანგარიში მოიცავს 190 ქვეყნის 10 მაჩვენებელს, სადაც საქართველო მე-6 ადგილს იკავებს. (იხ.დიაგრამა № 4 და ცხრილი №3).

დიაგრამა № 4: ბიზნესის კეთების ინდექსი საქართველოში, World Bank-ის მიხედვით 2012-2019წ



წყარო: (World Bank..., 2019)

ცხრილი №3: საქართველოს ადგილი რეიტინგში კომპონენტების მიხედვით 2019წ.

ჯამური რეიტინგი	6
ბიზნესის დაწყება/Starting a Business	2
სამშენებლო ნებართვების აღება/Dealing with Construction Permits	27
ელექტროენერჯის მიწოდება/Getting Electricity	39
ქონების რეგისტრაცია/Registering Property	4
სესხზე ხელმისაწვდომობა/Getting Credits	12
მცირე წილის მფლობელ ინვესტორთა დაცვა/Protecting Minority Investors	2
გადასახადების გადახდა/Paying Taxes	16
საგარეო ვაჭრობა/Trading across Borders	43
კონტრაქტის პირობების აღსრულება/Enforcing Contracts	8
ბიზნესის დახურვა/ Resolving Insolvency	60

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზემოთაღნიშნული საერთაშორისო ინდიკატორებში მოწინავე პოზიცია მიუთითებს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალიზაციაზე. საქართველო როგორც განვითარებადი ქვეყანა, რომელიც რესურსების სახეობების მიხედვით საკმაოდ მწირია ეკონომიკაც ლიბერალიზაციის მაღალი დონით ცდილობს ტრანსნაციონალიზაციის პროცესის გაფართოებას. საქართველოში ტრანსნაციონალიზაციის ერთ-ერთ კომპონენტად პირდაპირ უცხოური ინვესტიციები განიხილება, რასაც ტექნოლოგიური მიღწევებისა და ბევრად უფრო ლიბერალური პოლიტიკისაკენ მივყავართ. მსოფლიოს ეკონომიკაში კი როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ის ქვეყნები აღწევენ წარმატებას, რომლის ეკონომიკაც ლიბერალიზაციის მაღალი დონით გამოირჩევა.

შესაბამისად გლობალიზაციის მთავარ კომპონენტებად ტნკ-ების უცხოური ინვესტიციების როლი და პუი-ს ნაკადები განიხილება. ტექნოლოგიური მიღწევებისა და ბევრად უფრო ლიბერალური პოლიტიკის შედეგად, ასევე კონკურენციის გავლენით ტრანსნაციონალიზაციის პროცესმა ჩამოაყალიბა ერთიანი მსოფლიო ეკონომიკა. ტნკ-ების პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ამჟამად თამაშობენ მნიშვნელოვან როლს სხვადასხვა ეროვნული ეკონომიკის დაკავშირებისა და ინტეგრირებული ინტერნაციონალურ საწარმოო სისტემის მსოფლიო ეკონომიკის საწარმოო ბირთვის ჩამოყალიბებაში.

ერთ-ერთი მთავარი დადებითი მოვლენა რომელიც საერთაშორისო რეიტინგებში აღინიშნება არის ის, რომ რეფორმები საქართველოში უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე შესაბამისი ეკონომიკური განვითარების მქონე სხვა ქვეყნებში. (ხურცია, 2006). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართულმა ეკონომიკამ მკვეთრი დაცემა განიცადა, თუმცა 1990-იანი წლებიდანვე დაიწყო ღია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ამ დროს კი საქართველოს ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთ ბარიერად ინვესტიციების დაბალი დონე და არასახარბიელო საინვესტიციო გარემო გახლდათ. კორუფციის მაღალი დონე, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებით გამოწვეული არასტაბილური გარემო, ჩრდილოვანი ეკონომიკა და სხვა მრავალი მიზეზი პირდაპირ აისახა ინვესტიციების მოცულობაზე.

1994 – 1998 წლებში გატარდა რიგი რეფორმები ეკონომიკის ლიბერალიზაციის მიმართულებით, რამაც უცხოური ინვესტიციების გაზრდა განაპირობა, ამას დაემატა საერთაშორისო ენერგეტიკული პროექტების 1996-1998 წლებში ბაქო-სუფსისა და 2003-2005 წლებში ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა. (საქართველოს..., 2013).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით პუი-ს მოცულობა 2007 წელს ქვეყანაში რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია (1,7 მილიარდი დოლარი), ხოლო 2008 წელს რუსეთთან ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო ინვესტიციებმა იკლო და 2009 წელს 666 მლნ დოლარამდე შემცირდა.


2010 წლიდან კი შეინიშნება ინვესტიციების ზრდის ტენდენცია და 2014 წლისათვის მაქსიმალურ მაჩვენებელს 1,8 მილიარდ დოლარს მიაღწია. პუი-ს ზრდა ამ პერიოდისათვის ბუნებრივი აირის ახალი მილსადენის „შაჰდენიზ 2“-ის მშენებლობას უკავშირდება, რომლის ფარგლებშიც საქართველოში მილიარდ დოლარზე მეტი პუი შემოვიდა.

პუი-ს რაოდენობის ზრდა 2015-2016 წლებშიც შეინიშნებოდა, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამ დროისათვის ლარის გაუფასურების გამო დოლარში გამოსახული მშპ შემცირდა და ხელი შეუწყო ინვესტიციებთან ფარდობის ზრდას.

2017 წელს პუი-ს მოცულობამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და დაახლოებით 1,9 მლრდ დოლარი შეადგინა. პუი-ს მოცულობამ 2019 წლის I კვარტალში 281.1 მლნ დოლარი შეადგინა, რაც 2018 წლის I კვარტალის მონაცემზე 6.3%-ით ნაკლებია. შემცირების გამომწვევ მიზეზებს შორისაა მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება და რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში. (იხ. დიაგრამა N°5).

დიაგრამა N°5 : პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენცია საქართველოში

2000-2019 წწ.




ვინაიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სწორედ ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის საფუძველზე სცდება ეროვნულ საზღვრებს, ამიტომ საქართველომ უნდა გაიუმჯობესოს საინვესტიციო გარემო. საქართველოს მცდელობა ლიბერალურ ეკონომიკის ჩამოყალიბებისა გამოიხატება „თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება“-ში, უცხოური კაპიტალის გადადგილებაზე კონტროლის არარსებობაში, ლიბერალურ სავიზო რეჟიმში და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ღარიბი ქვეყანაა ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით დღეისათვის საქართველოში 190-მდე უცხოური ტნკ-ს განყოფილება მოქმედებს. ტნკ-ების საინვესტიციო მიმზიდველობას საქართველოში ძირითადად გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებდა, სწორედ ამიტომ ტრანსპორტის სფეროში ინვესტიციების რაოდენობა პანდემიამდე 10%-ს შეადგენდა, რაც სხვა ეკონომიკის სექტორებთან შედარებით გაცილებით მაღალი იყო. (იხ. დიაგრამა N°6). (ამავე თავში წარმოდგენილ ტნკ-ების განვითარების თეორიებიდან დანინგის

ეკლექტიკური თეორია მოვარგეთ საქართველოს მაგალითს და კომპანიების დონიდან განვიხილოთ ქვეყნების დონეზე. დანინგის თეორიაზე ახსნილია ადგილმდებარეობის უპირატესობის როლი საქართველოში ტრანსნაციონალიზაციის პროცესის ჩამოყალიბებაში. პუი-ს ტრანსპორტის სფეროში მაღალი მაჩვენებელი კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს მსჯელობას, რომ ადგილმდებარეობის „უპირატესობების“ გამოყენება საერთაშორისო ბაზარზე ინტეგრირების საწინდარია).

საქართველოში დარგობრივად სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2018 წელს ინვესტიციის დიდი რაოდენობით ასევე გამოირჩეოდა კომუნალური, პერსონალური და სოციალური მომსახურების სფეროც (49.7%). 2019 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოცულობამ 281.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ წლიურად ეს მაჩვენებელი 6.3%-ით შემცირდა. (იხ დიაგრამა №6)

დიაგრამა №6: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენცია საქართველოში 2000-2019წწ.(მლნ. აშშ. დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წარმოების მნიშვნელოვანი ნაწილის უცხოეთში გატანა, იქ მრავალი ფილიალის შექმნა, რომელიც ინტეგრირებულია საქონლისა და მომსახურების ერთიან ქსელში, ტნკ-ს საშუალებას აძლევს გამოიყენოს მრავალი ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა და რესურსი. სწორედ ამას ემსახურებოდა ზემოთაღნიშნული რეფორმები, რომლის დამსახურებაცაა საქართველოს ბაზარზე დიდი ბრიტანეთის

კომპანიების შემოსვლა, რომლებმაც შეიძინეს მანგანუმის საბადოები, რუსთავის მეტალურგიული კომბინატი და ბათუმის პორტი.

ჩეხური კომპანია Energo-pro, რომელიც ახორციელებს ელ.ენერჯის წარმოებას და განაწილებას საკუთარი მომსახურების ტერიტორიაზე ინვესტიციები დღეისათვის მისი დისტრიბუციის არეალი საქართველოს ტერიტორიის 70% მოიცავს, ხოლო ჰიდროელექტროსადგურების რაოდენობა 14-ს შეადგენს. (ენერგო-პრო).

ყაზახური ინვესტიციები განხორციელდა სატელეკომუნიკაციო პროექტებში, გაერთიანებული ტელეკომი ყაზახეთის უმსხვილესმა ბანკმა „ტურანალემმა“ შეიძინა. ტელეკომის მფლობელია ქართულ-ყაზახური კონსორციული „Black Sea telecom Holdings BV“. ამავე კომპანიამ შეიძინა ნავთობსატრანსპორტო და ნავთობსავაჭრო კომპანია „Silk Rode Group“-ის აქციათა 49%“. (მანველიძე, 2009:4)

არაბული ინვესტიციებია უძრავი ქონების მსხვილ პროექტებში, როგორცაა „რაკ ჯორჯა ჰოლდინგი“, „რაკი ინნი“, „შერატონ მეტეხი პალასი“ და სხვა. არაბეთიდან შემოსული ინვესტიციები დღესაც ზრდის ტენდენციით ხასიათდება და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით ინვესტორ ქვეყნების შორის იგი ხშირად მოწინავე ადგილს იკავებს.

ინდური ინვესტიციები ხორციელდება ენერჯეტიკის სფეროში, ხოლო სამკერვალო და სამშენებლო სფეროში თურქეთი დომინირებს.

ბოლო პერიოდში საქართველოში შეინიშნება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხოური კორპორაციების რაოდენობის ზრდა საქართველოს საბანკო სექტორში. ისინი ჯერ კიდევ 2005 წლისათვის ქართული საბანკო სექტორის მთლიანი კაპიტალის 50% ფლობდნენ. 2007 წლისათვის კი მათი წილი 18 კომერციულ ბანკიდან 12-ს შეადგენდა.

საქართველოს კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალში ინვესტიციები და საკრედიტო ხაზები განხორციელებული აქვთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD), საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას (IFC), გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანიას (DEG), გერმანიის „ადმშენებლობის საკრედიტო დაწესებულებას (KfW), შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკს, სს-პროკრედიტ ჰოლდინგს, გერმანულ-კომერცბანკს, რუსულ-

ვენეზუელის ბანკს, ავსტრიულ ბანკ-ბანკ ავსტრია კრედიტ ანშტალს, ბრიტანულ-London International Bank-ს, აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკს, უკრაინულ ბანკს-Private Bank, თურქულ ბანკს-ზირათ ბანკი და ა.შ. (ეროვნული ბანკი..., 2006).

ნავთობის სექტორში საქართველოში საქმიანობას ეწევა British Petroleum, Frontera, Andarko Basin, Lukoil, და სხვა.

ზემოთჩამოთვლილი ტნკ-ების საქმიანობამ თავისი წვლილი შეიტანა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ამაღლებაში, რასაც საერთაშორისო რეიტინგებიც ადასტურებს.

შეიძლება ითქვას, რომ ტრანსნაციონალიზაციის პროცესი საქართველოში ორი მიმართულებით მიმდინარეობს. ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობით საქართველო სატრანზიტო ფუნქციებს ახორციელებს და ამით ჩართულია მსოფლიო ეკონომიკის ფორმირების პროცესში. ქართული ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაცია ზემოქმედებას ახდენს საქართველოს პოლიტიკური სივრცის მოდერნიზაციაზე და ითვალისწინებს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკურ ტრანსფორმაციის გამოცდილებას. საქართველო აღარ განიხილება როგორც იზოლირებული, ცალკე მდგომი ქვეყანა და ჩართულია მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესებში. საქართველო ზემოთაღნიშნულ საერთაშორისო რეიტინგებში მოწინავე ადგილით ცდილობს ინვესტორების დაინტერესებას, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ინვესტორისათვის ასევე მიმზიდველია უცხოურ ბაზარზე ორიენტირებული საექსპორტო სექტორი.

ვინაიდან ინვესტიციების დივერსიფიკაცია და ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის დარგების წარმართვა ხელს უწყობს საგარეო ვაჭრობის დადებით სალდოს, საქართველოში ინვესტორების საქმიანობის დაბრკოლებების (შეზღუდვა ფინანსურ ოპერაციებში, კორუფციის მაღალი დონე, პრობლემები საკუთრების უფლებების რეგისტრაციასთან დაკავშირებით და ა.შ) აღმოსაფხვრელად გატარდა მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური ცვლილებები. ამასთან ერთად ვაჭრობის ლიბერალიზაციის თვალსაზრისით საქართველო 2000 წელს გაწევრიანდა მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში (ვმო), რომლის საფუძველზედაც მოხდა საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ვმო-ს მოთხოვნებთან, კერძოდ კი გაუქმდა ექსპორტ-იმპორტის კვოტირება, საგარეო ვაჭრობის კონტრაქტების რეგისტრაციის

მოთხოვნა და დაწესდა შეღავათები საწარმოო დანიშნულების საქონლის იმპორტზე. (ევროპული ინიციატივა..., 2012).

ვინაიდან, ტრანსნაციონალიზაციის თეორიები დავყავით ორ ნაწილად ე.წ ევოლუციის (სასიცოცხლო ციკლის, დამწვევი ციკლისა და ოლიგოპოლისტური დაცვის) და მოტივაციის ფაქტორებზე ორიენტირებული (ტექნოლოგიური კონცეფცია, მონოპოლისტური უპირატესობების თეორია, ინტერნაციონალიზაციის თეორია, ელექტიკური თეორია და ერის კონკურენტული უპირატესობის თეორია) თეორიებად, აუცილებელი იყო საქართველოს მაგალითზე გვეჩვენებინა ის კანონზომიერებები და მონაცემები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ტრანსნაციონალიზაციის პროცესების ჩამოყალიბებასთან. კერძოდ, წარმატებული რეფორმებისა და ლიბერალური პოლიტიკის შედეგად, გაიზარდა ტნკ-ების ინტერესი ქვეყნისადმი, რამაც კიდევ უფრო გაზარდა პუი-ს ნაკადების შემოდინება. ტნკ-ების ინტერესს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობაც განაპირობებდა, რასაც ტრანსპორტის სფეროში ინვესტიციების რაოდენობის მაღალი მაჩვენებელიც მოწმობს. შესაბამისად, საქართველოში ტრანსნაციონალიზაციის მოტივაციის ფაქტორები (პუის ნაკადები, ადგილმდებარეობა) ძირითადად თავმოყრილია დანიშნის ეკლექტიკურ თეორიაში, რასაც შემდგომში კიდევ უფრო ჩავუღრმავებთ.

1.3 ტრანსნაციონალური კორპორაციების სოციალური პასუხისმგებლობის ინსტიტუციონალური გარემო

მას შემდეგ, რაც ტრანსნაციონალური კორპორაციები ეროვნული საზღვრებს მიღმა იწყებენ ფუნქციონირებას დგება საკითხი, კონკურენტუნარიანობისა და მდგრადობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით. ტნკ-ების წარმატებული სტრატეგიის შენარჩუნების ერთ-ერთ საშუალებად კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა შეგვიძლია მივიჩნიოთ. ის ფაქტი, რომ თანამედროვე ბიზნესში გრძელვადიანი წარმატების მისაღწევად არასაკმარისი აღმოჩნდა მოგებაზე ორიენტაცია და ფინანსური

ინტერესები, კორონავირუსის მსოფლიო პანდემიის პროცესებიც ადასტურებს. თანამედროვე მსოფლიოში აუცილებელი გახდა ბიზნესის პასუხისმგებლობით კეთება, ეთიკური სტანდარტებით მუშაობა, საზოგადოების სოციალური ინტერესების გათვალისწინება და გარემოზე ზრუნვა.

ტრანსნაციონალიზაციის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ ტნკ-ებს მხოლოდ უარყოფითი გავლენა აქვთ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე. მათი მიზანი - ნახონ მაქსიმალური მოგება - აზიანებს განვითარებადი ქვეყნების წინსვლას. ტნკ-ები იყენებენ ღარიბი ქვეყნების პოტენციალს, ქმნიან პროდუქციას იაფად და შემდეგ ახდენენ რეალიზაციას დიდი მოგების ფასად. ტნკ-ების სხვა ქვეყნებში მსგავსი ინვესტიციები განიხილება, როგორც ექსპლუატატორული ქმედება, ვინაიდან მოგება ამ ინვესტიციებიდან მცირე რაოდენობით რჩება მიმღებ ქვეყანას.

ტრანსნაციონალიზაციის მოწინააღმდეგეები ტნკ-ებს მძიმე სამუშაო პირობების გარდა ხშირად აკრიტიკებენ ეკოლოგიური რეგულაციების არარსებობით. ტნკ-ებთან მიმართებაში ინტერესი გაიზარდა მენეჯერებისა და კომპანიების ეთიკისა და სხვა სოციალური პასუხისმგებლობებთან დაკავშირებითაც.

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები აუმჯობესებენ მიმღები ქვეყნის მწარმოებლობას ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მეშვეობით, ხშირად ყურადღების მიღმა რჩება დაინტერესებული მხარის (კომპანიის თანამშრომლები და მათი ოჯახები, მომხმარებლები, ადგილობრივი ხელისუფლება, ადგილობრივი მოსახლეობა, ნებისმიერი პიროვნება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ეხება ბიზნესის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობას) ინტერესები. ამას ადასტურებს 1998 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული უდიდესი ტანსაცმელების კომპანიების, მათ შორის H&M, Levi Strauss, C&A, და ასე შემდეგ სია, რომლებიც მუშების ყოველდღიურ შრომას ანაზღაურებდა 2\$-ით. ტნკ-ების დაბალი ხელფასებისა და ცუდი სამუშაო პირობების შესახებ კვლევას ასევე აქვეყნებს Oxfam-ი - გლობალური მოძრაობა სიღარიბისა და უსამართლობის წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი კომპანიები მუშებს განვითარებად ქვეყნებში უხდებიან მინიმალურ

ხელფასებს და აიძულებენ მრავალი საათის განმავლობაში მუშაობას დღეში საშუალოს 3\$-ის სანაცვლოდ.

იმისათვის, რომ გავიგოთ ტნკ-ების კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, აუცილებელია შევხებით მის ტერმინოლოგიურ აღქმას. ტერმინს „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“ მრავალი სინონიმი აქვს, მაგალითად „კორპორაციული ეთიკა“, „კორპორაციული მოქალაქეობა“, „კორპორაციული ანგარიშვალდებულება“, „პასუხისმგებელი ბიზნესი“, „ეთიკური ბიზნესი“, „პასუხისმგებელი კონკურენტუნარიანობა“, „კორპორაციული მდგრადობა“ და სხვა.

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (Irrational Organization for Standardization – ISO) განმარტების თანახმად, სოციალური პასუხისმგებლობა ესაა ორგანიზაციის პასუხისმგებლობა იმ ზემოქმედებისათვის, რასაც ახდენს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და განხორციელებული საქმიანობა საზოგადოებასა და გარემოზე. (ISO 2600:2010)

ვინაიდან არ არსებობს სახელმწიფოს სამართლებრივი მექანიზმებით დაკისრებული ვალდებულება, რომელიც კომპანიას აიძულებს იმოქმედოს ეთიკურად, გაითვალისწინოს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მოლოდინები, დადებითი გავლენა მოახდინოს თავის სამუშაო, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე, წვლილი შეიტანოს სოციალური ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში და ა.შ., ამიტომ სოციალური პასუხისმგებლობა მოიაზრება, როგორც კომპანიის ნებაყოფლობითი არჩევანი. ამ შემთხვევაში კომპანია შეგნებულად სცდება მხოლოდ მოგების მიღების დანიშნულებას და კეთილი ნების საფუძველზე ზრუნავს საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე.

განასხვავებენ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შიდა და გარე მიმართულებებს. ბიზნესის სოციალურ შიდა პასუხისმგებლობას მიეკუთვნება:

- შრომის უსაფრთხოება
- შრომის ანაზღაურების სტიმულირება
- თანამშრომელთა დამატებითი სამედიცინო და სოციალური დაზღვევა

- ადამიანური რესურსების განვითარება სასწავლო და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამათა მიხედვით

- კრიტიკულ სიტუაციებში თანამშრომლების დახმარების გაწევა

ბიზნესის სოციალურ გარე პასუხისმგებლობას მიეკუთვნება:

- სპონსორობა და ქველმოქმედება

- ზრუნვა გარემოს დაცვაზე


- ურთიერთქმედება ადგილობრივ საზოგადოებრივ დაჯგუფებებთან და ხელისუფლებასთან

- მზადყოფნა კრიზისულ სიტუაციებში მონაწილეობის მისაღებად

- საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებს შორის პასუხისმგებლობა

სოციალური პასუხისმგებლობის როლმა მდგრადი განვითარებაში, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა კონცეფციის ევოლუციის პროცესში შეიძინა. სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხანგრძლივი პერიოდი, საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ კონცეფციის ევოლუციის შვიდი ეტაპი.

სადაც ნაჩვენები ეტაპებიდან იკვეთება სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების შემდეგი ნაბიჯები: სოციალური პასუხისმგებლობის ფორმირების წინაპირობები, სოციალური პასუხისმგებლობის წარმოშობა, სოციალური პასუხისმგებლობის კლასიკური კონცეფციები და დაინტერესებული მხარის მიდგომა, სოციალური პასუხისმგებლობის თანამედროვე კონცეფციები და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა მდგრადი განვითარების ჩარჩოში. (Белоусов, 2017). (იხ.დიაგრამა№7).



დიაგრამა №7-დან ირკვევა, რომ სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების პირველი ეტაპი, სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის წარმოშობამდე იწყება და ასახავს პოვა ორი მიდგომით: 1. 1940-იან წლებში გამოიცა ამერიკელი მეცნიერის პიტერ დრიუკეროს არაერთი წიგნი (*The End of Economic Man – 1939 წელი, The Future of Industrial Man – 1942 წელი, Concept of the Corporation- 1946 წელი*), რომელთა არსი ეკონომიკური პროგრესისა და სოციალური ჰარმონიის თანაარსებობის აუცილებლობა წარმოადგენდა. დრიუკერი კომპანიებს განსაზღვრავდა შემდეგი სამი პოზიციის გათვალისწინებით: 1. კომპანია, როგორც ბიზნესის სფეროს წარმომადგენელი (ეკონომიკური ინსტიტუტი, რომელიც შექმნილია მოგების მისაღებად და საქონლის საწარმოებლად). 2. როგორც სოციალურ-ჰუმანიტარული ორგანიზაცია (სამუშაო ადგილებისა და ხელფასების უზრუნველყოფა). და 3. როგორც სოციალური ინსტიტუტი (საზოგადოებრივი ინტერესების ინტეგრირებული სისტემა). (**Drucker., 1942**). ამავე ეტაპზე იწყება სოციალურ-ეთიკური მიდგომის ფორმირება კურტ ლევინის გავლენით, რომელმაც განვითარება პოვა ედგარ შაინისა (**Schein, 1988**) და გენრი მინცბერგის (**Минцберг, 2001**) ნაშრომებში. მათი აზრით ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ნებაყოფლობითი ვალდებულებები საზოგადოების წინაშე და კომპანიის სახსრების ნაწილი უნდა მიმართონ საზოგადოებრივ საჭიროებებს.

სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების მეორე ეტაპზე, ხდება ტერმინი „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა” პირველად გამოყენება ამერიკელი ეკონომისტის ჰოვარდ ბოუენის მიერ 1953 წელს. ბოუენი თავის ნაშრომში სოციალურ პასუხისმგებლობას აკავშირებს „ბიზნესმენტა ვალდებულებებთან” და გულისხმობს „ისეთი პოლიტიკის განხორციელებას, ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, ისეთი სტრატეგიის ჩამოყალიბებას, რომლებიც შესაბამისობაშია საზოგადოების მიზნებთან და ღირებულებებთან”.(Bowen, 1953). იმ ეტაპისთვის სოციალური პასუხისმგებლობა ატარებდა პერსონიფიცირებულ ხასიათს და წარმოადგენდა მეწარმე სუბიექტს (ფიზიკურ პირს), რომელიც აღიქმებოდა საწარმოსგან დამოუკიდებლად. ამ მიზეზით სოციალური პასუხისმგებლობა განისაზღვრებოდა პირის თვისებებით, ღირებულებებითა და აზროვნებით. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში სოციალური

პასუხისმგებლობის ძირითად ინსტრუმენტად ქველმოქმედება, სიტუაციური მოქმედებები და სოციალური ინიციატივები განიხილებოდა, თუმცა თავად ბოუენი სოციალურ პასუხისმგებლობას კომპანიისათვის ხელსაყრელი პერსპექტივის შექმნის ინსტრუმენტად აღიქვამდა. ამავე ეტაპს მიეკუთვნება კონცეფციების გადასინჯვა დევისის (Davis, 1960), ფრედრიკის (Frederick, 1960), მაკგუარისა (McGuire, 1963) და უელტონის (Walton, 1967) მიერ, რომლებიც სოციალურ პასუხისმგებლობის აქტივობების განმახორციელებლად, გარდა მეწარმე სუბიექტისა (ინდივიდისა), თვით კომპანიასაც მოიაზრებდნენ. 1967 წლიდან არამხოლოდ გაღრმავდა სოციალური პასუხისმგებლობის ტერმინთა განმარტებები, არამედ ზოგიერთი მეცნიერი თვლიდა, რომ „სოციალურ პასუხისმგებლობის აქტივობებით კომპანიას შეუძლია მიაღწიოს გრძელვადიანი ეკონომიკური კეთილდღეობა”. (Davis, 1960:312),

მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება იყო, სოციალური პასუხისმგებლობის პრობლემის განხილვა სტრატეგიულ ჭრილში. დევისი და ბლომსტორმი სოციალურ პასუხისმგებლობას განმარტავდა, როგორც „გადაწყვეტილების მიმღებთა მოვალეობა, რომელიც მიზნად ისახავს განახორციელოს ისეთი ქმედებები, რომლებიც ორიენტირებულია არამხოლოდ მათი ინტერესების დაკმაყოფილებაზე, არამედ საზოგადოებრივი სიმდიდრის დაცვასა და გაზრდაზე”. (Davis..., 1975:597).

ამერიკელი მეცნიერი უილიამ ფრედერიკი სოციალური პასუხისმგებლობის როლს განიხილავდა, როგორც შესაძლებლობას სოციალურ-ეკონომიკურ და ადამიანური რესურსების გამოყენებისათვის, არამხოლოდ ინდივიდების და ცალკეული კომპანიების ინტერესების დასაკმაყოფილებლად, არამედ საერთო საზოგადოებრივი მიზნებისათვისაც. (Frederick, 1960). ხოლო ჯონ მაკგუირე სოციალურ პასუხისმგებლობას განიხილავდა, როგორც გარე დავალებების სერიას, რომელთა შესრულებაც ბიზნესს ოფიციალურად არ ევალებოდა, თუმცა კომპანია კსკ-ს ფარგლებში სცდება კანონით დაკისრებულ ეკონომიკურ და სამართლებრივ ვალდებულებებს ჩარჩოებს და ზრუნავს საზოგადოებრივ საჭიროებებზე. (McGuire, 1963).

სოციალური პასუხისმგებლობის მესამე ეტაპი 1970-იანი წლებიდან იწყება და მოიცავს შემდეგს:

- კორპორაციული ეგოიზმი - (რომელიც ცნობილია სოციალური პასუხისმგებლობის ლიბერალურ და ნეოკლასიკურ მიდგომად), გახდა პასუხის იმ წინააღმდეგობებისა, რომლებიც წარმოიშვა კსპ-ს ფუნდამენტური საფუძვლების ფორმირების პროცესში.

ბოუენის მიერ შემოთავაზებული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ განმარტება: „კსპ სტაბილურობის ზრდასთან ერთად ზრდის კომპანიის ხარჯებს“, კრიტიკის გარეშე არ დარჩენილა თეოდორ ლევიტისა და მილტონ ფრიდმანის მიერ. ჰარვარდის ბიზნეს სკოლის წარმომადგენელი ლევიტი ამტკიცებს, რომ „ბიზნესი მიიღებს უფრო მეტ შანს არსებობისთვის, თუ უარს იტყვის მსგავსი აბსურდული მიზნების განხორციელებაზე, ხოლო მოგების მაქსიმიზაცია ერთადერთ გრძელვადიან მიზანს უნდა წარმოადგენდეს, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკაშიც“. (Levitt, 1958). ფრიდმანის განმარტებით კი „ბიზნესს სამყაროს მხოლოდ ერთი სოციალური პასუხისმგებლობა აქვს - თამაშის წესების შესაბამისად, გამოიყენონ თავიანთი რესურსები და განახორციელონ საქმიანობები მოგების გაზრდის მიზნით, ასევე განახორციელონ საქმიანობები ღიად, კონკურენციის პირობებში და ყოველგვარი თაღლითობების გარეშე“. ფრიდმანი კომპანიის ერთ-ერთ სოციალურ პასუხისმგებლობად განიხილავდა აქციონერების მოგების გაზრდას და აღნიშნავდა, რომ სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა არის სახელმწიფოს ფუნქცია და არა კერძო ბიზნესის. (Friedman, 1970).

- გონივრული ეგოიზმი - თ. დონალდსონმა და ნ. ბოვმა შეისწავლეს სოციალური შეთანხმება ბიზნესსა და საზოგადოებას შორის, რომელთა შეხედულებებითაც, ის კომპანიები უნდა გახდნენ წარმატებულები, რომლებიც საზოგადოების მორალური პრინციპების დაცვასა და ადამიანის უფლებების პატივისცემას ანიჭებენ უპირატესობას. ამ მიმართულებას ხშირად „რაციონალური ეგოიზმის კონცეფციას“ უწოდებენ, სადაც სოციალური ინვესტიციები, კომპანიის მდგრადობის მთავარ ფაქტორად მოიაზრება.

მოგვიანებით, ავსტრიელი ეკონომისტის დუგლას დენ უილმა თავის ნაშრომში „The New Crusaders: The Corporate Social Responsibility Debate“ სოციალურ პასუხისმგებლობა განიხილა, როგორც აქციონერთა ინტერესების პრიორიტეტი,

სადაც მენეჯერებს სთავაზობდნენ კომპანიის მფლობელებთან ისეთი ხელშეკრულებების გაფორმებას, რომელიც მოგების მაქსიმიზაციისაკენ იყო მიმართული. (Den., 1984:96).

- კორპორატიული ალტრუიზმის თეორიას - დასაბამი დაუდო აშშ-ს ეკონომიკური განვითარების კომიტეტმა. კომიტეტი იყო გავლენიანი ბიზნეს ასოციაცია, რომელიც შეიქმნა 1950-იანი წლების შუა პერიოდებში, ბიზნესსა და აშშ-ს მთავრობას შორის თანამშრომლობის გაფართოვების მიზნით. კომიტეტის საქმიანობამ აუცილებელი გახდა, იმ დროისათვის ჩამოყალიბებული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციების მიმოხილვა. კომიტეტის მიერ დაანონსებული ერთ-ერთი პუბლიკაცია გახდა „გაყიდვების მაქსიმიზაციის“ თეორიის ფუძემდებლის, უილიამ ჯეკ ბაომოლოს ნაშრომი, სადაც კომპანიებს მოუწოდებს „მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის“. (Baumol, 1970 : 70). მეორე მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, რომელმაც ხელი შეუწყო სოციალურ-ალტრუისტული მიდგომის ფორმირებას, არის კომიტეტის ეკონომიკური განვითარების დასკვნა, სადაც სოციალურ პასუხისმგებლობა მოხსენიებულია, როგორც „კომპანიის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია საზოგადოების საჭიროებებზე ზრუნვაზე“. (Social... 1971).

სოციალური პასუხისმგებლობის მეოთხე ეტაპზე, კორპორატიული ალტრუიზმის თეორია, რომელიც ხშირად მოიაზრებოდა მილტონ ფრიდმანის თეზისის „ბიზნესის საქმიანობა არის ბიზნესი“ პასუხად, შემდგომში განავითარა ედვარდ ფრიმენმა. ფრიმენმა თავის ნაშრომში, გამოყო დაინტერესებული მხარეები, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კომპანიის საქმიანობაზე, ან პირიქით, რომლებიც ექცევიან კომპანიის ძირითადი საქმიანობის გავლენის ქვეშ.

მეხუთე ე.წ. კორპორაციული სოციალური მგრძობელობის ეტაპი 1970-იანი წლებიდან იწყება და გულისხმობს საქველმოქმედო და სოციალური საქმიანობის კონცენტრირებას გარკვეულ სფეროში. ამ ეტაპზე ნელ-ნელა მცირდება კომპანიის და საზოგადოების ინტერესებს შორის წინააღმდეგობები, რაც განპირობებული იყო საერთო ეკოლოგიურ (გარემოს დაბინძურება და გლობალური დათბობა) პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებთან.

მეექვსე ეტაპზე ყურადღება გამახვილებულია საერთო ღირებულებებზე. ამერიკელი ეკონომისტების მაიკლ პორტერისა და მარკ კრამერის აზრით, ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობა და მდგრადობა ურთიერთკავშირშია და ორიენტირებულია დაინტერესებული მხარეების კეთილდღეობასთან. ამ ეტაპზე კომპანიის პასუხისმგებლობიანი საქმიანობა, მართალია ამცირებს მათ მიმდინარე შემოსავლებს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ქმნის ხელსაყრელ სოციალურ გარემოს და ამით ხელს უწყობს შემდგომში კომპანიისთვის მდგრადი შემოსავლების მიღებას. კერძოდ, კომპანია პასუხისმგებლობიანი საქმიანობით იქმნის რეპუტაციას და მოიპოვებს დაინტერესებული მხარეები ნდობას. მაგალითად, მომხმარებლებს ურჩევნია კომპანია, რომელიც ხარისხიანი პროდუქტებითა და მომსახურებით გამოირჩევა, მომწოდებლები აგრძელებენ კომპანიასთან თანამშრომლობას, რომელიც დროულად იხდის შექმნილი პროდუქტის საფასურს, თანამშრომლები ამაყოფენ და სურთ იმსახურონ იგივე კომპანიაში. თუმცა, საჭირო ფულადი, ადამიანური და დროითი რესურსი, რომელიც კომპანიას სჭირდება სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვისათვის, დამატებით ტვირთად აღიქმება კომპანიების მიერ და განსაკუთრებით იმ კომპანიების მიერ, რომელიც ლიმიტირებული რესურსებს განკარგავს. სწორედ ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სოციალური პასუხისმგებლობა უმეტესწილად მსხვილ კომპანიებთან ასოცირდება.

სოციალური პასუხისმგებლობის **მეშვიდე ეტაპი** 1990-იანი წლებიდან იწყება და მოიაზრება მისი ინტეგრაცია მთელ ორგანიზაციაში, რომელიც შემდეგ აისახება გამჭირვალე და ეთიკურ ბიზნეს საქმიანობაში. ამ ეტაპზე კსკ-შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების პრინციპებთან და საზოგადოების კეთილდღეობასთან, ასევე ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეთა მოლოდინებს, პასუხობს მოქმედ კანონმდებლობას და ქცევის საერთაშორისო ნორმებს. მაგალითად, ევროპის მრავალ ქვეყანაში კომპანიები ვალდებული არიან წლიურ ანგარიშში მიუთითონ სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები. სისტემური მონაცემების არსებობა და გამჭვირვალობა, ხელს შეუწყობს არამხოლოდ უცხოელი ინვესტორების დაინტერესებას, არამედ ადგილობრივი კომპანიების მოტივირებას იმოქმედონ პასუხისმგებლობიანად.

თანამედროვე ეტაპზე, რომელიც იყო მცდელობა კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის რეგულირება საკანონმდებლო ბრეკეტების გამოყენებით. მაგალითად „კანონი საგარეო ეკონომიკური საქმიანობაში კორუფციასთან ბრძოლის შესახებ“, რომელიც მიღებული იქნა აშშ-ს კონგრესის მიერ 1977 წელს და ამერიკულ კომპანიებს უკრძალავს ქრთამის მიცემას საზღვარგარეთის სახელმწიფო მოხელეებისათვის მოცემულ ქვეყანაში ბიზნესის წარმართვისათვის. „კანონი უცხოელ მოქალაქეების მიმართ კანონდარღვევების შესახებ“, რომელიც ამერიკულ ტნკ-ებს უკრძალავს მოგების მიღების მიზნით უცხოელი მოქალაქეების უფლებების დარღვევას. 2000 წელს კანადაში მიღებული „მექრთამეობასთან ბრძოლის კონვენცია“, რომელიც შემდგომ რატიფიცირებული იქნა 33 ქვეყანაში, კრძალავს მექრთამეობას საერთაშორისო საქმიანი ოპერაციების განხორციელების დროს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (Irrational Labor Organization ILO), რომლის ამოცანაა შრომის პირობების მონიტორინგი, განვითარებადი ქვეყნების საწარმოებში ფაქტობრივად აკონტროლებს მათ საქმიანობას.

საქართველოში ბიზნესთან შრომითი ურთიერთობების ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, საქართველოში სხვა რეგულაციების არ არსებობამ, თუნდაც მინიმალური ხელფასის დაწესების შესახებ, წლიური ანგარიშების სავალდებულო გამოქვეყნების შესახებ და სხვა, განაპირობა რიგი კომპანიების უარი საქართველოში ინვესტიციების განხორციელებაზე. იმისათვის, რომ კომპანიებს ჰქონოდათ სტაბილურობის განცდა სპორტული ტანისამოსის მწარმოებელმა კორპორაციებმა (ადიდასი, ნაიკი, ნიუ ბალანსი, პუმა და ა.შ.) საქართველოს მთავრობას 2015 წლის აგვისტოში მოთხოვეს სამკერვალო სექტორში მინიმალური ხელფასის გაზრდა, რათა საქართველოში მომუშავე მათ კონტრაქტორ ფირმებს აღარ ქონოდათ ტექსტილის სფეროში დასაქმებული პირების ექსპლუატაციის შესაძლებლობა. (**Fair Labor...**, 2015).

ვინაიდან საქართველოში მინიმალური ხელფასთან დაკავშირებული საკითხები ჯერ კიდევ 1999 წელს შემუშავებული რეგულაციებით ხორციელდება, (**საქართველოს პრეზიდენტი, 1999**) და ითვალისწინებს ყოველთვიურ ანაზღაურებას 20 ლარის

ოდენობით (სომხეთში 68 000 სომხური დრამი (143\$) (**Massispost**); აზერბაიჯანში 250 აზერბაიჯანული მანათი (146\$)) (**BBC...b**), შეიძლება თქვას, რომ მინიმალურ ხელფასს ბიზნეს კომპანიები აყალიბებენ. მინიმალური ხელფასის არსებული მცირე ზღვარი კი თავისმხრივ დამსაქმებლებს უბიძგებს დასაქმებულებს ნაკლები გადაუხადონ, სწორედ ამიტომ ხელფასი ხშირად საარსებო მინიმუმს უტოლდება.

რაც შეეხება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც შრომითი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად 190 კონვენცია აქვს შემუშავებული, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან, ყველაზე პირველად აზერბაიჯანი შეუერთდა (1992 მაისი), შემდეგ სომხეთი (1992 ნოემბერი) და ბოლოს საქართველო (1993 ივნისი). საქართველოს დღეის მდგომარეობით მხოლოდ 18 კონვენცია აქვს რატიფიცირებული, სომხეთს 29, აზერბაიჯანს კი 58. შსო ადმინისტრაციული საბჭო მიერ გამოყოფილი რვა „ფუნდამენტალური“ კონვენცია, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს რატიფიცირებული აქვს და გულისხმობს შრომის სფეროში ძირითად პრინციპებსა და უფლებებს მიკუთვნებულ საკითხებს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №158-ე კონვენცია, რომელიც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესს განსაზღვრავს, რატიფიცირებული არ აქვს სამხრეთ კავკასიის არცერთ ქვეყანას. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესი რეგიონის ქვეყნებში შრომის კოდექსით რეგულირდება. სომხეთისა და აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, საქართველოს შსო-ს არც №131-ე (მინიმალური ხელფასის დაწესების შესახებ) კონვენცია აქვს რატიფიცირებული, რომლის მიზანია მუშაკთა დაცვა გაუმართლებლად დაბალი ხელფასებისაგან, სიღარიბის დამღევა, მუშაკთა სოციალური დაცვის გარკვეულწილად უზრუნველყოფა მინიმალური დასაშვები ხელფასის დაწესებით, ხელფასის საერთო დონის გაზრდა და ეროვნული შემოსავლის სამართლიანი განაწილება, ხელფასებს შორის უთანასწორობის აღმოფხვრა, განსაკუთრებით ქალსა და მამაკაცს შორის, რომელიც საქართველოში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 40%-ს შეადგენს. (**ფიდრიხ ებერტი..., 2016**).

გლობალიზაციის ფარგლებში სამხრეთ კავკასიის ქვეყნები საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანებით ცდილობს უცხოური კაპიტალის შემოსვლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნასა და მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში

ინტეგრირებას. რეგიონის ქვეყნები საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაციის (International Organization for Standardization –ISO) წევრებიც არიან. სსო-ს შემუშავებული აქვს მთელი რიგი სტანდარტები, რომლებიც განსაზღვრავენ სოციალური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ასპექტებს. კერძოდ, ეს მოიცავს ISO 9000 სტანდარტების სერიას ხარისხის მართვის სისტემებისათვის, ISO 14 000 სტანდარტების სერიას გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემებისათვის და ISO 26000 სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტებს.

საერთაშორისო სტანდარტიზაციის შემუშავებისას სომხეთი და აზერბაიჯანი მონაწილეობენ ხმის უფლებით და მოიხსენებიან, როგორც ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრები, ხოლო საქართველო საერთაშორისო შეხვედრებში დამკვირვებლის როლით შემოიფარგლება.

თავდაპირველად საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაციამ 2004 წელს გამოაქვეყნა მდგრადი განვითარების სტრატეგიული გეგმა. ამავე სტრატეგიის ფარგლებში სსო-მ 2005 წელს დაიწყო მუშაობა სოციალური პასუხისმგებლობის დირექტივაზე ISO 26000-ზე, რომელიც მიესადაგებოდა ყველა ტიპის ორგანიზაციას მსოფლიოში მისი ზომისა და ადგილმდებარეობის მიუხედავად. სტანდარტის შემუშავებაში 450 ექსპერტი, 210 დამკვირვებელი და 42 სხვადასხვა სექტორის ორგანიზაცია მონაწილეობდა. 2010 წელს 1 ნოემბერს გამოქვეყნდა სტანდარტის ვერსია ISO 26000:2010. სტანდარტი შეიცავს რეკომენდაციებსა და მითითებებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე განსაზღვრავს ცნებებს, ტერმინებსა და განმარტებებს სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, უზრუნველყოფს პრაქტიკაში სოციალური პასუხისმგებლობის ინტეგრირებას და განხორციელების პოპულარიზაციას. ISO 26000 სახელმძღვანელო სტანდარტის მიხედვით სოციალურ პასუხისმგებლობა არის კომპანიის პასუხისმგებლობას იმ ზემოქმედებისათვის, რომელიც მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ან/და ქმედება ახდენს საზოგადოებაზე, გარემოზე და ეთიკურ ქცევაზე. (ISO 2600:2010).

აღნიშნული დირექტივის მიხედვით კომპანიის უპირველესი მიზანი მდგრადი განვითარება უნდა იყოს, რომელიც შემდეგი შვიდი პრინციპის დაცვით მიიღება:

- ანგარიშვალდებულება

- გამჭვირვალობა
- ეთიკური ქცევა
- დაინტერესებული მხარეების ინტერესების პატივისცემა
- სამართლის წესების პატივისცემა
- საერთაშორისო ქცევის წესების პატივისცემა
- ადამიანის უფლებების პატივისცემა

ყველა ორგანიზაციამ, რომელიც იყენებს ISO 26000 სტანდარტს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს

- ორგანიზაციული მმართველობა
- ადამიანის უფლებები
- შრომითი პრაქტიკა
- გარემოზე ზემოქმედება
- სამართლიანი ოპერაციული პრაქტიკა
- მომხმარებელთა საკითხი
- საზოგადოების ჩართულობა და განვითარება

ISO 26000 სტანდარტზე მუშაობა კვლავ გრძელდება და ცდილობს შეავსოს სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში უკვე არსებული ძირითადი საერთაშორისო ინსტრუმენტები, როგორცაა OECD-ის სახელმძღვანელო მითითებები, „გლობალური შეთანხმება“, GRI ანგარიშების სტანდარტი და სხვა წამყვანი გლობალური სტანდარტები.

ISO-ს წევრობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს აძლევს შესაძლებლობას ხარისხის ინფრასტრუქტურაში ჩაბმულმა ნებისმიერმა პირმა მიიღოს და იმოქმედოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჯანდაცვის, ეკოლოგიისა და უსაფრთხოების დაცვით, საერთაშორისო ბაზარზე ეროვნული პროდუქციის შესვლითა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებით.

საქართველოში ორგანიზაციული წარმონაქმნის ან/და სამეწარმეო სუბიექტის დაფუძნება/რეგისტრაციის სამართლებრივმა ბაზამ განვითარების რამდენიმე ეტაპი განვლო. უკანასკნელი ეტაპი 2006-2009 წლებში განხორციელდა, რომელმაც არსებითად ლიბერალური გახადა დაფუძნება-რეგისტრაციის წესები და

პროცედურები. ძირითადი საკანონმდებლო აქტებია საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ და „მეწარმეთა შესახებ“. აღსანიშნავია ის, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა შესაძლებლობას, რომ დაინტერესებულმა სუბიექტმა დააფუძნოს სოციალური საწარმო, რომელსაც ორმაგი მიზანი ექნება: ეკონომიკური და სოციალური. ეკონომიკური მიზანია მეორე უფრო მნიშვნელოვანი - სოციალური მიზნის მიღწევა. სოციალური საწარმოების მოგება არ იზომება ფინანსური წარმატებით, თუმცა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ეკონომიკური კრიტერიუმებიდან:

- საქონლისა ან მომსახურების უწყვეტი წარმოება/მიწოდება;
- დამოუკიდებლობის ხარისხი;
- ეკონომიკური რისკის გარკვეული ხარისხი;
- დამოკიდებულება ანაზღაურებადი სამუშაოს მიმართ;

სოციალური კრიტერიუმებიდან:

- ნათელი მიზანი, რომელიც ფოკუსირებულია საზოგადოების კეთილდღეობაზე;
- ინიციატივას მხარს უნდა უჭერდეს მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი;
- გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება არ უნდა ეფუძნებოდეს კაპიტალის მფლობელობას;
- საერთო გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა მაღალ ჩართულობას;
- მოგების შეზღუდული განაწილება. (ევროკავშირი საქართველოსთვის, 2017)

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთხსენებულ კანონებში შევიდა რიგი ცვლილებები და დამატებები, რომლებმაც არსებითად გაამარტივა არასამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიული პირების, აგრეთვე ინდივიდუალური საწარმოების დაფუძნება-რეგისტრაციის წესები და პროცედურები, საკანონმდებლო ბაზა არ ახდენს სოციალური მეწარმეობის განვითარების სტიმულირებას. აპრობირებული მეთოდით საზოგადოებრივი ორგანიზაციები ორგანიზაციის შიგნით ქმნიან ან აფუძნებენ დამხმარე საწარმოს, რათა უკეთ უპასუხონ სამიზნე ჯგუფების საჭიროებებსა და მიაღწიონ სოციალურ მიზნებს. მსგავსი ინიციატივების განხორციელების უფლებას

კი არც საქართველოს საკანონმდებლო ბაზა კრძალავს. პირიქით სოციალური მეწარმეობით დაინტერესებულ პირებს აქვთ საშუალება დააფუძნონ საწარმო სამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით, და წესდებით განსაზღვრონ სოციალურ მიზნებთან დაკავშირებული საკითხები. (ფანიაშვილი..., 2010).

რეგიონის ქვეყნები „ასოცირების ხელშეკრულების“ 352-ე მუხლის მიხედვით ვალდებულია ხელი შეუწყოს „კორპორაციული სოციალურ პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებას“ და „ბიზნეს პასუხისმგებლობის პრაქტიკას. ასევე ვალდებულია იხელმძღვანელოს საერთაშორისო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო რეკომენდაციების შედეგად დამკვიდრებული პრაქტიკით და განსაკუთრებით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო რეკომენდაციებით მრავალეროვანი კომპანიებისათვის.

კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას განვითარების 50 წელზე მეტი ისტორია აქვს და დღეისათვის გლობალური განხილვის საგანია. (Carroll..., 2003). თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები ცდილობენ სოციალური პასუხისმგებლობის უნივერსალური განსაზღვრების დადგენას, (Carroll, 1991) თუმცა ჩატარებული კვლევების მიუხედავად, დღესდღეობით მაინც არ არსებობს უნიფიცირებული, ყოვლისმომცველი და ერთადერთი სრულყოფილი განმარტება. (ხოფერია, 2012).

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვან მომენტად მიიჩნევა 1992 წლის მსოფლიო სამიტი რიოდეჟანეიროში, როდესაც „მდგრადი განვითარების მსოფლიო საქმიან საბჭოში“ გაერთიანებულმა ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა წარმოადგინეს თვითრეგულირების პროგრამა. (UNSD..., 1992). დეკლარაცია მოიცავს 27 პრინციპს, რომელიც სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ მდგრადი განვითარების მიღწევის მიზნით. დეკლარაციაში განცხადებულია (მე-4, მე-5 და მე-8 პრინციპი), რომ ხანგრძლივი ეკონომიკური პროგრესის უზრუნველყოფის ერთადერთ გზას გარემოს დაცვისა და ეკონომიკის განვითარების ჰარმონიული ურთიერთშეთანხმება წარმოადგენს. მას ხელი მოაწერა 170 ქვეყნის წარმომადგენელმა.

აღნიშნული თვითრეგულირების პროგრამის ფარგლებში სტრატეგიის მიზანი სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს, რისთვისაც სახელმწიფომ ტნკ-ებთან ერთად უნდა უზრუნველყონ მოსახლეობის ტრადიციული ეკოლოგიური გამოცდილების გამოყენება და სათანადო ტექნოლოგიებით ამ პროცესის ეფექტიანობის ამაღლება; მათ ასევე უნდა შეიმუშაონ ადგილობრივი მართვის და თვითმმართველობის დონეზე სათანადო „XXI საუკუნის დღის წესრიგი“ და ხელი შეუწყონ ეკოლოგიური განათლების გავრცელებას, კერძოდ კი საზოგადოების ყველა სექტორში შესაბამისი „ეკოლოგიური“ კადრების მომზადება.

საქართველოში მდგრადი განვითარების ოფიციალური ფუნდამენტური კონცეფციისა და სხვა სათანადო აუცილებელი დოკუმენტების უქონლობა შეიძლება მთელი გარემოსდაცვითი მართვის პროცესის ჩამშლელ ფაქტორად მოგვევლინოს. აუცილებელია საფუძვლიანად დაიხვეწოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური საფუძველი და პრიორიტეტი მიენიჭოს ადამიანის სიცოცხლის უზრუნველყოფა, ანუ ეკოლოგიურ მოთხოვნილებებს. გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამების საფუძველზე ადგილობრივმა და საერთაშორისო კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ საზოგადოებისათვის აუცილებელი პასუხისმგებლობიანი გარემოს შექმნა. მსგავსი პროგრამების განხორციელება თანამშრომლების აქტიურ ჩართულობას მოითხოვს, რაც გაზრდის მათ ენთუზიაზმს აკეთონ სასურველი საქმე და კიდევ უფრო გააძლიერებს გუნდურობის ემოციურ კავშირებს.

განვითარებულ ქვეყნებშიც კი და მით უფრო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, როგორც საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანია, ხშირად ისე ხდება, რომ მცირე და საშუალო საწარმოები უკვე ახორციელებენ სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობებს, მაგრამ, როგორც, წესი არ ან ვერ აცნობიერებენ ამას.

საქართველო სხვა მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციისა და ინიციატივის წევრია, რომელთა მნიშვნელოვან პრიორიტეტს სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება წარმოადგენს. მათ შორისაა ევროკავშირისა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება (PCA), ევროკავშირთა

აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა (Eastern Partnership), გლობალური შეთანხმება (Global Compact) და სხვა.

საქართველოში კსპ-ს განვითარება ხელს შეუწყობს საერთაშორისო დონეზე ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესებას, საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების უფრო ეფექტურ განხორციელებას და სხვადასხვა საერთაშორისო სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციას. ეს აგრეთვე ხელს შეუწყობს საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებას დასავლეთის მრავალ განვითარებულ და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანასთან.

ტრანსნაციონალურ კორპორაციებში კსპ-ის განვითარების მიზნით ეფექტურ პოლიტიკას ახორციელებს ევროკავშირი და ამის ნათელი მაგალითია სამართლებრივი ბაზა, რომელიც 2011 წელს შეიქმნა და ამ მიმართულებით რვა ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს. მათ შორისაა:

- კსპ-ს მხარდამჭერი პოლიტიკა (ევროპის ქვეყნები სურვილის შემთხვევაში ქმნიან კსპ-ს მიმართულებით სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებს და სხვა პოლიტიკურ დოკუმენტებს როგორც კანონები, ანგარიშგებები და ა.შ)
- მიწოდების ჯაჭვის ყველა ეტაპზე სოციალური პასუხისმგებლობის დაცვა განსაკუთრებით ადამიანი უფლებათა დაცვის კუთხით
- კსპ-ს ანგარიშები და მათი გაცნობა საზოგადოებისთვის (ანგარიშები მდგრადობასა და კსპ-ზე
- კსპ კლიმატური ცვლილებების წინააღმდეგ (ბიზნესის ზემოქმედება კლიმატური ცვლილებების შესაცვლელად)
- კსპ მცირე და საშუალო ბიზნესში (SME) (კსპ-ის გაძლიერება მცირე და საშუალო ბიზნესში
- სოციალური პასუხისმგებლობის ინვესტიცია (SRI) (ცნობიერების ამაღლება)
- კსპ და განათლება (კსპ საკითხების ინტეგრირება განათლების ყველა დონეზე
- სახელმწიფო შესყიდვები (მთავრობებმა აქტიურად შეიძინონ ისეთი პროდუქცია/მომსახურება, რომლის წარმოების პროცესი უარყოფითად არ იმოქმედებს გარემოზე)

ევროკავშირის განმარტების თანახმად კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის კონცეფცია, რომლის დროსაც კომპანია საკუთარ ბიზნეს ოპერაციებში და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობისას ითვალისწინებს სოციალურ და ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას საკუთარი ინიციატივით (მოხალისეობის საფუძველზე). ბიზნესის პასუხისმგებლობას ქმედებისათვის, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებაზე მიმართული უნდა იყოს მდგრადი განვითარებისაკენ (ეკონომიკური და სოციალური განვითარება, გარემოს დაცვა), უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ კანონმდებლობას და საერთაშორისო სტანდარტებს, უნდა მოიცავდეს დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციას, უნდა იყოს ინტეგრირებული საწარმოს ბიზნეს სტრატეგიაში და ყოველდღიურ ოპერაციებში. (Europa.eu).

კომპანიების ზომის, წყობისა და მდებარეობის მიუხედავად კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის 10 პრინციპს გვთავაზობს გაეროს გლობალური შეთანხმება (UN Global Compact), რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი კორპორაციული ინიციატივას წარმოადგენს. ინიციატივა მოუწოდებს კომპანიებს აწარმოონ თავიანთი საქმიანობა ადამიანის უფლებების, შრომის უფლებების, გარემოს დაცვისა და კორუფციასთან ბრძოლის წესების დაცვით. დღეისათვის ქსელში მსოფლიოს 165 ქვეყნიდან 8000 -ზე მეტი კომპანიაა გაწევრიანებული.

გლობალური შეთანხმების 10 პრინციპი წარმოადგენს კორპორაციული პასუხისმგებლობისა და ეთიკურ და პრაქტიკულ ჩარჩოს, რომლის საქმიანობაში ინტეგრირებით კომპანიები არამხოლოდ პასუხისმგებლობას იღებენ საზოგადოებისა და პლანეტისადმი, არამედ ქმნიან გარემოს გრძელვადიან განვითარების სტრატეგიებს.

გაეროს შეთანხმების 10 პრინციპი შემდეგნაირია:

პრინციპი 1: ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს და პატივი სცეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს

პრინციპი 2: ბიზნესი არ უნდა გახდეს ადამიანის უფლებების დარღვევის თანამონაწილე

პრინციპი 3: ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას და აღიაროს უფლება კოლექტიური მოლაპარაკებების შესახებ

პრინციპი 4: უნდა აღიკვეთოს იძულებითი და სავალდებულო შრომის ყველა ფორმა

პრინციპი 5: უნდა ეფექტურად აღიკვეთოს ბავშვთა შრომა

პრინციპი 6: უნდა გამორიცხოს დისკრიმინაცია დასაქმების ეტაპზე და თანამშრომლების მიმართ

პრინციპი 7: ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს პრევენციულ მიდგომას გარემოსდაცვითი გამოწვევებისადმი

პრინციპი 8: თავის თავზე უნდა აიღოს ინიციატივები და ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განვითარებას

პრინციპი 9: უნდა წახალისოს გარემოსთვის არამავნებელი ტექნოლოგიების განვითარება და გავრცელება

პრინციპი 10: ბიზნესმა უნდა იმუშავოს კორუფციის ყველა ფორმის წინააღმდეგ, ფულის გამოძალვისა და მექრთამეობის ჩათვლით. (UNGC...)

ტრადიციულად, სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება უმეტესად მსხვილ კორპორაციებთან ასოცირდება, (Siora, 2017) თუმცა რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს მცირე და საშუალო კომპანიებიც ახერხებენ პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვას საკუთარ საქმიანობაში. (ამას სხვადასხვა კვლევა ადასტურებს). (Researches...), უფრო მეტიც, ამისთვის ტარსნაციონალურ კორპორაციებთან შედარებით ნაკლები ძალისხმევა სჭირდებათ, კერძოდ, მარტივი ბიუროკრატიული სტრუქტურა და თანამშრომლების მცირე რაოდენობა, კომპანიის საქმიანობას უფრო მოქნილს ხდის და ამარტივებს კორპორაციული კულტურის განვითარებას. სწორედ ამიტომ, სოციალური პასუხისმგებლობა მათ შეუძლიათ გამოიყენონ, როგორც საკუთარი კონკურენტუნარიანობის ამადლების სტრატეგიული საშუალება. კერძოდ კი მომხმარებლები მთელ მსოფლიოში, როგორც განვითარებულ ასევე განვითარებად ბაზრებზე, უპირატესობას ანიჭებენ იმ კომპანიების მიერ წარმოებულ პროდუქტებსა და მომსახურებას, რომლებიც გარდა თავიანთი ბიზნესის ძირითადი მიზნებისა აქტიურად ზრუნავენ სოციალურ საკითხებზე. (Koining..., 2018).

საქართველოში სოციალური პასუხისმგებლობის პოპულარიზაცია გამოიწვია ციფრული და სოციალური მედია საშუალებების გავლენამ მომხმარებლების ინფორმირებულობაზე, კერძოდ კი მომხმარებლები მომთხოვნები გახდნენ იმ კომპანიების მიმართ, რომლებიც სხვადასხვა სოციალური აქტივობებს ახორციელებდნენ. ფაქტია, რომ კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის ქონა გავლენას ახდენს მომხმარებლების პოზიტიურ განწყობაზე, რაც მომხმარებლებისათვის პროდუქციის შეფასებისა და შემდგომ მისი გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ახდენს გავლენას. (გიგაური, 2012).

ამერიკელი მეცნიერის ფილიპ კოტლერი განმარტავს, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის ორგანიზაციის ნებაყოფლობით ბიზნეს პრაქტიკა ხელი შეუწყოს საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებას მის ხელთ არსებული რესურსების გამოყენებით. (Kotler..., 2005). ის ფაქტი, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ზოგიერთ ქვეყანაში კანონმდებლობით რეგულირდება, ამის ანგარიშგების გლობალური ინიციატივაც (Global Reporting Initiative - GRI) მოწმობს. GRI ეს არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელმაც შეიმუშავა მთელი რიგი სტანდარტები და მოთხოვნები მდგრადი განვითარების ანგარიშის დასაწერად. აღნიშნული სტანდარტები კომპანიებს, სახელმწიფოებსა და ორგანიზაციებს უადვილებს მდგრადობის საკითხებზე ბიზნესის გავლენის უკეთ გაგებას და საზოგადოებასთან კომუნიკაციას. GRI-ს ხშირად „სოციალურ ანგარიშგებას“, „მოქალაქეობრივ ანგარიშგებას“ და „სამმაგ ანგარიშგებას“ უწოდებენ, ვინაიდან იგი მოიცავს არამხოლოდ ფინანსურ და ეკონომიკურ, არამედ გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებსაც.

ტრანსნაციონალური კორპორაციების სოციალური პასუხისმგებლობა ასევე ხშირად განიხილება, როგორც სამართლებრივი შესაბამისობა საზოგადოების მოთხოვნებთან მიმართებაში. სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში კომპანიების მინიმალური პასუხისმგებლობა არის შესაბამისობა საგადასახადო და შრომის კოდექსებთან და კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება. როდესაც მეწარმე მოქმედებს კანონის შესაბამისად, არის კარგი დამსაქმებელი და იხდის გადასახადებს ის ხელს უწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, რითაც

სარგებელს მისი ბიზნესიც მიიღებს. ამიტომ ყველა ზომის კომპანიამ ყურადღება უნდა მიაქციოს თავისი საქმიანობის არამხოლოდ ეკონომიკურ, არამედ გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებს. ამ როლის სათანადო გააზრება კი საშუალებას მისცემს კომპანიებს გახდნენ უფრო მდგრადები, წარმატებულები და კონკურენტუნარიანები.

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობაში ყველა ზემოთაღნიშნული ინიციატივებისა და პრინციპების ინტეგრირებას მივყავართ განვითარებადი ქვეყნებშიც კსპ-ის განვითარების ტენდენციებისაკენ. ვინაიდან ევროპის მრავალ ქვეყანაში კსპ-ხელშეწყობი სახელმწიფო პოლიტიკა გულისხმობს განვითარებად ქვეყნებში კსპ-ისა და მისი ცალკეული კომპონენტების დანერგვის ხელშეწყობას. აღნიშნული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ინსტრუმენტია მიზნობრივი საფინანსო ინსტიტუტების დაარსება და მათი მეშვეობით განვითარებადი ქვეყნების კომპანიების ფინანსური სტიმულირება. მაგალითად ბელგიაში 2001 წელს კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობით დაარსდა საინვესტიციო კომპანია განვითარებადი ქვეყნებისათვის ე.წ. The Belgian Investment Company For Developing Countries, (BIO..., 1) რომელმაც დღემდე განახორციელა 90 პროექტი 60 ქვეყანაში. 2018 წელს BIO-ს მიერ ინვესტირებული თანხის 80 % მიმართული იქნა კსპ-ის ცალკეული ასპექტების ინტეგრირებისაკენ განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. (BIO..., 2)

გერმანიაში შეიქმნა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ, 2010), რომელიც განვითარებად ქვეყნებში სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით აბანდებს ინვესტიციებს სხვადასხვა სექტორში. იგი 130-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობს და 17 000 ზე მეტი თანამშრომელი ყავს. GIZ საქართველოში სამ სფეროს ფარგლებში ახორციელებს შვიდ რეგიონალურ პროგრამას:

კერძო სექტორის ხელშეწყობა და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში; დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ეკონომიკური ჩართულობა; სამართლიანობისა და სასამართლო რეფორმების მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიაში; ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება სამხრეთ კავკასიაში; საჯარო

ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში; ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მენეჯმენტი სამხრეთ კავკასიაში და ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტი და ეკოლოგიური სისტემების სერვისების შენარჩუნება მდგრადი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიის სოფლის რეგიონებში.

ამრიგად, ტრანსნაციონალური კორპორაციების სოციალურ პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება განპირობებულია გლობალიზაციით, მდგრადი განვითარების საკითხების წინ წამოწევით, საქმიანობის მასშტაბების გაფართოებითა და ახალი საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებით. იმ ფაქტს, რომ სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკა უფრო მეტადაა გამოხატული მსხვილ ტრანსნაციონალურ კორპორაციებში, ვიდრე მცირე და საშუალო ბიზნესში, იმითაც აიხსნება, რომ ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა უფრო ადრე გააცნობიერეს სოციალური პასუხისმგებლობის დადებითი შედეგები ბიზნესის წარმატებისთვის და უფრო მარტივად შეძლეს შესაბამისი რესურსების მობილიზება საკუთარ საქმიანობაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ტრანსნაციონალიზაციის პროცესისა და მასთან დაკავშირებული საკითხების ტენდენციების ცვლილება. თუ ადრე ქვეყანაში (განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, როგორცაა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) სოციალური და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაში ტნკ-ების საქმიანობის როლი მნიშვნელოვნად დიდი იყო, კორონავირუსის მსოფლიო პანდემიამ ნაწილობრივ შეცვალა გარემოებები. კერძოდ, პანდემია გახდა ერთგვარი ბიძგი ადგილობრივ კომპანიებს ნებისით თუ უნებლიეთ დაენერგათ უპრეცედენტო სოციალური პრაქტიკა. ადგილობრივი კომპანიების მიერ პანდემიის დროს უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეებსა და მოწყვლად ჯგუფებზე ზრუნვამ კიდევ უფრო განამტკიცა სოციალური პასუხისმგებლობის კულტურა ადგილობრივ კომპანიებში. რიგი კომპანიების მიერ გათვალისწინებული იქნა დასაქმებულების ინტერესები (დისტანციური მუშაობა, ანაზღაურების შენარჩუნება და სხვა), მათ ასევე წვლილი შეიტანეს მოწყვლადი ჯგუფების ერთჯერადი სამომხმარებლო კალათებით უზრუნველყოფაში. მსგავსი მიდგომით მათ

დაიძახურეს მოქალაქეების კეთილგანწყობა, რაც შემდგომში შეიძლება გახდეს ბრენდის მიმართ ლოიალობას და კონკურენტულ უპირატესობის საწინდარი.

თავი 2. წარმოების ტრანსნაციონალიზაციის ტენდენციები და ეროვნული ეკონომიკები

2.1 კაპიტალის და წარმოების ტრანსნაციონალიზაცია

გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში მზარდი ინტეგრაცია განპირობებულია საქონლის, კაპიტალის, იდეებისა და ნორმების ტრანსნაციონალური ნაკადების გადინების შესაძლებლობებით. (Stallings, 2007). თანამშრომლობის ამოცანის შესრულება კი ტნკ-ების მეშვეობით ხორციელდება. (Смелянская, 2005).

კაპიტალის და წარმოების ტრანსნაციონალიზაციაში იგულისხმება:

- გლობალურ ეკონომიკაში მომხდარი მოვლენები და თვისებრივი ცვლილებები, კერძოდ: ტრანსნაციონალური კორპორაციების (TNCs) რაოდენობის და საქმიანობის ზრდა;

- ეკონომიკური ინტერნაციონალიზაცია, რომლის ფარგლებშიაც საერთაშორისო წარმოების განვითარება ტრანსნაციონალური კორპორაციების ხარჯზე ხორციელდება;

- წარმოების და კაპიტალის ტრანსნაციონალიზაციის უფრო მაღალი დონე, როდესაც ხდება მისი გადასვლა ახალ ხარისხზე;

- წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის ახალი უფრო მაღალი დონე, როდესაც ტრანსნაციონალიზაციის პროცესი ძირითადად დაკავშირებულია ტნკ-ების საქმიანობის მასშტაბის გაფართოებასთან, რომლის დროსაც ისინი საერთაშორისო საბაზრო სუბიექტებად გვევლინებიან;

- კომპანიების სამეწარმეო სტრუქტურის ახალი ფორმები, რომელიც ხელს უწყობს მის ტრანსნაციონალიზაციას.

კომპანიების უმეტესობის საბოლოო მიზანს წარმოადგენს წარმოებისა და მომსახურების გატანა საზღვარგარეთ. (შენგელია, 2008). წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაღრმავებამ კი ტრანსნაციონალური კორპორაციები მსოფლიო მეურნეობის მთავარ სუბიექტებად გადააქცია.

ტრანსნაციონალიზაციის პროცესი განიხილება, როგორც გლობალიზაციის ძირითადი კომპონენტი, რომელიც კაპიტალისა და წარმოების გადინებით ხელს უწყობს საერთო მსოფლიოს ეკონომიკის ჩამოყალიბებას.

ამჟამად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყველაზე კარგად ხსნის ტრანსნაციონალიზაციის ტერმინს, ვინაიდან ინვესტიციები კაპიტალის დაბანდებაა, რომელიც მიიღწევა ეროვნული ეკონომიკის საზღვრების ლიბერალიზაციის შედეგად. ღია საბაზრო ეკონომიკური სისტემა ხელს უწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რის შედეგადაც შიდა ბაზარზე მოქმედი საწარმოები ფართოვდებიან და ქმნიან ფილიალს ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამასთან ლიბერალური საბაზრო პოლიტიკის ფარგლებში ისინი ახორციელებენ ინვესტიციებს უცხოურ ოპერაციებში, ინტეგრირდებიან საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებთან და აყალიბებენ მსოფლიო ეკონომიკის საწარმოს ბირთვს.

კომპანია, რომელიც ცდილობს ლიბერალური ეკონომიკის კვალდაკვალ კაპიტალის გაფართოვებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ, უნდა გაითვალისწინოს კაპიტალის ექსპორტის გარკვეული თვისებები (უპირატესობები):

- კორპორაციის ზომა და ფარგლები;
- ასათვისებელი (პოტენციური) ბაზრის ზომა;
- კორპორაციის ფილიალების რაოდენობა;
- ტექნოლოგიური ლიდერობა;
- დასაქმებულების კვალიფიკაციის დონე;
- მენეჯმენტის უპირატესობა რეკლამების ორგანიზებაში;
- ბუნებრივი რესურსების უზრუნველყოფა;
- მრეწველობის საექსპორტო ორიენტაცია;
- ეროვნული ეკონომიკის იმპორტის ორიენტაცია;
- რეგიონის (ქვეყნის) პირობები, რომელიც საშუალებას აძლევს ფირმას

გააცნობიეროს ყველა ეს კორპორაციული უპირატესობა.

თავდაპირველად წარმოების სიმძლავრის ნაწილის უცხოეთში გადინება პირდაპირი ინვესტიციებით მოტივირებული იყო ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების სურვილით გაეკონტროლებინათ სტრატეგიული ნედლეულის მქონე

რეგიონები, თუმცა ისინი საკუთარი ეკონომიკური ბაზებით უნებურად ჩაერთნენ მსოფლიო ბაზრის მმართველობით ქსელში. (Хасбулатов,2001).

ინვესტიციების დარგობრივი სტრუქტურა შეიცვალა და თუ ადრე უპირატესობა სანედლეულო დარგებს ენიჭებოდა, ამჟამად ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართულია ადგილობრივი ბაზრის გამოყენებაზე. ინვესტიციები, როგორც კაპიტალის დაბანდება შეიძლება კლასიფიცირდეს მოკლევადიან (კაპიტალის დაბანდება ერთ წლამდე ვადით) საშუალო (ერთიდან სამ წლამდე ვადით) და გრძელვადიან (კაპიტალის დაბანდება სამ წელზე მეტი ვადით) ინვესტიციებად.

უნდა აღინიშნოს, ისიც რომ ”კაპიტალის ნაკადის გადინება” და ”უცხოური ინვესტიციები” არ არის იდენტური. კაპიტალური დაბანდებების ცნებაში იგულისხმება მხოლოდ წარმოების ძირითად საშუალებებში (კაპიტალში) დაბანდებები, ხოლო ინვესტიციების შემთხვევაში იგულისხმება ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც განხორციელდა ეკონომიკურ ობიექტსა და საშუალებებში (ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი, ფასიანი ქაღალდები, ადამიანური კაპიტალი, მარაგები და სხვა.) (World Bank....)

დღეისათვის კაპიტალის ტრანსნაციონალიზაცია მსოფლიო ეკონომიკის წამყვანი ტენდენციაა და მიზეზი განპირობებულია მისი „მოგზაურობის” შესაძლებლობებით. იმ ქვეყანაში, სადაც კაპიტალის სიჭარბე და ნაკლებმომგებიანობაა კაპიტალი მეტი მოგების მისაღებად გაედინება იქ, სადაც მისი დეფიციტია, თუმცა ჭარბადაა წარმოების სხვა ფაქტორები (მიწა, შრომა, სასარგებლო წიაღისეული და ა.შ.).

ტრანსნაციონალიზაციის ფარგლებში კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობით მიიღწევა ეკონომიკური ზრდა, ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია და ქვეყნების კონკურენტუნარიანობის მაღალი დონე. ცხრილში ჩამოთვლილი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ უცხოური ინვესტიციები, ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო ვაჭრობა, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა ხშირად განიხილებიან სინონიმებად და თითოეული მათგანი განპირობებულია ტრანსნაციონალური მოქმედებების შედეგად. (იხ. დანართი №5).

კაპიტალი საერთაშორისო მოძრაობაზე დიდ გავლენას ახდენს წარმოების ინტერნაციონალიზაცია. კაპიტალის ექსპორტი, განსაკუთრებით კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აძლიერებენ კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობას. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან შეინიშნება კაპიტალის საზღვარგარეთ გადინების ზრდის ტენდენცია. ამ დროს განვითარებული ქვეყნების კაპიტალის ექსპორტი სასაქონლო ექსპორტისა და მშპ-ის ზრდის ტემპს აჭარბებს და კიდევ უფრო აძლიერებს კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობას. უცხოეთში კაპიტალი გატანის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს:

- კაპიტალზე მოთხოვნისა და მიწოდების დონეთა უთანაბრობა;
- უცხოეთის ბაზრის მონოპოლიზაცია;
- სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია;
- მიმზიდველი საინვესტიციო გარემო;
- კაპიტალის იმპორტირებად ქვეყანაში უფრო იაფი ნედლეული და სამუშაო ძალა.

კაპიტალის ტრანსნაციონალიზაციით ღრმავდება ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულება და განვითარების დონის მიუხედავად ქვეყნები ცდილობენ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. თავდაპირველად კაპიტალის ექსპორტირებად ქვეყანაში კლებულობს სამუშაო ძალა და უარესდება საგადასახდელი ბალანსი, შემდეგ ინვესტიციებიდან მიღებული მოგების შემოსვლა იწყება და ქვეყნის ეკონომიკური ვითარებაც უმჯობესდება, ამ დროს კი განვითარებული ქვეყნები ეროვნულ ეკონომიკაზე კონტროლის დაკარგვის საშიშროების გამო ცდილობენ უცხოური ინვესტიციების შეზღუდვას. განვითარებადი ქვეყნებში კი ინვესტიციების განხორციელებისას მატულობს დასაქმებულთა რაოდენობა, შედის დამატებითი ვალუტა, ინერგება ახალი ტექნოლოგიები, თუმცა ეროვნული ეკონომიკის ცალკეულ სექტორზე კონტროლი სუსტდება ან საერთოდ იკარგება. ლიბერალიზაციის ფარგლებში გადადგმული ნაბიჯი უცხოური კაპიტალი ქვეყანაში შემოსვლის თვალსაზრისით შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის არქონის შემთხვევაში. ამის კარგი მაგალითია ვენესუელა, რომლის ეკონომიკის ზრდა

ბოლო წლებში მცირდება, მიუხედავად მსოფლიოში ნავთობის ყველაზე დიდი მარაგისა. ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ქვეყანასაც კი სჭირდება რეფორმა, რომელიც ინვესტირებისათვის ხელსაყრელ ბიზნესგარემოს შექმნის. (Forbes...2015).

ზოგიერთი მკვლევარი ადასტურებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს შემთხვევაში დადებით გავლენას ახდენენ ეკონომიკურ ზრდაზე. (ჭარაია, 2015; ჯანჯღავა, 2013). იმისთვის, რომ ქვეყანაში მოხდეს გარკვეული სახის ინვესტირება (შიდა ან საგარეო), საჭიროა დანაზოგები. საქართველოში დანაზოგების დონე მაღალი არ არის, რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს არა აქვს ისეთი შემოსავალი, რომ ფული დაზოგონ და შემდგომ მოახდინონ სხვადასხვა სფეროში ინვესტირება. საქართველოში ამ უკმარისობას უცხოური ინვესტიციები ავსებს და სახელმწიფო საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს საქართველოს კანონით „საქართველოს საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ აწესრიგებს. (საქართველოს კანონი... 1996). აღნიშნული კანონის ფარგლებში უცხოური და ადგილობრივი საინვესტიციო საქმიანობა საქართველოს ტერიტორიაზე თანაბარ პირობებში ხორციელდება და ამით უზრუნველყოფს ინვესტიციების ხელშემწყობი სამართლებრივი რეჟიმის დამკვიდრებას.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პროცესში აღსანიშნავია მხარდამჭერი სამთავრობო პოლიტიკა, იაფი მუშახელი, სტრატეგიული მდებარეობა და ბუნებრივი რესურსების შედარებით ხელმისაწვდომობა. ამას ემატება ბოლო 30 წლის განმავლობაში ყოფილი საბჭოთა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი რეფორმებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრად გახდომის პერიოდი. საქართველოს საინვესტიციო უპირატესობას ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმიც სძენს, განსაკუთრებით კი ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. იაფი მუშახელით საინვესტიციო მიმზიდველობის შექმნა ჯერ კიდევ საჭიროებს დახვეწას, ვინაიდან იაფ მუშახელს ძირითადად არ შეუძლიათ ხარისხიანი მომსახურების გაწევა, ინოვაციური პროდუქტების შექმნა, თანამედროვე ტექნოლოგიების სათანადო დონეზე ფლობა და სხვა. იმისათვის, რომ მოხდეს ინვესტიციების მოზიდვა საჭიროა ინვესტორისათვის კვალიფიცირებული კადრების შეთავაზება.

საქართველოს მთავრობა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით“ (DCFTA-Deep and Comprehensive Free Trade Area)-ის იმპლემენტაციით იღებს ვალდებულებას კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფაზე. 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, თუმცა ძალაში 2016 წელს შევიდა. ხელშეკრულება ჩაიშალა სომხეთთან მიმართებაში, რის მიზეზიც რუსეთის პოლიტიკის გავლენა სახელდება (Minasyan, 2017).

DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას - ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესი.

DCFTA-ის ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას. საქართველო გახდება მიმზიდველი ქვეყანა ინვესტორებისათვის, რაც გამოიწვევს ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადების ზრდას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გარდა ამისა, DCFTA-ის ამოქმედება ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული, საბოლოო ჯამში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე. (სამინისტრო... A).

კაპიტალის ტრანსნაციონალიზაცია ინვესტიციების განხორციელებაა ეკონომიკის სხვადასხვა დარგში და გულისხმობს ნებისმიერი საქონლისა და მომსახურების წარმოებას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების საფუძველზე კი საქართველოს შეეძლება ევროკავშირის ქვეყნებს მიაწოდოს მომსახურება

საქართველოს ბაზრიდან და ფილიალების გახსნის გარეშე. შესაბამისი კონტრაქტების გაფორმების საფუძველზე ქართველ სპეციალისტებს შეეძლება იმუშაონ ევროკავშირში.

თანამედროვე ეტაპზე თითქმის ყველა ქვეყანა, განვითარების დონის მიუხედავად დაინტერესებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში და ამისათვის ცდილობენ შექმნან სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, დაბალი გადასახადები და რეგულაციები, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, იაფი ან კვალიფიკაციური სამუშაო ძალა, თავისუფალი ვაჭრობა, კორუფციისგან თავისუფლება, სტრატეგიული მდებარეობის გამოყენების შესაძლებლობა და სხვა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ეკონომიკური საქმიანობის გლობალურობას ბევრი მკვლევარი განიხილავს, როგორც საერთაშორისო ვაჭრობისა და წარმოების ტრანსნაციონალიზაციის რაოდენობრივი და თვისებრივი გამოხატულება. **(Friedmen, 2004).**

ვინაიდან კაპიტალისა და წარმოების ტრანსნაციონალიზაცია არ ხდება იზოლირებულად, ამიტომ მასში ჩართული ყველა ქვეყანა ცდილობს ყოველი სახის ქმედება განახორციელოს ერთიანი ეკონომიკურ ჩარჩოში. სახელმწიფოების მიერ კაპიტალისა და წარმოების გადაადგილებისათვის ხორციელდება საერთო წესების შემუშავება. საერთო წესების შემუშავებას მივყავართ საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციამდე. კაპიტალისა და წარმოების მოძრაობაში შეზღუდვების აღმოფხვრა ლიბერალიზაციით მიიღწევა, რასაც შედეგად მოჰყვება: სამართლიანი და მიმზიდველი ბიზნესგარემოს ჩამოყალიბება, მსოფლიო ბაზრის წესების შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების შემოტანა, ამასთან დაიხვეწება სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემო.

საქართველოს ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში სტაბილურობისა და ეკონომიკური აღმავლობის გარანტიაა. ეკონომიკურ ინტეგრაციისათვის დამახასიათებელია: **(Индикаторы... 2019).**

- მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა;
- ეკონომიკური ზრდის ტემპი;
- შრომის პროდუქტიულობის გაზრდა;

- დასაქმებული ადამიანების რაოდენობის ზრდა;
- საგარეო და ორმხრივი ვაჭრობის ზრდა;
- ინვესტიციების შემოდინება;
- მზა და შუალედური პროდუქციის წარმოების ზრდა;
- მზა და შუალედურის პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდა.

უნგრელი ეკონომისტი ბელა ბალასა გამოყოფს ეკონომიკური ინტეგრაციის ხუთ დონეს: **(Balassa, 1961).**

- თავისუფალი ვაჭრობის ზონა, რომელიც გულისხმობს თავისუფალ ვაჭრობას წევრ ქვეყნებს შორის ყოველგვარი შეზღუდვების (საბაჟო ტარიფები და რაოდენობრივი შეზღუდვები) გარეშე; ამის მაგალითია თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია (EFTA - The European Free Trade Association) და ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის სივრცე (NAFTA – North American Free Trade Area).

- საბაჟო კავშირი - სახელმწიფოთაშორისო ერთიანი წესების ფორმირება, როლის ფარგლებშიც თავისუფალი ვაჭრობის ზონას ემატება ერთიანი საგარეო ტარიფები არაწევრ ქვეყნებთან მიმართებაში; მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს თავისუფალი სავაჭრო ზონა და საბაჟო კავშირი, ვინაიდან ზონა ითვალისწინებს საბაჟო გადასახადის თანდათან შემცირებას, არასატარიფო ბარიერების თანდათან გაუქმებას და ზონის წევრ-ქვეყნებს საბაჟო გადასახადის გარეშე ვაჭრობისათვის ამზადებს; ამის ნათელი მაგალითია სამხრეთ აფრიკის საბაჟო კავშირი (SACU-Southern African Customs Union), რომელშიც გაერთიანებულია ხუთი ქვეყანა (ბოტსვანა, ლესოთო, ნამიბია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და სვაზილენდი) იყენებს საერთო საბაჟო შეღავათებს. **(Ngalawa..., 2014).**

- საერთო ბაზარი - გულისხმობს საბაჟო კავშირს დამატებული წარმოების ფაქტორების (კაპიტალის, შრომის საქონლისა და მომსახურების) თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობას. საბაჟო კავშირიდან საერთო ბაზარზე გადასვლას განაპირობებს როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ფაქტორები. ამის მაგალითია აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის საერთო ბაზარი (COMESA – Common Market for Eastern and Southern Africa).

- ეკონომიკური კავშირი - რომელიც ცნობილია ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ჰარმონიზაციით გულისხმობს ერთიან ბაზარს დამატებული ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკა. აქ ევროკავშირი (EU - European Union) დომინირებს;

- სრული ინტეგრაცია - ინტეგრაციის ფორმა, რომლის დროსაც ეკონომიკურ ინტეგრაციასთან ერთად საქმე გვაქვს პოლიტიკური შინაარსის ჩარევებთან. (სახელმწიფო საზღვრების ლიკვიდაცია, ერთიანი მმართველობის სახელმწიფო ორგანოების შექმნა და სხვა). მსგავსი პრეცედენტი ჯერ არ არსებობს.

ბალასას თეორიის მიხედვით ეკონომიკური ინტეგრაციის გაზრდა და ბაზრებს შორის ვაჭრობის ბარიერების მოხსნა შესაძლებელია სუპრაციონალური საერთო ბაზრების შექმნით და წარმოების ფაქტორების თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობებით. რაც უფრო მაღალი ინტეგრაციის დონე, მით უფრო კომპლექსურია ქვეყნებს შორის ურთიერთობა. (იხ. ცხრილი №4).

ცხრილი №4: ეკონომიკური ინტეგრაციის დონე

ინტეგრაციის დონე	თავისუფალი ვაჭრობა წევრ ქვეყნებს შორის	საერთო საგარეო ტარიფი არაწევრი ქვეყნებისათვის	წარმოების ფაქტორების თავისუფალი გადაადგილება	ეკონომიკური პოლიტიკის ჰარმონიზაცია და უნიფიკაცია
თავისუფალი სავაჭრო ზონა	X	-	-	-
საბაჟო კავშირი	X	X	-	-
საერთო ბაზარი	X	X	X	-
ეკონომიკური კავშირი	X	X	X	X
პოლიტიკური კავშირი	X	X	X	X

წყარო: **Buonanno..., 2017**

ევროკავშირი ერთადერთია, რომელმაც გაიარა ეკონომიკური ინტეგრაციის ყველა დონე და ეკონომიკური მიზნებისადმი ერთგულება კვლავ რჩება მის მთავარ მოტივატორად. სწორედ ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების ინტენსიურად

მიმდინარეობამ გახადა ევროპა მსოფლიო ლიდერად საგარეო ვაჭრობაში. მეურნეობის სხვადასხვა სფეროში ინტეგრაციული ამოცანების გადაწყვეტაში დიდი გამოცდილების მქონე ევროკავშირი ადასტურებს, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის აქტიურობის საფუძველი ეროვნული ეკონომიკებისა და ბაზრების ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერებით ხდება. ამასთან თავისუფალი სავაჭრო ზონით ეკონომიკური ინტეგრაცია გაწვევრიანებულ ყველა ქვეყნისა უქმნის ხელსაყრელ გარემოს დასპეციალისდეს იმ საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე, რომლისთვისაც აქვს შესაბამისი წინამძღვრები, დანარჩენში კი შეუძლია სხვა მონაწილე ქვეყნებს დაეყრდნოს. (KÖNIG, 2014).

ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწეული შედეგებია:

- წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთვაჭრობაში გაუქმდა საბაჟო შეზღუდვები და ბარიერები;
- შეიქმნა საქონლისა და მომსახურების საერთო ბაზარი;
- არაწევრ ქვეყნებთან მიმართებაში დადგინდა ერთიანი საბაჟო ტარიფები;
- წარმოების ფაქტორების გადაადგილებაში დადგინდა სრული თავისუფლება;
- შეიქმნა ერთიანი ეკონომიკურ-სამართლებრივი სივრცე;
- მიმოქცევაში შევიდა ერთიანი ფულადი ერთეული - ევრო;
- განვითარდა და წარმატებით ფუნქციონირებს განსაკუთრებული ე.წ ევროპის სასამართლო, რომელიც მეწარმეებისათვის ერთიან სამართლებრივ გარემოს ქმნის;
- დღითიდღე იზრდება წევრი ქვეყნების რაოდენობა;
- გაუქმდა შეზღუდვები და დადგინდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ხელშემწყობი პირობები ევროკავშირისა და აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის 70-მდე განვითარებად ქვეყანას შორის;
- შეიქმნა თავისუფალი გადაადგილების ერთიანი (შენგენის) ზონა. (ჯოლია, 2015).

ეკონომიკური ინტეგრაციას მივყავართ ჩაკეტილი ეროვნული მეურნეობიდან საგარეო ბაზარზე ორიენტირებულ ანუ „ღია ეკონომიკაზე“ გადასვლისაკენ, სადაც ეკონომიკური კავშირების განმტკიცება ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა დაიწყეს. ტნკ-ებმა შიდა ბაზარზე ოპერირებადი ნაციონალური საწარმოების ფორმირებით და

შემდგომ უკვე საზღვრებს გარეთ გაფართოვებით საფუძველი დაუდეს წარმოებისა და კაპიტალის ტრანსნაციონალიზაციას. ტრანსნაციონალიზაციის ზრდის პირობებში საგარეო ვაჭრობა სულ უფრო მჭიდრო კავშირში შედის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან. პუი-ს უფრო სწრაფად ზრდა მშპ-თან შედარებით მიუთითებს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე. მთელი პროცესის დინამიკა და მასშტაბები, რომელიც დაკავშირებულია წარმოებისა და კაპიტალი ტრანსნაციონალიზაციასთან კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებითაც. (UNCTAD, 2019-1). (იხ. ცხრილი №55).

ცხრილი №5 : პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება (მთლიანი მოცულობა, საშუალო მაჩვენებელი) ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით

N	ქვეყნები - რეგიონები	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები				
		2005-2007	2015	2016	2017	2018
1	განვითარებული ქვეყნები	936 389	1 268 595	1 197 735	759 256	556 892
2	ევროპა	650 919	715 017	611 694	384 023	171 877
3	ევროკავშირი	613 484	635 840	556 119	340 570	277 640
4	აშშ	253 555	511 450	507 784	302 090	291 439
5	სხვა განვითარებული ქვეყნები	31 915	42 127	78 257	73 142	93 576
6	აზია	290 424	514 424	473 325	492 713	511 707
7	აღმოსავლეთ აზია	139 078	317 753	270 271	267 808	279 522
8	დასავლეთ აზია	63 846	31 228	32 065	28 383	29 291
9	სამხრეთ აზია	25 789	51 167	54 220	52 345	54 200
10	აფრიკა	38 375	56 874	46 482	41 390	45 902
11	ლათინური ამერიკა და კარიბის ქვეყნები	89 312	155 912	135 349	155 405	146 720
12	სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპა (გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკა)	58 909	36 394	64 654	47 538	34 218
13	საქართველო	1 126	1 653	1 566	1 894	1 232

წყარო: ცხრილი შემუშავებულია ავტორის მიერ World Investment Report 2019 -ის მონაცემებზე დაყრდნობით.

განვითარებული ქვეყნები, რომლებიც ცნობენ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე მაინც ცდილობენ ნაწილობრივ შეინარჩუნონ უცხოური ინვესტიციების კონტროლის ტენდენცია. მაგალითად მარშალის გეგმის განხორციელება ევროპულ სახელმწიფოებს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია“-ში (OECD - Organization for Economic Co-operation and Development) გაწევრიანებას ავალდებულებს. OECD - მხოლოდ ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებს აერთიანებს, თუმცა განვითარებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევა და სტიმულირების კოორდინაცია მისი ერთ-ერთი მიზანია. (შენგელია, 2011). ორგანიზაციის მიერ ჯერ კიდევ 1961 წელს შემუშავდა კოდექსი კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციის შესახებ, შეთანხმება ნაწილობრივ ეხება არაწევრ ქვეყანასაც და ამ კოდექსის უპირატესობა შემდეგში მდგომარეობს:

- ქვეყანა ღებულობს საერთაშორისო მხარდაჭერასა და აღიარებას მისი ღიაობისთვის;
- ქვეყანა თავს წარმოადგენს, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის თანამშრომელი წევრი ქვეყანა და თავს იკავებს ე.წ. "მათხოვარი-შენი მეზობელი" მიდგომისაგან;
- ქვეყანა სარგებლობს სხვა მონაწილე ქვეყნების ლიბერალიზაციის ზომებით, მიუხედავად საკუთარი ღიაობის მასშტაბისა;
- ქვეყანა დაცულია ინვესტორების უსამართლო და დისკრიმინაციული მოპყრობისგან, რომელიც შეიძლება განხორციელდეს არაწევრ ქვეყანაში და წევრი ქვეყანა უფლებამოსილია მოიძიოს პრობლემების გამოსწორების საშუალებები;
- ქვეყანას აქვს უფლება ქონდეს ინფორმაცია სხვა მონაწილე ქვეყნების ღიაობის მასშტაბებთან დაკავშირებით;
- ყველა მონაწილე ქვეყანა სრულად მონაწილეობს საერთო იურისპრუდენციის ჩამოყალიბებაში და არსებული წესების გაუმჯობესებაში. (OECD... 2011).

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებიდან

შემოსული ინვესტიციები ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად მატულობს.
(იხ. ცხრილი №6).

ცხრილი №6: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და კაპიტალი
სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიხედვით

საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და კაპიტალი										
წელი	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
OECD-ს წვერი ქვეყნები	-20,14	21,85	151,93	181,54	51,88	-58,88	1 248,71	190,08	358,53	208,16
დსთ-ს ქვეყნები	-26,58	6,21	126,93	169,54	13,88	-58,88	1 226,71	174,89	352,99	188,62
სხვა ქვეყნები	6,44	15,64	25,00	12,00	38,00	..	22,00	15,19	5,54	19,54
სომხეთში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და კაპიტალი										
წელი	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
OECD -ს წვერი ქვეყნები	26,60	-69,43	-23,05	-90,98	207,58	-0,21	56,74	179,48	87,54	103,51
დსთ- ს ქვეყნები	26,60	-69,45	23,05	90,98	207,58	-0,21	56,74	179,48	87,54	103,51
სხვა ქვეყნები	..	0,0 2
აზერბაიჯანში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და კაპიტალი										
წელი	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
OECD -ს წვერი ქვეყნები	416,57	798,21	714,29	325,77	868,56	-128,71	436,34	403,56	145,36	38,98
დსთ- ს ქვეყნები	111,90	585,03	418,29	-47,23	419,56	-2054,71	160,34	177,33	-99,05	-9,74
სხვა ქვეყნები	304,67	213,18	296,00	373,00	449,00	1 926,00	276,00	226,23	244,41	48,72


წყარო: ცხრილი შემუშავებულია ავტორის მიერ OECD - ის მონაცემებზე დაყრდნობით

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები გამოირჩევიან ინვესტიციების მომავალი მამოძრავებელი დარგების არსებობით, ამიტომაც მათ უნდა გაუმჯობესონ საინვესტიციო გარემო.

2.2. ტრანსნაციონალური კორპორაციების ექსპანსიის მასშტაბები და მექანიზმები
 ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ ინტეგრირებულ საინვესტიციო ინსტიტუტს, რომლის მიზანია კაპიტალის გაფართოებული კვლავწარმოება, რისთვისაც აუცილებელია კაპიტალის დაბანდება კონკურენტუნარიან, ექსპორტზე ორიენტირებული ფართომასშტაბიანი პროდუქციის წარმოებაში. მისი საბოლოო მიზანი კი ბაზრის გარკვეულ სეგმენტზე ექსპანსიას წარმოადგენს. (გოცირიძე, 2018).

ზოგიერთი მეცნიერის აზრით ტრანსნაციონალური კორპორაციების ექსპანსია შერწყმისა და შთანთქმის საფუძველზე ხდება. (Babic..., 2017).

დიაგრამა №8: შერწყმისა და შთანთქმის პროცესი მსოფლიოში 2000-2019 წწ.



წყარო: (Imaa..., A).

2000 წლის შემდეგ შერწყმისა და შთანთქმის 790 000-ზე მეტი ტრანზაქცია იქნა განხორციელებული, რომელთა ჯამური ღირებულება 57 ტრილიონ დოლარს

აღმატებოდა. 2018 წელს რაოდენობა შემცირდა 8%-ით, დაახლოებით 4900 ტრანზაქციით, თუმცა ღირებულება 4%-ით გაიზარდა და 3.8 ტრილიონი დოლარი შეადგინა.

ბოლო 20 წლის მანძილზე, მსოფლიო კრიზისის შემდეგ კორპორაციების შერწყმის უდიდესი მაჩვენებელი 2016 წელს დაფიქსირდა და ეს გამოწვეული იყო Royal Dutch Shell PLC -ის (ნიდერნალდები) BG Group PLC -თან (დიდი ბრიტანეთი) გაერთიანებით. დიდი ბრიტანეთის შემდგომ ყველაზე დიდი შერწყმა-შესყიდვა განახორციელა საფრანგეთმა, გერმანიამ და ევროპის სხვა ქვეყნებმა, ხოლო შემდეგ გააქტიურება დაიწყო აზიის ქვეყნებმაც. ე.წ M&A (Mergers and Acquisitions) გარიგებებში გამოჩნდნენ ბაზრის ლიდერები - ჩინეთი და ჰონკონგი, შემდეგ იაპონია, ავსტრალია და ინდოეთი.


შერწყმის ძირითადი მიზანია:

- საფონდო ბირჟაზე აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენა;
- ერთი კომპანიის მიერ მისი სტრუქტურული განყოფილების გამოყოფა მეორის სასარგებლოდ;
- კომპანიის გამოსყიდვა სასესხო კაპიტალის ხარჯზე (ყველაზე ხშირად ხდება მსხვილი ბანკების მიერ)
- პერსონალის (ინტელექტუალური შესაძლებლობების) ყიდვა;
- პატენტის ყიდვა (სავაჭრო ნიშნისა და ა.შ)
- ბრენდის ყიდვა
- საწარმოო სიმძლავრეების ყიდვა (რეალური ინვესტირება)
- ბრენდის ყიდვა;

ამერიკა ლიდერია განხორციელებული M&A გარიგებების რაოდენობისა და მოცულობების მიხედვით. მსოფლიო გარიგებების თითქმის 50% ამერიკაზე მოდის და ეს ტენდენცია ყოველთვის იგივე თანაფარდობით გვხვდება ბოლო წლებია. მათი გავლენა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობის სისტემაზე და მთლიანად ეკონომიკაზე ძალიან დიდია. (იხ. დიაგრამა №9).

დიაგრამა №9: მსოფლიო შერწყმისა და შთანთქმის პროცესების ღირებულება

2014-2019 წ.



წყარო: (Statista...,).

2019 წელს განხორციელებული 6 493 გარიგებიდან ამერიკამ 1.702 ტრლ. დოლარი მიიღო და სავაჭრო-საინვესტიციო ექსპანსიის მასშტაბების მიხედვით უსწრებს სხვა რეგიონებს. თუმცა ევროპისა და იაპონიის, ასევე განვითარებადი ქვეყნების ტნკ-ების ხარჯზე ამერიკა პოზიციებს უთმობს აზიურ ტნკ-ებს, რომლებსაც ექსპანსიონისტური ხასიათი აქვს.

წარმოგიდგენთ ბოლო წლებში 10 ყველაზე ძვირადღირებულ შერწყმისა და შთანთქმის ტრანზაქციას. (იხ. ცხრილი №7).

ცხრილი №7: ყველაზე ღირებული შერწყმისა და შთანთქმის პროცესები (მლრ. დოლარი)

N	წელი	მშთანთქმელი კომპანია №1	სამიზნე კომპანია №2	ტრანზაქციის ღირებულება
1	1999	Vodafone AirTouch PLC	Mannesmann AG	202,7
2	2000	America Online Inc	Time Warner	164,7
3	2013	Verizon Communications Inc	Verizon Wireless Inc	130.2
4	2007	Shareholders (Spin out)	Philip Morris Intl Inc	107.6
5	2015	Anheuser-Busch Inbev SA/NV	SABMiller PLC	101.5
6	2007	RFS Holdings BV	ABN-AMRO Holding NV	98.2
7	1999	Pfizer Inc	Warner-Lambert Co	89.6
8	2017	Walt Disney Co	21st Century Fox Inc	84.2
9	2016	AT&T Inc	Time Warner Inc	79,4
10	2019	Bristol-Myers Squibb Co	Celgene Corp	79.4


წყარო:(Imaa...,B).

2000 წელს ყველაზე გახმაურებული გარიგება მედია გიგანტის Time Warner-სა და ინტერნეტ მომსახურე კომპანიას შორის American Online Inc (AOL)-ს შორის განხორციელდა და მისი ღირებულება 164 მლრდ. აშშ. დოლარს შეადგენდა. ყველაზე ძვირადღირებული გარიგება კი ფიჭვურიკავშირგაბმულობის კომპანიებს შორის Vodafone AirTouch PLC-სა და Mannesmann AG-ს შორის განხორციელდა, რომელთა გარიგება 202,7 მილიარდ დოლარს შეადგენდა. იგივე სფეროში მომხდარი, სიდიდით მესამე გარიგება Verizon Communications Inc-სა და Verizon Wireless Inc-ს შორის განხორციელდა, რომლის ღირებულება 130 მილიარდ დოლარზე მეტია.

ტნკ-ების პუი-ს ანალიზი, მისი მასშტაბი და დინამიკა ავლენს არსებით კანონზომიერებას: წამყვანი, გარდამქმნელი როლი მთელ ამ პროცესში ეკუთვნის ბევრად უფრო განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს. განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნების მსოფლიო პროცესებში ინტეგრაცია კი იწყება ორმხრივი ლიბერალიზაციით, შეზღუდვების აღმოფხვრით საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობით. სწორედ, ამიტომ ტრანსნაციონალური გაერთიანებები თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტად გვევლინება, ვინაიდან ტრანსნაციონალური კაპიტალი ნაციონალური საზღვრების გადალახვით ქმნის საერთაშორისო ურთიერთობების ახალ სისტემას. მათი მეშვეობით შესაბამისი პირობების და პარტნიორი ქვეყნების დაინტერესება ხდება ერთმანეთით, რასაც შემდგომ მივყავართ რეგიონის ფარგლებში ერთიანი ეკონომიკური, სამართლებრივი და საინფორმაციო სივრცის შექმნისაკენ.

საერთაშორისო ბაზარზე მოქმედი კომპანიების კლასიფიკაცია კი დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე. ჰარვარდის ბიზნეს სკოლის პროფესორების კრისტოფერა ბარტლეტის და სუმანტრა გოშალის მიერ შემუშავებული მატრიცის მიხედვით ერთ-ერთი კრიტერიუმია „დედა და შვილი კომპანიების შორის ურთიერთობის დონე“. (Barlett., 1995:391) (იხ.დიაგრამა №10).

დიაგრამა №10: - კომპანიების უცხოურ ბაზარზე ინტეგრაციის სტრატეგიები



წყარო: (Bartlett..., 1989).

დიაგრამის მიხედვით, განასხვავებენ უცხოურ ბაზარზე ინტეგრაციის ოთხ დონეს ორი ფაქტორის (გლობალური ინტეგრაცია და ადგილობრივი რეაგირება) გათვალისწინებით.

ადგილობრივი რეაგირების ფაქტორი ითვალისწინებს ისეთ შეკითხვებს როგორცაა:

- ელოდებიან თუ არა მომხმარებლები თითოეულ ქვეყანაში პროდუქციის შესაბამისობას ადგილობრივი მოთხოვნების (საჭიროებების) დასაკმაყოფილებლად?
- ადგილობრივ კონკურენტებს აქვთ თუ არა უპირატესობა რომ მოახდინონ ბაზარზე უფრო მეტი რეაგირება?

გლობალური ინტეგრაციის ფაქტორები კი ითვალისწინებს შემდეგს:


- რამდენად მნიშვნელოვანია პროდუქტის სტანდარტიზაცია კომპანიის ეფექტურად მუშაობისთვის (მაგ., მასშტაბის ეკონომია)?
- საჭიროა თუ არა გლობალური ბრენდირება საერთაშორისო წარმატების მისაღწევად?

მაღალი გლობალური ინტეგრაციის მქონე კომპანიებისათვის მნიშვნელოვანია დანახარჯების მაქსიმალური შემცირება მასშტაბის ეკონომიის ხარჯზე და უფრო

უფრო სტანდარტიზირებული პროდუქტის შეთავაზება. გლობალური სტრატეგიის ნათელი მაგალითია ამერიკული კომპანიები Pfizer-ი (ფარმაცევტული კომპანია) და Caterpillar-ი (შემოკლებით CAT-ი, სპეცტექნიკის მწარმოებელი კომპანია). აღნიშნული კომპანიები ორიენტირებული არიან მსოფლიოს მასშტაბით განთავსებულ შვილობილი კომპანიები მართონ მორგებული სტრატეგიის ფარგლებში, რომლის გამოყენება შესაძლებელია ყველა ქვეყანაში. გლობალური სტრატეგიის მიზანია სტანდარტიზებული საქონლისა და მომსახურების შეთავაზება გლობალური ბაზრისთვის მინიმალური დანახარჯებით, ამიტომ მას ხშირად მულტისაშინაო სტრატეგიის საპირისპიროდაც განიხილავენ.

კომპანიების სტრატეგიები ერთმანეთისაგან განსხვავდება დედა და ფილიალი კომპანიების ურთიერთობებითაც, ე.წ. შიდა სტრუქტურით. ისინი შესაძლებელია ოპერირებდნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და პირიქით, შეიძლება ქონდეთ მჭიდრო კავშირი. ეს კი დამოკიდებულია თუ რა ტიპის სტრატეგიას ირჩევს კომპანია ბაზარზე შესასვლელად. (იხ. დიაგრამა №11).

დიაგრამა №11 : კომპანიების სტრატეგიები და სტრუქტურა



წყარო: ავტორის მიერ შემუშავებული STRACH, Pavel, International Management, 1st ed. Prague: Grada, 167 p. 2009, Expert (Grada), ნაშრომის მიხედვით

ტრანსნაციონალური სტრატეგია განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან იმით, რომ ამ შემთხვევაში ინფორმაციის გაცვლა ხდება არამარტო შვილობილ და დედა კომპანიებს შორის, არამედ შვილობილ კომპანიებს შორისაც. (Barlett., 1995:411). მისი მიზანი მაღალი გლობალური ინტეგრაციის დონით ადგილობრივ რეაგირებაზე მაქსიმალური ფოკუსირებაა. აღნიშნული სტრატეგია წარმოსადგენად რთულია, თუმცა შესაძლებელია მთლიანი ღირებულების ჯაჭვის განხილვისას. ტრანსნაციონალური კორპორაციები ცდილობენ შექმნან მასშტაბების ეკონომია ღირებულებათა ჯაჭვში და ამით გახდნენ უფრო მოქნილები და ადაპტირებულები

ისეთ სფეროებში როგორცაა გაყიდვები და მარკეტინგი. ამის მაგალითია ბრიტანულ-ნიდერლანდური საცალო გაყიდვების კომპანია Unilever-ი და ამერიკული კომპანია Starbucks-ი, რომელიც ყავის გაყიდვითაა დაკავებული იგივე სახელწოდების მქონე ყავახანების ქსელში. აღნიშნული კომპანიები იყენებენ ადგილმდებარეობის უპირატესობებს მაშინაც კი როცა ლოკალურად მოქმედებენ. მაშასადამე, მსგავსი სტრატეგიის მქონე კომპანიები იბრძვიან გლობალური მოთხოვნისა და პროდუქტის სტანდარტიზაციის შორის ბალანსისათვის. (შენგელია, 2010).

ინტერნაციონალური სტრატეგიისათვის დამახასიათებელია ორივე ფაქტორის დაბალი დონე, თუმცა ამ დროს ინფორმაცია დედა კომპანია ინდივიდუალურად გასცემს შვილობილ კომპანიებზე. ხშირად ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან ისეთ კომპანიებს, რომლებსაც აქვთ მცირე რაოდენობის დეცენტრალიზირებული ფილიალები ან/და მხოლოდ “ექსპორტის განყოფილება“ და არ აპირებენ გაფართოებას საზღვრებს გარეთ.

აღნიშნული სტრატეგია თავდაპირველად არ შედიოდა ბარტლეტისა და გომალის ტიპოლოგიაში, თუმცა სხვა ავტორების მიერ ის ჩაემატა „მატრიცაში“ და ამ სტრატეგიის ნათელი მაგალითია ამერიკული სწრაფი კვების უმსხვილესი ქსელი McDonald's-ი, რომელიც პროდუქციას აწარმოებს მშობლიურ ქვეყანაში და შემდგომ შვილობილი კომპანიების დახმარებით გააქვს საერთაშორისო ბაზარზე გასაყიდად. ამ შემთხვევაში მაკდონალდსის მიერ წარმოებული პროდუქტი არის ფიზიკური პროდუქტი, ან მომსახურება, რომელსაც სთავაზობენ მომხმარებლებს და არა საკვებად გამზადებული პროდუქტი, რომელიც წარმოებულია ადგილობრივ ბაზარზე და მათი რაოდენობა 70%-დან 87%-მდე მერყეობს.

მულტისაშინაო სტრატეგიის ფარგლებში კომპანიები ცდილობენ ადგილობრივი ბაზრების მოთხოვნები და საჭიროებები დააკმაყოფილონ, შესაბამისი ბაზრისთვის ადაპტირებული საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებით. (კულტურული, სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით). შვეიცარული კომპანია Nestle, რომელიც კვების პროდუქტებს აწარმოებს, თავისი საქონლის 98%-ის რეალიზაციას შვილობილი კომპანიების მეშვეობით ახორციელებს. ეს სტრატეგია

კომპანიისთვის ყველაზე მომგებიანია, ვინაიდან შვილობილი კომპანიები მყისიერად რეაგირებენ ადგილობრივი ბაზრების მოთხოვნების მიმართ.

ასეთი სტრატეგიული მიდგომა აუცილებელია იმ შემთხვევაში თუ:

- ეროვნულ ბაზრებს გააჩნიათ აშკარად გამოხატული სპეციფიკა;
- დაბალია „მასშტაბის ეფექტის“ მიღებული შედეგები;
- მაღალია შვილობილ კომპანიებთან კოორდინაციის დანახარჯები. (გასვიანი, 2019).


ახალ ბაზარზე ბიზნეს ოპერაციის განხორციელება ინტერნაციონალიზაციის კიდევ ერთი გამოწვევაა. ბაზარზე სწორი შესვლის რეჟიმმა და პოზიციონირების შესანიშნავმა სტრატეგიამ კი შეიძლება დაძლიოს ეს გამოწვევა. (Heino, 2008).

ტრანსნაციონალური კორპორაციების ექსპანსიის რამდენიმე მექანიზმი არსებობს. თითოეულს გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მახასიათებლები. ექსპანსიის დროს განისაზღვრება კომპანიის საზღვარგარეთულ ერთეულებზე სრული ან ნაწილობრივი კონტროლი. სამიზნე ქვეყნის ბაზარზე შესაღწევად კომპანიები სტრატეგიას ირჩევენ საბაზრო კონტროლის ხარისხის, რისკის დონე და სხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ამერიკელი მეცნიერი ფრენკლინ რუთი განასხვავებს ბაზარზე შესვლის ორ მეთოდს: წილობრივი და არაწილობრივი. (Root, 1987).

რუთის მეთოდის მიხედვით ექსპორტი იყოფა პირდაპირ (კომპანია თავად არის ჩართული საკუთარი პროდუქციის საზღვარგარეთ გატანაში) და არაპირდაპირ ექსპორტებად (საქონლის/მომსახურების გატანა საზღვარგარეთ სხვა აგენტების მეშვეობით). არაპირდაპირი ექსპორტის შემთხვევაში კომპანიას არ გააჩნია საერთაშორისო ბაზართან დაკავშირებული სპეციალური მიდგომა, ვინაიდან უცხოური გაყიდვები განიხილება, როგორც შიდა გაყიდვები. (იხ. დიაგრამა №12).

დიაგრამა №12: ბაზარზე შესვლის იერარქიული
 მოდელი



იმისათვის, რომ აირჩიოთ სწორი ბაზრის შესვლის სტრატეგია, უნდა ვიცოდეთ თითოეული სტრატეგიის უპირატესობები და ნაკლოვანებები. (Armstrong 2008).

პოლონელი ეკონომისტი კრისტოფერ ა. ვაჩი განსაზღვრავს თითოეულ სტრატეგიის უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს: (იხ. ცხრილი №8), (Wach, 2012).

სტრატეგიის მოდელი	მახასიათებლები	უპირატესობები	ნაკლოვანებები
არაწილობრივი მონაწილეობა: ექსპორტი			
არაპირდაპირი ექსპორტი	საქონლისა და მომსახურების გაყიდვა შიდა შუამავლის მეშვეობით	<ul style="list-style-type: none"> - ნაკლები დანახარჯი ბაზარზე შესასვლელად - დაბალი ფინანსური რისკი - ბაზარზე შესვლის წინააღმდეგობები - ეკისრება შიდა შუამავალს - მოთხოვნების დაბალი დონე - ნაკლები მარკეტინგული დანახარჯები - ინტერნაციონალიზაციის ყველაზე ნაკლებად რთული რეჟიმი - შედარებით მარტივი გაფართოება გაყიდვების ბაზარზე 	<ul style="list-style-type: none"> - გარიგების დაბალი საიმედოობა; - შუამავალზე დამოკიდებულების მაღალი დონე - უცხოური ბაზრების არცოდნა - საერთაშორისო გამოცდილების მოპოვების შეუძლებლობა - შიდა შუამავლის შესაძლებლობა იპოვოს უკეთესი მიმწოდებელი - შუამავლის შესაძლებლობა თავად დაიწყოს მწარმოებლობა
	პირდაპირი ექსპორტი უცხოელი შუამავლის მეშვეობით (როგორც უცხოელი შუამავალი)	<ul style="list-style-type: none"> - ნაკლები დანახარჯი ბაზარზე შესასვლელად - საშუალო ფინანსური რისკი- - აგენტი გადალახავს ბაზარზე შესვლის სირთულეებს 	<ul style="list-style-type: none"> - დაბალი მოგება გარიგებებიდან - უცხოურ აგენტზე დამოკიდებულების მაღალი დონე - საერთაშორისო გამოცდილების მოპოვების შეუძლებლობა
	პირდაპირი ექსპორტი	<ul style="list-style-type: none"> - შედარებით ნაკლებად 	<ul style="list-style-type: none"> - აგენტის შესაძლებლობა

	უცხოური დისტრიბუტორის მეშვეობით (როგორც უცხოელი შუამავალი)	სტაბილური მოთხოვნები - ნაკლები მარკეტინგული დანახარჯები	იპოვოს უკეთესი მიმწოდებელი - მაღალი სატრანსპორტო ხარჯები - პოტენციური სავაჭრო ბარიერები
პირდაპირი ექსპორტი	პირდაპირი ექსპორტი წარმომადგენლობითი ოფისის მეშვეობით	- უცხოურ ბაზარზე ფიზიკური ყოფნა - პირდაპირი კონტაქტი უცხოელ მომხმარებელთან - უცხოური ბაზრის სიგნალებზე რეაგირების მუდმივი შესაძლებლობა	- შედარებით მაღალი ხარჯები წარმომადგენლობითი ოფისის შენარჩუნებისათვის - პოტენციური სავაჭრო ბარიერები - მაღალი სატრანსპორტო ხარჯები
	პირდაპირი ექსპორტი საკუთარი უცხოური სადისტრიბუციო ქსელის მეშვეობით	- უცხოურ ბაზარზე ფიზიკური ყოფნა - კარგი კონტაქტი უცხოელ მომხმარებლებთან - სრული კონტროლი გაყიდვების პროცესზე - შედარებით მაღალი მომგებიანობა, ექსპორტის სხვა ფორმებთან შედარებით	- ბაზარზე შესვლის მაღალი დანახარჯები - საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის შენარჩუნების მაღალი ხარჯები - საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის შექმნის შრომატევადი მუშაობა
არაწილობრივი მონაწილეობა: კონტრაქტული შეთანხმებები			
ლიცენზირება	კომერციული მიზნებისათვის უცხოური კომპანია აძლევს უფლებას ადგილობრივ კომპანიას	- ნაკლები დანახარჯი ბაზარზე შესასვლელად - დაბალი ფინანსური რისკი - სტაბილური შემოსავლის	- შესაძლებლობა დაკარგოს კონტროლი ტექნოლოგიებზე და ნოუ-ჰაუზე - უცხოურ ბაზარზე ხარისხის შენარჩუნების

	გამოიყენოს მულტინაციონალური კომპანიების ტექნოლოგიები, მენეჯმენტის სისტემები, სავაჭრო ნიშნები, დიზაინი, ნოუ-ჰაუ ან რაიმე სხვა აქტივები რომელიც გააჩნია მულტინაციონალურ კომპანიას	უზრუნველყოფა - მყარი პოზიცია უცხოურ ბაზრებზე კომერციული ბრენდისა და ლოგოს თვალსაზრისით - ლიცენზიის მიმღები იცნობს ადგილობრივ პირობებს	კონტროლის ნაკლებობა - ლიცენზიის მიმღების მუქარის საფრთხე - შედარებით დაბალი შემოსავალი (როიალტი) ინტერნაციონალიზაციის სხვა ფორმებთან შედარებით
ფრენჩაიზინგი	ერთი წარმატებული კომპანიის ბიზნესის მართვის მოდელის, მეორე კომპანიის მიერ გამოყენებაა, სალიცენზიო და როიალტის გადასახადის სანაცვლოდ	- დაბალი პოლიტიკური რისკი - ნაკლები დანახარჯი ბაზარზე შესასვლელად - მსოფლიოს განსხვავებულ რეგიონებში ერთდროულად შეღწევის შესაძლებლობა	- ფრენჩაიზის მიმღების კონკურენტად გადაქცევის შესაძლებლობა - არაკომპეტენტურმა ფრენჩაიზის მიმღებმა შესაძლებელია, ზიანი მიაყენოს კომპანიის სახელს და რეპუტაციას, ბაზარზე შეღწევის სხვა ხერხებთან შედარებით, როგორც არის ექსპორტი ან თუნდაც ლიცენზირება - საერთაშორისო ფრენჩაიზინგი მოითხოვს ძალიან დიდ ფინანსურ ინვესტიციებს მხარდაჭერის მოსაზიდად და მოსაპოვებლად
		- უცხო ბაზარზე მარტივად შესვლა - საქონლის და მომსახურების წარმოების პროცესში,	- არაკეთილსინდისიერი პარტნიორი, რომელიც შეეცდება კონკურენტებთან თანამშრომლობას


<p>სტრატეგიული ალიანსი</p>	<p>სხვადასხვა კომპანიას შორის მრავალი სახის კოოპერატიული (ერთობლივი) შეთანხმება, თუმცა ძირითადად ეხება ტექნოლოგიების გაცვლას</p>	<p>ხარჯების და რისკების გადანაწილების შესაძლებლობა</p> <ul style="list-style-type: none"> - უნარების და აქტივების გაერთიანება, რომელიც, ამგვარი თანამშრომლობის გარეშე, შესაძლოა მიუღწეველი ყოფილიყო - ალიანსების ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა - კონკურენტუნარიანობის ზრდა - კომპეტენციის ამაღლება და ცოდნის გაზიარება 	<ul style="list-style-type: none"> - ტექნოლოგიების მოპარვის საშიშროება - კომუნიკაციის პრობლემა
<p>R&D კონტრაქტები</p>	<p>კვლევებსა და შემუშავებაზე (R&D) გაწეული დანახარჯები - მიკუთვნება ცოდნაში ჩადებულ ინვესტიციები</p>	<ul style="list-style-type: none"> - კონტრაქტორი მხარეებს შორის გადანაწილებული რისკი - პარტნიორისგან გამოცდილების მიღების შესაძლებლობა 	<ul style="list-style-type: none"> - ცოდნის გაზიარების აუცილებლობა კონტრაქტორ მხარესთან - კონტრაქტორი მხარეებს შორის უნდობლობა, კერძოდ ტექნოლოგიების ცოდნის არგაზიარების თვალსაზრისით
<p>წილობრივი მონაწილეობა: ერთობლივი საწარმო</p>			
		<ul style="list-style-type: none"> - ცოდნისა და რისკებზე 	<ul style="list-style-type: none"> - პარტნიორებს არ აქვთ მართვაზე სრული

<p>ერთობლივი საწარმო</p>	<p>შესაძლებლობა რამოდენიმე კომპანიამ ერთად მოახდინოს ერთიანი საწარმოს ან/და კომპანიის ჩამოყალიბება და შემდგომში მისი ერთობლივი მართვა</p>	<p>პასუხისმგებლობის თანაბარი გადანაწილების შესაძლებლობა - ფინანსური შესაძლებლობების უკეთ გამოყენება - ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში მოცემული სტრატეგია შეიძლება იყოს ბაზარზე შესვლის ერთ-ერთი საუკეთესო გზა მულტინაციონალური კომპანიებისთვის</p>	<p>კონტროლი - საჭიროების შემთხვევაში შეიძლება დაბანდებული ინვესტიციების ამოღების საშიშროება შეიქმნას - პარტნიორებს შესაძლოა ქონდეთ განსხვავებული შეხედულებები მოსალოდნელი შემოსავლების გადანაწილებაზე რაც უთანხმოების ერთერთი საბაზი შეიძლება გახდეს</p>
<p>წილობრივი მონაწილეობა: საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანიები</p>			
<p>კომპანიების შერწყმა</p>	<p>ორი ან მეტი კომპანიების გაერთიანება</p>	<p>- ბაზარზე პირდაპირი წვდომა - საწარმოო დანახარჯების შემცირება - შემოსავლების და მოგების ზრდა - გეოგრაფიული არეალის ზრდა</p>	<p>- მონოპოლიის საშიშროება - კულტურათათმორისი განსხვავებები - შერწყმისა და შექმნის სტრატეგიის განხორციელება შეიძლება იყოს მაღალ დანახარჯებთან დაკავშირებული - ანტიკონკურენციული</p>

			გარემო
Greenfield	კომპანიების მიერ ახალ პროექტებში ჩადებული დაფინანსება	<ul style="list-style-type: none"> - საბაზრო კონტროლის მაღალი დონე - ადგილობრივ ბაზარზე "კეთებით სწავლება"-ს შესაძლებლობა - ახალი პროექტების დაფინანსების მაღალი დონე 	<ul style="list-style-type: none"> - ბაზარზე შესვლის მაღალი რისკი - ბაზარზე შესვლისათვის საჭირო დიდი დრო (სტრატეგიის ახალი ფორმირების გამო) - მოითხოვს პოლიტიკურ სტაბილურობასა და რეგულაციებთან შესაბამისობას

საერთაშორისო ბაზარზე შესვლის სტრატეგიები ფ. რუთმა გრაფიკულად ასახა, რომელიც კომპანიას დაეხმარება განსაზღვროს აღნიშნული სტრატეგიების მართვისა და კონტროლის დონე რისკებთან მიმართებაში. (იხ. დიაგრამა №13).

დიაგრამა №13: საერთაშორისო ბაზარზე შესვლის სტრატეგიები რისკების მიხედვით



რუთის მიხედვით, სტრატეგია განსხვავებულია კომპანიის რაობიდან გამომდინარე და ითვალისწინებს მის მასშტაბებს. ცხრილი დასტურია იმისა, რომ ახალ ბაზარზე შესვლის გადაწყვეტილების მიღებამდე, უნდა მოხდეს პოტენციური უცხოური ბაზრის ჯეროვანი შესწავლა, ოპტიმალური შედგენის მეთოდის შერჩევა და მას მერე აქტივობების დაწყება. (Root, 1994).

2.3 საქართველოს საწარმოების ტრანსნაციონალიზაციის პროცესის კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები განხორციელდა, რომლებიც მიმართული იყო მიმზიდველი სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებისაკენ. რეფორმების შედეგად შეიქმნა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემო, ეკონომიკა გახდა ბევრად უფრო ლიბერალური, გაუმჯობესდა სახელმწიფო სერვისები, მოიხსნა ბიუროკრატიული ბარიერები, შემცირდა საგადასახადო ტვირთი და კორუფციის დონე, რაც სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ აისახა კიდევ. მოწინავე პოზიციებმა ინდექსებსა და რეიტინგებში კიდევ უფრო გაზარდა საქართველოში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა.

სამეწარმეო სექტორი დიდ როლს თამაშობს მდგრადი ეკონომიკის უზრუნველყოფაში როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. კომპანიების 99%-ზე მეტს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ და სამეწარმეო სექტორის ბრუნვის 50%-ზე მეტს ქნიან. (საქსტატი)

საქართველოში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების მიუხედავად მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება იგივე გამოწვევის წინაშე დგას და საჭიროებს სრულყოფას.


ქართული კანონმდებლობის საფუძველზე მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების დასადგენად გამოიყენება სიდიდის, დასაქმების, აქტივებისა და

შემოსავლების სხვადასხვა პარამეტრები. აღნიშნული პარამეტრების მიხედვით საქართველოში მსხვილი საწარმოები ძირითადად გვხდება შემდეგ დარგებში:

- სამთო მრეწველობა
- გადამამუშავებელი მრეწველობა
- ელექტრო, გაზით და წყლით მომარაგება. (საქსტატი...).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით 2019 წლის ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება და მთლიანი ბრუნვის 52.7% მსხვილ ბიზნესზე მოდის, 20% საშუალოზე, ხოლო 27.3 % მცირე ბიზნესზე ნაწილდება. (იხ. დიაგრამა №14).

დიაგრამა №14: ბიზნეს სექტორის ბრუნვა (2009-2019)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ სამეწარმეო საქმიანობას განსაზღვრავს, როგორც მართლზომიერ და არაერთჯერად საქმიანობას, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. ბიზნეს სექტორის ბრუნვა კი არის საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებელი, რომელიც შეესაბამება მოცემული ერთეულის მიერ განხორციელებული საქონლისა და მომსახურების მოცულობას.


საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, ასევე განსაზღვრავს საწარმოს ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმის ტიპებს:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

- სააქციო საზოგადოება
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება
- კომანდიტური საზოგადოება
- კოოპერატივი
- ინდივიდუალური მეწარმე (ფიზიკური პირი)

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით ზრდის ტენდენციით ხასიათდება რეგისტრირებული საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც ძირითადად შემდეგ დარგებში საქმიანობდნენ: ტრანსპორტი და დასაწყობება, მშენებლობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები, საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების და მოტოციკლეტების რემონტი, ინფორმაცია და კომუნიკაცია, ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება, დამამუშავებელი მრეწველობა. კლება დაფიქსირდა სამთომომპოვებითი მრეწველობის სექტორში.

დიაგრამა №15: რეგისტრირებული საწარმოთა რაოდენობის სტატისტიკა წლების მიხედვით 2009-2018



მთელი პროცესების დინამიკა და მასშტაბები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოში დღესარსებული ლიბერალურ საბაზრო პოლიტიკასთან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებთან, წარმოების ინტერნაციონალიზაციის განვითარებასთან და ტნკ-ების საქმიანობასთან განსაზღვრული შეიძლება იქნას ტრანსნაციონალიზაციის ინდექსის მაჩვენებლით. ცნება „ტრანსნაციონალური ინდექსი“, რომელსაც იყენებენ კორპორაციების გლობალურობის დონის შეფასებითვის ჯერ კიდევ 1990 წელს ჩამოყალიბდა. ტრანსნაციონალიზაციის

ინდექსის (ტნი) პროცენტული მაჩვენებელი გამოითვლება შემდეგი სამი მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულით. 1. უცხოური აქტივების ფარდობა აქციების საერთო მოცულობასთან; 2. უცხოური გაყიდვების ფარდობა გაყიდვების საერთო მოცულობასთან; 3. საზღვარგარეთ მომუშავე თანამშრომლების ფარდობა კორპორაციაში დასაქმებულ საერთო თანამშრომელთა რაოდენობასთან.

$$\text{ტნი} = \frac{\frac{\text{საზღვარგარეთული აქტივები}}{\text{მთლიანი აქტივები}} + \frac{\text{საზღვარგარეთული გაყიდვები}}{\text{მთლიანი გაყიდვები}} + \frac{\text{საზღვარგარეთული პერსონალი}}{\text{მთლიანი პერსონალი}}}{3} \times 100$$

ტრანსნაციონალური ინდექსის მაღალი დონით გამოირჩევა ამერიკა, ევროკავშირი იაპონია და სხვა. განვითარებულ ქვეყნებში ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი მაღალია საკვებ და ფარმაცევტულ სფეროში, ხოლო განვითარებად ქვეყნებში ტრანსპორტისა და სხვა სფეროებში. (UNCTAD, 2007:13).

რაც უფრო მაღალია ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, მით უფრო დიდია უცხოური ფილიალებისა და საგარეო ბაზრების როლი. იგი შედგება სამი ნიშნისაგან.

- კომპანიის საკუთრება საზღვარგარეთ;
- კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა საზღვარგარეთ;
- კომპანიის რეალიზაცია საზღვარგარეთ.

ტრანსნაციონალიზაციის მაღალი დონით გამოირჩევა: Nestle (შვეიცარია), Unilever (ნიდერლანდები), Philips Electronics (ნიდერლანდები), Bayer (გერმანია), Total (საფრანგეთი), Gillette (აშშ), Exxon (აშშ), Alcatel (საფრანგეთი), Honda (იაპონია), Sony (იაპონია) BMW(გერმანია), Volvo (შვედეთი), BASF (გერმანია), McDonalds (აშშ), Volkswagen Group (გერმანია), IBM (აშშ), Siemens (გერმანია), Bosch (გერმანია), Philio Morris (აშშ), Daewoo (სამხრეთ კორეა), Motorola (აშშ), Jonson&Jonshon (აშშ), Xerox (აშშ) და სხვა. ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი გვიჩვენებს თუ რამდენად არის მნიშვნელოვანი ამათუიმ ტნკ-თვის უცხოური ფილიალები და საგარეო ბაზრები. რაც უფრო მაღალია ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, მით მეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიისათვის მისი უცხოური ფილიალების არსებობა-საქმიანობას. აღსანიშნავია,

რომ ტნკ-ების გაყიდვების მოცულობა აღემატება მსოფლიო ვაჭრობის 25%-ს, ამასთან ტნკ-ების მიერ წარმოებული პროდუქციის 30-35% საზღვარგარეთის ფილიალებზე მოდის.

საქართველოს 100 უმსხვილესი კომპანია, რომელიც Forbes Georgia-ს აქვს წარმოდგენილი საერთაშორისო აუდიტორული კომპანიასთან Grant Thornton - თან პარტნიორობით 2019 წლის მონაცემებით ტოპ-20 საწარმოს მიეკუთვნება. (იხ. ცხრილი №14).

კომპანიების რეიტინგი ეყრდნობა სამ ფინანსურ მაჩვენებელს: მთლიან აქტივებს, შემოსავლებსა და წმინდა მოგებას. უმსხვილეს კომპანიებში დომინანტობს ნავთობკომპანიები, თუმცა ათეულში მოხვდა ენერჯეტიკისა და კავშირგაბმულობის სექტორში ჩართული კომპანიებიც. რეიტინგში არ მონაწილეობენ კომპანიები, რომლებშიც სახელმწიფო 50%-ზე მეტ წილს ფლობს, აგრეთვე არ შედის საბანკო, სადაზღვევო და საფინანსო სექტორი.

მონაცემები ეყრდნობა პორტალ reportal.ge-ზე გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებებს. აღნიშნული პორტალი 2007 წლიდან ფუნქციონირებს და იგი არის საქართველოში პირველი საჯარო საინფორმაციო რესურსი, რომელიც საქართველოში არსებული სუბიექტების ფინანსურ და მმართველობით ანგარიშგებებს მოიცავს. წარმოდგენილ რეიტინგში კი მოხვდნენ ის კომპანიები, რომლებმაც ანგარიშგებები 2019 წლის 1 მარტამდე გამოაქვეყნეს.

რეიტინგი არ შეიცავს ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის შეფასების, ტრანსნაციონალიზაციის ინდექსის გამოანგარიშებისათვის საჭირო მაჩვენებლებს: უცხოური აქტივების წილს აქტივების მთლიან მოცულობასთან მიმართებაში, უცხოეთში გაყიდვების წილს გაყიდვების მთლიან მოცულობასთან მიმართებაში, უცხოურ ფილიალებში დასაქმებულთა წილს დასაქმებულთა მთლიან რაოდენობასთან.


საქართველოს კომპანიების ტრანსნაციონალიზაციის ინდექსისათვის გამოსათვლელ მონაცემებს არც საქართველოს სტატისტიკური სამსახური გასცემს.

ვინაიდან ტრანსნაციონალიზაცია ასახავს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესს და ხშირად გლობალიზაცია და ტრანსნაციონალიზაცია განიხილება

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების საფეხურად, (Sholte, 1997). გაეროს მიერ შემუშავებული ტრანსნაციონალიზაციის ინდექსის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად საქართველოს მდგომარეობა, გლობალიზაციის KOF-ინდექსის მეშვეობით შეგვიძლია ავსახოთ. KOF-ის გლობალიზაციის ინდექსი, რომელიც განსაზღვრავს მსოფლიო სივრცეში ქვეყნების ინტეგრირების ხარისხს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გლობალიზაციის მიხედვით, ეკონომიკური გლობალიზაციის დონე კი, რომელიც ამ ეტაპზე ჩვენი სამიზნეა განისაზღვრება საერთაშორისო ვაჭრობისა და უცხოური კაპიტალის მოძრაობის კრიტერიუმების გათვალისწინებით. ეკონომიკური ინტეგრაცია კი ი. ტინბერგენის მიხედვით გულისხმობს ქვეყნებს შორის ეკონომიკური საქმიანობის ბარიერების მოხსნასა და ახალი ინსტიტუტების შექმნას. (Tinbergen, 1965).

გლობალიზაციის ინდექსს ციურიხის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ყოველწლიურად აქვეყნებს და 2018 წელს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით საქართველო 2017 წელს ეკონომიკური გლობალიზაციის ნაწილში 22-ე ადგილს იკავებს. (იხ.დიაგრამა №16).

დიაგრამა №16: საქართველოს გლობალიზაციის ინდექსი





წყარო: ცხრილი ავტორის მიერ შემუშავებული. KOF-ინდექსის მონაცემებზე დაყრდნობით ბოლო 20 წლის ტენდენცია გვიჩვენებს, რომ საქართველოს საერთაშორისო პროცესებში ინტეგრაციის დონე ცვლილებით ხასიათდება, თუმცა ბოლო 8 წლის მანძილზე შეინიშნება ინტეგრაციის მაღალი დონე.

საერთაშორისო პროცესებში ინტეგრაციის დონის ცვლილება გამოწვეულია ქვეყანაში არსებული პრობლემებით. ცხრილიდან ჩანს, რომ 2002 და 2008 წლებში

საქართველოს ეკონომიკური გლობალიზაციის რეიტინგი იკლებს. რაც ნაწილობრივ განპირობებულია 1. 2002-2003 წლებში ეკონომიკური სტაგნაციის მკაფიო ინდიკატორის ინფლაციის მაღალი დონით და 2. 2008 წლის აგვისტოს ომი და გლობალური ფინანსური კრიზისით, ასევე რუსეთთან გართულებული ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობებით.

მნიშვნელოვანია დავინახოთ დამოკიდებულება სამ მაჩვენებელს შორის: ტრანსნაციონალიზაციას (KOF ინდექსის საფუძველზე), პირდაპირი უცხოური ინვესტიციებსა და ბიზნესის კეთებას შორის. ამისათვის გამოვიყენებთ მარტივ წრფივ რეგრესიის მოდელს. (იხ. დიაგრამა №17).

დიაგრამა №17: საქართველოში დამოკიდებულება ტრანსნაციონალიზმსა და ცვლადებს შორის



წყარო: ავტორის მიერ შემუშავებული

მარტივი რეგრესია რომლითაც შეისწავლება ორ X და Y ცვლადს შორის დამოკიდებულება გამოსახულია $Y=a+bX$ ფორმულით. ჩვენს შემთხვევაში ტრანსნაციონალიზაცია= $a+b*FDI$. FDI არის დამოუკიდებელი ან განმარტებითი ცვლადი, ტრანსნაციონალიზმი არის დამოკიდებული ცვლადი, "a" არის მუდმივი და "b" დამოუკიდებელი ცვლადის რეგრესული პარამეტრია.

დიაგრამა №16-დან ჩანს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და წინა პოზიციები "ბიზნესის კეთება" ინდექსში დადებითად ეხება ტრანსნაციონალიზმს. აღნიშნული ცვლადების ზრდა გამოიწვევს ქვეყანაში ტრანსნაციონალიზმის ზრდას.

ზემოაღნიშნული დიაგრამიდან გამომდინარე, ვლებულობთ შემდეგ განტოლებებს:

$$\text{ტრანსნაციონალიზმი} = 59.8727 + (0.0103 * FDI) \quad (1)$$

$$\text{ტრანსნაციონალიზმი} = 73.4305 + (- 0,1170 * \text{Doing Business}) \quad (2)$$

$$(1) \text{ განტოლებიდან: } a = MY - bMX = 69.7 - (0.01 * 950.24) = 59.87266 \quad (3)$$

$$b = SP / SSX = 61686.54 / 5962159.06 = 0.01035 \quad (4)$$

$$(2) \text{ განტოლებიდან: } a = MY - bMX = 70.86 - (-0.12 * 22) = 73.43055 \quad (5)$$

$$b = SP / SSX = -1114.31 / 9522 = -0.11702 \quad (6)$$

დამოკიდებულება აისახა გაზნევის დიაგრამაში.

ცხრილი №9: ტრანსნაციონალიზმის მარტივი რეგრესია

ცვლადი	შეფასება	შეცდომა	T-statistic	P-Value	R (square)
FDI	0.0103	0.0013	7.7858	1.2008	0.8016
მუდმივი პარამეტრი	59.8726	1.4878	40.2398	0	
Doing Business	-0.11702	0.0633	-1.8480	0.0874	0.2081
მუდმივი პარამეტრი	73.4305	2.1180	34.668	3.3457	

წყარო: (Jibladze..., 2020)

ცხრილი №8-ში R კვადრატი 0,8016-ის და 0,2081 ტოლია და გვიჩვენებს რეგრესიის მოდელში დისპერსია 80,1%-ით და 20,8% არის გათვალისწინებული, რაც მაღალი

მაჩვენებელია. ეს ნიშნავს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა და „ბიზნესის კეთება“ ინდექსში მოწინავე პოზიცია გამოიწვევს ტრანსნაციონალიზმის ზრდას 59.8726 და 73.4305 ერთეულებით. ეს სამი ეკონომიკური ფენომენი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და შეიძლება ითქვას, რომ ტრანსნაციონალიზმი სიმულაციურია უცხოური ინვესტიციების და ინვესტიციების გარემოს მიხედვით. შესატყვისობის სიკარგე, რომელიც შემდეგი ნიშნულებით განისაზღვრება : <0.1-სუსტი; 0.11 - 0.3 -ზომიერი; 0.31 - 0.5 -საშუალო და >0.5 / ძლიერი, გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ რეგრესიის მოდელი ძლიერად ჩავთვალოთ.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილული ტრანსნაციონალიზაციის თეორიებიდან გამომდინარე საქართველოში ტრანსნაციონალიზმის განვითარების ტენდენციები და მოტივაციის ფაქტორები ძირითადად თავმოყრილია დანიინგის ეკლექტიკურ თეორიაში. ე.წ „საუკეთესო“ ელემენტებად კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საგარეო ვაჭრობა და ხელსაყრელი გეოეკონომიკური მდებარეობა გვევლინება. თეორია გეოგრაფიულ მდებარეობის უპირატესობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და კომპანიას მაქსიმალური მოგების მისაღებად უკვე აქვს ის, რესურსი რითაც ის დაიმკვიდრებს ადგილს უცხოურ ბაზარზე.

ასევე ჯ. დანიინგის ეკლექტიკური თეორიის ნაწილში, როცა საუბარია კომპანიის მაქსიმალური მოგების მისაღებად ახალ ბაზარზე გასვლის აუცილებლობაზე, აქაც ზოგადი წარმოდგენის შექმნისათვის ვზრდით მასშტაბებს და ქვეყნის მასშტაბით განვიხილავთ მდგომარეობას. თეორიის ფარგლებში ადგილმდებარეობის უპირატესობა უკვე ითვლება რესურსად, რომელიც საშუალებას მიცემს კომპანიას იყოს კონკურენტუნარიანი. საქართველოს მაგალითზე ადგილმდებარეობის უპირატესობაც ითვლება რესურსად, რომელიც სატრანსპორტო პოტენციალის გაზრდისთვის გამოიყენებს. სატრანსპორტო პოტენციალი კი თავისმხრივ გააღრმავებს ურთიერთობას მსოფლიოს ქვეყნებთან და მოხდება ქვეყნის მსოფლიო პროცესებში ინტეგრირება. ვინაიდან სატრანზიტო ფუნქცია ქვეყნის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც მომავალში ხელს უწყობს ტრანსეკონომიკურ აქტივობებს, საქართველოს აქვს მეტი შესაძლებლობა შესძინოს მას კიდევ უფრო მეტი სტრატეგიული მნიშვნელობა.

ეკლექტიკური თეორიის ნაწილში, სადაც საუბარია მაქსიმალური მოგების მიღებით კონკურენტუნარიანი კომპანიის ჩამოყალიბება, ამის პარალელზე თურქმენული ნავთობის სარკინიგზო გადაზიდვების სრულიად ათვისებითა და შუა აზიასა და ქვეყნებში ტვირთბრუნვის ზრდით საქართველოს შეუძლია გახდეს კონკურენტუნარიანი. საქართველოს გავლით გადასაზიდი ტვირთების რაოდენობის ზრდა მიგვიყვანს რეგიონალურ და შემდგომ საერთაშორისო დონის ინტეგრაციამდე.

ეკლექტიკური თეორიის მეორე ნაწილში, რომელიც მფლობელის უპირატესობას მოიცავს, კომპანია იყენებს მარკეტინგულ და მენეჯერულ უნარებს. მფლობელის უპირატესობები არამატერიალურია და გულისხმობს საიმედოობის რეპუტაციას. თუ ამ თეორიის მეორე ნაწილის მასშტაბებს გავზრდით საქართველომ მფლობელის უპირატესობის ნაწილში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებულ ქვეყნებს უნდა შესთავაზოს მოქნილი სატარიფო პოლიტიკა და პარალელურად უნდა უზრუნველყოს კვალიფიკაციური ადამიანური რესურსები. ვინაიდან ტნკ-ებს ქვეყანაში შეაქვთ ინოვაციური ტექნოლოგიები, რაც შემდგომ უკვე ავითარებს მიმღები ქვეყნის მწარმოებლურობას, ხელისუფლებამ ყურადღება უნდა დაუთმოს ახალი ტექნოლოგიებისა და ინვაციური ნაკადებზე ორიენტირებულ განათლებას და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ხელშეწყობას.

ამავე თეორიის მესამე უპირატესობა ინტერნაციონალიზაციაა, რომელიც ხსნის კომპანიის შესაძლებლობებს მფლობელის უპირატესობასთან კომბინაციით. თუ კომპანიას აქვს სამივე უპირატესობა კომპანია განახორციელებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს.

ჯ. დანიინგი და პ.რობსონი ინტერნაციონალიზაციის პროცესებს ხშირად განიხილავენ როგორც ქვეყნების, ასევე კომპანიების დონეზე, (Dunning..., 1987) ამიტომ აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში კომპანიების ეკლექტიკური თეორიის განზოგადებას ქვეყნების (საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანი) მაგალითზე შეუძლია ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნას ეკონომიკის განვითარების საფეხურებზე. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის ზრდის საწინდარია, თუმცა საქართველოში არ არის ბევრი ტნკ, რომელთა შემოსავლებითაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკაში

რეინვესტირება. ამიტომ უცხოურ კაპიტალზე საქართველოს დამოკიდებულება მეტად დიდია. (ერქომაიშვილი, 2016) თეორიიდან გამომდინარე საქართველოს არ შეუძლია კუი-ს განხორციელება, მხოლოდ იმიტომ, რომ არ გააჩნია მფლობელის უპირატესობა. (ანუ აქვს მხოლოდ ადგილმდებარეობის უპირატესობა). მაშინ, როდესაც საქართველოს აქვს ადგილმდებარეობის უპირატესობა, მფლობელის უპირატესობის ნაწილში მოიკოჭლებს, კერძოდ საქმე გვაქვს საკანონმდებლო სისტემის არასრულყოფილებასთან. აუცილებელია მოხდეს ბიუროკრატიული და ინსტიტუციონალური ბარიერების აღმოფხვრა, შეიქმნას მოქნილი საკანონმდებლო ბაზა და საგადასახადო სისტემა, შემოღებული იქნას შეღავათები, იმისათვის, რომ მოხდეს რეგიონის ქვეყნებში ტნკ-ების და შესაბამისად ინვესტიციების მოზიდვა.

საქართველოს ადგილმდებარეობის უპირატესობას ხაზს უსვამენ ქართველი მეცნიერებიც და გამოხატავენ მრავალი საერთაშორისო მილსადენებისა და გაზსადენების არსებობით. ქვეყნის უდიდესი სატრანზიტო პოტენციალი, ქვეყანას საშუალებას აძლევს, რუსეთის გვერდის ავლით, ევროპას იაფად და შეუფერხებლად მიაწოდონ კასპიისა და აზრიის ბუნებრივი რესურსები. (Aroshidze..., 2017)

ვინაიდან საქართველო ხასიათდება ეკონომიკის მოდერნიზაციისათვის აუცილებელი რესურსების მწვავე დეფიციტით, გარდა, ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობისა, ქართველი მეცნიერები საქართველოს სტაბილურ და მიმზიდველ საინვესტიციო გარემოსაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილავენ. სწორედ უცხოური ინვესტიციებით აღდგება მნიშვნელოვანი ეკონომიკური დარგები, რისთვისაც აუცილებელია საინვესტიციო გარემოს მაქსიმალურად გაუმჯობესება. (ცინარიძე..., 2017).

ის ფაქტი, რომ საქართველო სათანადოდ არ იყენებს მფლობელის უპირატესობას, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული ტნკ-ების შემოსვლასა და ქვეყანაში საქმიანობის განხორციელებასთან, იქედანაც, ჩანს, რომ საქართველოში ტნკ-ებთან შრომითი ურთიერთობების ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტს წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“. საქართველოში სხვა რეგულაციების არ არსებობამ, თუნდაც მინიმალური ხელფასის დაწესების შესახებ, განაპირობა რიგი კომპანიების უარი საქართველოში

ინვესტიციების განხორციელებაზე. იმისათვის, რომ კომპანიებს ჰქონოდათ სტაბილურობის განცდა სპორტული ტანისამოსის მწარმოებელმა კორპორაციებმა (ადიდასი, ნაიკი, ნიუ ბალანსი, პუმა და ა.შ.) საქართველოს მთავრობას 2015 წლის აგვისტოში მოთხოვეს სამკერვალო სექტორში მინიმალური ხელფასის გაზრდა, რათა საქართველოში მომუშავე მათ კონტრაქტორ ფირმებს აღარ მიეცათ ტექსტილის სფეროში დასაქმებული პირების ექსპლუატაციის შესაძლებლობა. (FLAP...)

ეკლექტიკური თეორიის პირველი უპირატესობით საქართველო მისი გეოგრაფიული უპირატესობებით, წარმოადგენს კავკასიისა და ცენტრალური აზიის ბუნებრივ ლოჯისტიკურ ჰაბს, თუმცა ამავე თეორიის მეორე უპირატესობით განვითარებული საკანონმდებლო სისტემა ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარებას. მფლობელის უპირატესობის უკან იგულისხმება საქართველოს შესაძლებლობები შეასრულოს სატრანზიტო ქვეყნის როლი, რაც შემდგომში მსოფლიო ეკონომიკასთან გაზრდის ინტეგრაციის დონეს. სატრანსპორტო კორიდორი გაფართოებასთან ერთად, მეტი უცხოური ინვესტიცია იქნება მოზიდული, ამიტომ საჭიროა ისეთი საგარეო პოლიტის შემუშავება, რომელთა საშუალებითაც აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით სხვადასხვა ბუნებრივი რესურსები, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ სამომხმარებლო, თუ წარმოებრივ დანიშნულების მზა პროდუქცია გაიგზავნება საქართველოს გავლით. ამის თვალსაჩინო მაგალითია „აბრეშუმის გზა“. (Elisseeff, 2000) თუმცა სატრანსპორტო სისტემის დაბალი კონკურენტუნარიანობა და საკანონმდებლო ჩარჩო საქართველოს არ აძლევს საშუალებას გამოიყენოს აღნიშნული პოტენციალი.

ამავე თეორიის მესამე უპირატესობის მისაღწევად საჭიროა სატრანსპორტო სისტემის განვითარება, რაც კონკურენტიათს გახდის საქართველოზე გამავალ სატრანსპორტო კორიდორს და ქვეყანას შესძენს ეფექტური სატრანსპორტო დერეფნის იმიჯს. (დობორჯგინიძე...)

თავი 3. ბიზნესის სოციალური გარემო და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები თანამედროვე ტრანსნაციონალური საინვესტიციო პროცესებში: პრობლემები, შესაძლებლობები, ტენდენციები

3.1 ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ეკონომიკურ განვითარებაში

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლამ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით მიმზიდველ რეგიონად ჩამოაყალიბა. დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ასევე სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის დამაკავშირებელი ფუნქცია გახდა რეგიონში ტრანსნაციონალური პროექტების განხორციელების საფუძველი. ვინაიდან რეგიონი ურთიერთობის ერთ-ერთი მთავარ მონაწილედ მოგვევლინა, შესაბამისად იგი გვერდს ვერ აუვლიდა გლობალიზაციის პროცესებსა და ტნკ-ების საქმიანობას. რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობამ კიდევ უფრო გაზარდა ტნკ-ების ინტერესი, ტნკ-ების საქმიანობამ კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა.

პუი-ს ნაკადის ანალიზის მიხედვით უცხოელი ექსპერტები პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ყოფენ სამ ძირითად ჯგუფად. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ქვეყნები, რომლებიც ახდენენ ენერგორესურსების ექსპორტს (აზერბაიჯანი, ყაზახეთი, რუსეთი, თურქმენეთი). ეს ქვეყნები პუი-ს დაბანდების კუთხით გამოირჩევიან პოსტსაბჭოთა სივრცის (ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოკლებით) სხვა სახელმწიფოებისაგან, რადგან ინვესტიციები ძირითადად მიმართული იყო სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსისადმი. ასეთი ინვესტიციების მოტივაცია სხვა არის, ვიდრე ეკონომიკის სხვა სექტორების კაპიტალდაბანდების მოტივაცია. მეორე ჯგუფში მოთავსებულია ისეთი ქვეყნები, რომლებსაც არ გააჩნიათ დიდი ენერგორესურსები (საქართველო სომხეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა ტაჯიკეთი, უკრაინა), მაგრამ აქტიურად ატარებენ საბაზრო რეფორმებს. მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ბელორუსია და უზბეკეთი, სადაც არასაკმარისად და ნელა მიმდინარეობს საბაზრო რეფორმები. სამხრეთ კავკასიის ქვეყნები - აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო პირველ ორ ჯგუფში არიან გაერთიანებული, სადაც ბოლო პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აქ თვალშისაცემია. (იხ. ცხრილი №10).

ცხრილი №10: პუი-ს ნაკადები საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში (2009-2019)

აზერბაიჯანი											
წელი	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
პუი-ს შემოსვლა	473	563	1567	2006	2632	4430	4048	4500	2867	1403	1500
სომხეთი											
წელი	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
პუი-ს შემოსვლა	778	570	525	489	346	404	178	338	250	254	255
საქართველო											
წელი	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
პუი-ს შემოსვლა	658	814	1048	866	1 021	1 818	1 653	1 566	1 894	1 232	1 300

წყარო: (UNCTAD... 2019 -2)

UNCTAD-ის 2019 წლის ყოველწლიურ მსოფლიო საინვესტიციო ანგარიშის მიხედვით 2018 წელს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემცირდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო რუსეთის, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ქვეყნებიდან ნაკადების შემცირებით. დსთ-ს ქვეყნებსა და საქართველოს შორის ნაკადებს ბრუნვამ 36%-ს მიაღწია, რაც ჯამში 27 მილიარდ დოლარს გულისხმობს. ნაკადების შემცირება მოხდა 12 დან 7 ქვეყანას შებო. (გამონაკლისია სომხეთი, ბელორუსია, მოლდოვა, ტაჯიკეთი და უზბეკეთი).

ამავე ანგარიშის მიხედვით 2018 წელს აზერბაიჯანში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ 1.4 მილიარდი ამერიკული დოლარი შეადგინა, რაც წინა 2017 წელთან შედარებით (2.86 მლრდ.დოლარი) მნიშვნელოვნად დაბალია. ეს ვარდნა შესაბამისობაშია სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში შემავალი პუი-ს მოცულობასთან. აზერბაიჯანში ნაკადების შემოდინება ძირითადად დაკავშირებულია ნავთობისა და გაზის ინდუსტრიასთან, თუმცა აზერბაიჯანის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ქვეყნის ეკონომიკის დივერსიფიკაცია და ცდილობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში.

მნიშვნელოვანი ცვლილება დაფიქსირდა 2018 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვის ნაწილშიც. (იხ. ცხრილი №11).

ცხრილი №11: აზერბაიჯანის სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებლები 1994-2018 წწ.

წლები	სავაჭრო ბრუნვა	იმპორტი	ექსპორტი	ბალანსი
2009	20 824,5	6 123,1	14 701,4	8 578,3
2010	27 960,8	6 600,6	21 360,2	14 759,6
2011	36 326,9	9 756,0	26 570,9	16 814,9
2012	33 560,9	9 652,9	23 908,0	14 255,1
2013	34 687,9	10 712,5	23 975,4	13 262,9
2014	31 016,3	9 187,7	21 828,6	12 640,9
2015	21 945,8	9 216,7	12 729,1	3 512,4
2016	21 946,7	8 489,1	13 457,6	4 968,5
2017	24 103,3	8 783,3	15 320,0	6 536,7
2018	30 923,6	11 465,0	19 458,6	7 993,6

წყარო: stat.gov.az...

2018 წელს აზერბაიჯანის პროდუქცია ყველაზე მეტი რაოდენობით გატანილი იქნა ევროპაში (70%), საიდანაც 30.22% იტალიაზე მოდის და 5879775 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, თურქეთში გატანილი ექსპორტის რაოდენობა 1 825 981 ათასი აშშ დოლარია (9.38%), ისრაელში 1 310 824 აშშ დოლარი (6.75%) და ა.შ

სტატისტიკური მაჩვენებლებით ჩანს, რომ აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობის მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც ნიშნავს, რომ იგი უფრო და უფრო აღრმავებს კავშირებს მსოფლიოს მეურნეობასთან. ეს ურთიერთობა კი ტრანსნაციონალური კორპორაციების შედეგად ჩამოყალიბდა.

ცხრილებში (№10 და №11) ნაჩვენებია ეკონომიკური მაჩვენებლები დამოკიდებულია ქვეყანაში ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობასთან, მით უმეტეს, რომ მათი ინტერესის სფერო ძირითადად ბუნებრივი რესურსებია. მაგალითად, 2014 წელს პუი-ს ნაკადების ზრდა, შეიძლება დაფუძვნიროთ სამხრეთ გაზის დერეფნის (ტრანს-ანატოლიური გაზსადენის (TANAP) მშენებლობას, 2016 წელს კი ტრანს-ადრიატიკური მილსადენის (TAP) მშენებლობას. შესაბამისად,

ნავთობის ინდუსტრიის წარმატება აზერბაიჯანში ტნკ-ების საქმიანობას შეიძლება დავუკავშიროთ, რომელიც თავისმხრივ განაპირობებს ქვეყანაში პუი-ს ნაკადების შემოდინებას. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, ისეთი ტრანსნაციონალური კორპორაციები როგორებიცაა: BP (საერთაშორისო) - ნავთობისა და გაზის მოპოვება-გადამუშავება, KBR international Azerbaijan (აშშ) - ნავთობისა და გაზის პროექტირება, Chevron Texaco (დიდი ბრიტანეთი)- ნავთობის ინდუსტრია, Conco Philips (დიდი ბრიტანეთი) - ნავთობის ინდუსტრია, ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავება, China national logging Corporation (ჩინეთი) - გეოფიზიკური სამუშაოები, Exxon-mobil (აშშ) - ნავთობის ინდუსტრია, ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავება, Itochu oil Explooration Azerbaijan inc (იაპონია) - ნავთობის ინდუსტრია, ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავება, Halliburton Eurazia (აშშ) - ნავთობის ინდუსტრია, ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავება, Karasu (აშშ) - ნავთობის ინდუსტრია, ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავება, Lukoil Azerbaijan (რუსეთი) - ნავთობის ინდუსტრია, ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავება, Mitsubishi corporation (იაპონია) - სანავთობო მოწყობილობები, კომერცია, Shell Exploration and production BV (ჰოლანდია და დიდი ბრიტანეთი) - ნავთობისა და გაზის მოპოვება, საბადოების და მარაგის დაზვერვა, Shumberger Lojelko Inc (საერთაშორისო) - ნავთობისა და გაზის მოპოვება, საბადოების და მარაგის დაზვერვა, Statiol Azerbaijan (ნორვეგია) - ნავთობის ინდუსტრია, ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავება, Totalfinaelf (საფრანგეთი) - ნავთობისა და გაზის მოპოვება, სადაზვერვო სამუშაოები, Unokal Khazar (აშშ) - ნავთობის ინდუსტრია, ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავება.

ქვეყნის საერთო ეროვნული პროდუქტის ნახევარზე მეტი იქმნება სამრეწველო წარმოებაში, რომლის 70% კონცენტრირებულია აპშერონში და შეადგენს ნავთობის და ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობას. ამ დარგის განვითარება უზრუნველყოფს სხვა დარგების, კერძოდ ქიმიური, ელექტროტექნიკური, მანქანათმშენებელი და სხვა დარგების განვითარებას. მსგავსი რესურსის არსებობა აზერბაიჯანში განაპირობებს, არამხოლოდ ტრანსნაციონალური კორპორაციების მოზიდვას, არამედ რეგიონში ქვეყნის პოლიტიკურ დომინირებას.

რაც შეეხება სომხეთს, ისიც ტრანსნაციონალური კორპორაციების მოზიდვის მიზნით ცდილობს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნას და ეს კანონმდებლობითაც განამტკიცა.

ცხრილი №12: სომხეთის საგარეო ბრუნვის მაჩვენებლები 2000-2019 წწ

წლები	საგარეო ვაჭრობის მოცულობა	ექსპორტი	იმპორტი
2009	4031.3	710.2	3321.1
2010	4790.0	1041.1	3748.9
2011	5479.6	1334.3	4145.3
2012	5641.4	1380.2	4261.2
2013	5864.6	1478.7	4385.9
2014	5971.7	1547.3	4424.4
2015	4724.6	1485.3	3239.2
2016	5065.22	1791.7	3273.5
2017	6334.8	2237.7	4097.1
2018	7387.9	2412.4	4975.5
2019	8154.1	2640.3	5513.8

წყარო: <https://www.armstat.am/>

სტატისტიკური მაჩვენებლებით ჩანს, რომ ქვეყანას უარყოფითი საგარეო ბალანსი აქვს, ექსპორტის უდიდესი ნაწილი კი რუსეთში, შვედეთსა და ბულგარეთში გადის. ინვესტიციების შემოდინებაც ძირითადად რუსული კომპანიების ხარჯზე ხორციელდება. რუსული ინვესტიციები მიმართულია ეკონომიკის ისეთ სექტორებში როგორცაა: მრეწველობა (ფერადი მეტალურგია, ქიმიური წარმოება, საკონდიტრო წარმოება), საბანკო სექტორი, ენერგეტიკა, გაზისა და ნავთობის მიმართულებით. ასევე აღსანიშნავია, რომ სომხეთში რეგისტრირებულ საწარმოთა დიდი ნაწილი რუსეთის მონაწილეობით არის შექმნილი. რუსეთის ასეთი დომინირება პოლიტიკური ინტერესებითაც შეიძლება იყოს გამოწვეული, მით უფრო რომ რუსული სახელმწიფო ტრანსნაციონალური კორპორაციების წილი სომხურ ეკონომიკაში აშკარად შესამჩნევია. მსგავსი მიდგომით სომხეთი რუსეთზე დამოკიდებული ხდება, რაც შემდგომ აისახება ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

სომხეთში მნიშვნელოვანი პოზიციები უკავიათ ისეთ რუსულ გიგანტურ სახელმწიფო კომპანიებს, როგორცაა „გაზპრომი“, „ინტერ რაო იესი“ და სხვა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხშირად რუსული კომპანიებს ეკუთვნის სომხური კომპანიების აქციათა უმეტესობა (ცემენტის მწარმოებელი კომპანიის „Мика Цемент“ 100%, ალუმინის ქარხნის კომპანია „Арменал“-ის 100%, სომხეთის რკინიგზის ЗАО Южно-Кавказкая -100 % წილი, სომხური ავიაკომპანიის „Армавиа“-ს 70%, სომხური ფიჭური კავშირგაბმულობის K-Telecom“- 80% და სხვა). ამდენად, სომხეთში ქვეყნის სტრატეგიულ დარგებს რუსეთის სახელმწიფოს ტრანსნაციონალური კორპორაციები აკონტროლებენ, რაც შეიძლება ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციაზეც ახდენდეს გავლენას.

უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს ასევე საქართველოსაც. (იხ. ცხრილი №13).

ცხრილი №13: საქართველოს სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებლები 2015-2019 წწ

წლები	საგარეო ვაჭრობის მოცულობა	ექსპორტი	იმპორტი
2009	5609	1134	4476
2010	6 913	1 677	2 186
2011	9 259	2 186	7 072
2012	10 433	2 377	8 056
2013	10 933	2 911	8 023
2014	11 463	2 861	8 602
2015	9 497	2 205	7 292
2016	9 400	2 113	7 287
2017	10 707	2 728	7 979
2018	12 741	3 379	9361
2019	13 315	3 798	9 516

წყარო. საქსტატი


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით 2019 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 12 834,7 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 2.7%-ით მეტია. აქედან საგარეო ექსპორტი 3 771.5 მლნ. აშშ დოლარი იყო (12.4% ით მეტი), ხოლო იმპორტი 9 063.2 მლნ.აშშ დოლარი (0.8%-ით ნაკლები).

საქსტატის ცნობით, 2019 წელს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 470 მილიონი დოლარით შემცირდა და 5 291 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.2 პროცენტია. 2018 წელს კი 46.1 % იყო.

რეგიონის ქვეყნების ეკონომიკის შედარების თვალსაზრისით ფართოდ გავრცელებული ინდიკატორია ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობის განსაზღვრა. აღნიშნული მაჩვენებელი განისაზღვრავს მთლიანი ეკონომიკის საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე განაწილებას. საერთაშორისო სავალუტოს ფონდის მიერ შემუშავებული მსყიდველობითი უნარის (PPP) –ის მიხედვით დათვლილი მშპ-ს მოცულობა საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე განაწილებულ რეალურ ეკონომიკას ასახავს.

მონაცემების მიხედვით საქართველოს მშპ-ს ზრდამ 2018 წელს 4.8% შეადგინა, სომხეთის 1.4 %, ხოლო აზერბაიჯანის 5.2 %. ბოლო წლებში საქართველო რეგიონში ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკის განაწილების კუთხით მხოლოდ სომხეთს უსწრებს. (იხ. დიაგრამა №18).

დიაგრამა №18 რეგიონის ქვეყნების მშპ-ს მაჩვენებლები 2009-2019 წლებში.




წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემები

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 2008 წლიდან 2018 წლამდე აზერბაიჯანის ეკონომიკა ხასიათდება მაჩვენებლების ცვლილებით. შექმნილი სიტუაცია შეიძლება დავაკავშიროთ ნავთობისა და გაზის ფასის არასტაბილურობასთან. რაც შეეხება სომხეთს, აქ პოლიტიკურმა მოვლენებმა (ხელისუფლების ცვლილება, საპროტესტო აქციები) იქონია გავლენა ზრდის მაჩვენებლებზე.

აუცილებელია განვიხილოთ რეგიონის ქვეყნები საერთაშორისო ორგანიზაციების ინდექსების მიხედვით. მაგალითად მსოფლიო ბანკი ათი სხვადასხვა ინდიკატორით: ბიზნესის დაწყება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, ელექტროენერგიაზე წვდომა, ქონების რეგისტრაცია, კრედიტის აღებაზე წვდომა, ინვესტორების დაცვა, გადასახადების გადახდა, ვაჭრობა საზღვრებს მიღმა, კონტრაქტების აღსრულება და გადახდის უნარობა აფასებს ბიზნეს საქმიანობას. მსოფლიო ბანკის ე.წ. „Doing Business“-ის მიხედვით 2019 წელს აზერბაიჯანს 34-ე ადგილი მიაკუთვნა, სომხეთს 47-ე, ხოლო საქართველოს მე-7 ადგილი. (იხ.დიაგრამა №19).

დიაგრამა №19: სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეიტინგი „Doing Business“ – ინდექსის მიხედვით



წყარო: (Trading...2019)

მოცემული დიაგრამით ჩანს, რომ საქართველო ბოლო 10 წლის მანძილზე ყოველთვის წინ უსწრებს სომხეთსა და აზერბაიჯანს, ხოლო სომხეთსა და აზერბაიჯანს მათ შორის კონკურენცია ნაწილობრივ თანაბარია. მიუხედავად იმისა,

რომ 2019 წელს პოზიცია ერთით დაუქვეითდა, იგი უპირობო ლიდერია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის. საქართველოს სარეიტინგო პოზიციები 2010-2019 წლებში 6-დან 24-მდე მერყეობდა, მაშინ როცა სომხეთს საუკეთესო პოზიცია მთელი ამ პერიოდის განმავლობაში 38-ე ადგილია. აზერბაიჯანმა კიდევ უფრო გააუარესა სარეიტინგო პოზიცია და 2019 წელს 25-დან 34 ადგილზე გადაინაცვლა.


2010-2019 წლების მდგომარეობის გაანალიზებამ შემდგომი ტენდენცია გვიჩვენა: საქართველოს ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა 2013 წელს, ხოლო ყველაზე უარესი 2014 წელს. 2014 წლიდან მდგომარეობა რეიტინგული პოზიციების თვალსაზრისით დადებითი ტენდენციის მატარებელია, თუმცა აღნიშნულ წლებში დინამიკა ცვალებადია სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის. სომხეთისათვის საუკეთესო სარეიტინგო ქულა 2016 წელს დაფიქსირდა (38-ე ადგილი), ხოლო აზერბაიჯანისათვის 2018 წელს (25-ე ადგილი). აზერბაიჯანის მდგომარეობა 2019 წელს 9 კომპონენტში გაუარესდა, თუმცა ინვესტიციების მოზიდვის მიზნით აზერბაიჯანმა შექმნა ონლაინ პორტალი, რომლითაც გაამარტივა ბიზნესის ლიცენზირებისა და ნებართვასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, რუსული კომპანია „გაზპრომბანკი“ ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს სოკარის ორი პოლიმერული ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს „აზერქიმიური“ საწარმოების მოდერნიზაციას. ევროკავშირმა პრიორიტეტი მიანიჭა „სამხრეთ გაზის დერეფნის მშენებლობას“, რომელიც გულისხმობს აზერბაიჯანული გაზის ტრანსპორტირებას საქართველოს, თურქეთისა და ევროპის გავლით.

ვინაიდან ბიზნესის კეთების ინდექსი ზომავს, თუ რამდენადაა რეგულირებული ბიზნესი ქვეყანაში, შესაძლებელია განისაზღვროს ქვეყანაში შექმნილი ბიზნეს გარემო რამდენად მიმზიდველია ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის. ამ შემთხვევაში მარტივი წრფივი რეგრესიის მოდელით განვსაზღვროთ ტრანსნაციონალიზაციასა და საერთაშორისო ინდექსს (Doing Business) შორის დამოკიდებულება.

ისევე როგორც საქართველოში, ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანში სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურები არ გასცემენ ინფორმაციას კომპანიების აქტივების, გაყიდვებისა და დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ, ამიტომ მათ შემთხვევაშიც


ტრანსნაციონალიზაციის ინდექსის მაჩვენებლები ჩანაცვლებული იქნება გლობალიზაციის (KOF) ინდექსის ეკონომიკური მაჩვენებლებით. (იხ. დიაგრამა №20).


დიაგრამა №20: გლობალიზაციის ინდექსი სომხეთსა და აზერბაიჯანში



მარტივი რეგრესიით ჯერ გამოვსახოთ დამოკიდებულება სომხეთში 1. ტრანსნაციონალიზაციის ინდექსსა და ერთ-ერთ საერთაშორისო ინდექსს შორის. ამ შემთხვევაში მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ ინდექსს შორის და 2. ტრანსნაციონალიზაციასა და ერთ-ერთ ეკონომიკურ მაჩვენებელს შორის, ამ შემთხვევაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს შორის (იხ. დიაგრამა №21).

დიაგრამა №21: სომხეთში დამოკიდებულება ტრანსნაციონალიზმსა და ცვლადებს შორის





მარტივი რეგრესიით მეთოდის გამოყენების დროს მონაცემები ეყრდნობა 2010-2017 წლის მონაცემებს, ვინაიდან ეკონომიკური გლობალიზაციის (KOF) რეიტინგის ბოლო მონაცემები 2017 წლის შემდეგ არ განახლებულა. სომხეთში ტრანსნაციონალიზმსა და ცვლადებს შორის (ბიზნესის კეთება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები) დამოკიდებულება ფორმულით შემდეგნაირად გამოიყურება:

$$\text{ტრანსნაციონალიზმი} = 67.393554 + (0.00769 * \text{ბიზნესი კეთება}) \quad (1)$$

$$\text{ტრანსნაციონალიზმი} = 65.01583 + (0.0704 * \text{პუი}) \quad (2)$$

$$1) \text{ განტოლებიდან: } a = MY - bMX = 67.75 - (0.01 * 46.38) = 67.393554 \quad (3)$$

$$b = SP / SSX = 3.75 / 487.88 = 0.00769 \quad (4)$$

$$(2) \text{ განტოლებიდან: } a = MY - bMX = 67.75 - (0.01 * 388.63) = 65.01583 \quad (5)$$



$$b = SP / SSX = 926.25 / 131653.88 = 0.00704 \quad (6)$$

განტოლებებში a და b რეგრესიის კოეფიციენტებია, SP - არის ცვლადების ჯამი, SSX-მაჩვენებლების კვადრატების ჯამი.

ტრანსნაციონალიზმის (დამოკიდებული) ცვლადის დაკვირვებული მნიშვნელობათა გადახრა რეგრესიის $y = bx * a$ წრფიდან პუი-ს შემთხვევაში 0.38704 და „ბიზნესის კეთების“ 0.24156 ტოლია. რეგრესიის მოდელში დისპერსია 38,7%-ით და 24,1%-ით ითვალისწინებს, ხოლო შესატყვისობის სიკარგე „ბიზნესის კეთების“ შემთხვევაში ზომიერია (0.11-0.3), პუი-ს ნაწილში კი საშუალო (0.31 - 0.5).

თითქმის მსგავსი შედეგი გვაქვს აზერბაიჯანში შემთხვევაშიც. (იხ. დიაგრამა №22)

დიაგრამა №22: აზერბაიჯანში დამოკიდებულება ტრანსნაციონალიზმსა და ცვლადებს შორის



მარტივი რეგრესია აზერბაიჯანის შემთხვევაში ფორმულით შემდეგნაირად გამოიყურება:

$$\text{ტრანსნაციონალიზმი} = 85.49536 + (-0.33901 * \text{ბიზნესი კეთება}) \quad (1)$$

$$\text{ტრანსნაციონალიზმი} = 65.01583 + (0.0704 * \text{პუი}) \quad (2)$$

$$1) \text{ განტოლებიდან: } a = MY - bMX = 63.38 - (-0.34 * 65.25) = 85.49536 \quad (3)$$

$$b = SP / SSX = 3-54.75/161.5 = -0.33901 \quad (4)$$

$$(2) \text{ განტოლებიდან: } a = MY - bMX = 67.75 - (0 * 2813.75) = 68.28562 \quad (5)$$

$$b = SP / SSX = -2770.5/14554023.5=-0.00019 \quad (6)$$

შესატყვისობის სიკარგე, რომელიც შემდეგი ნიშნულებით განისაზღვრება : <0.1-სუსტი; 0.11 - 0.3 -ზომიერი; 0.31 - 0.5 -საშუალო და >0.5 / ძლიერი, აზერბაიჯანის შემთხვევაში ტრანსნაციონალიზმსა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემთხვევაში საშუალოა 0.3450 მაჩვენებლით, ხოლო ტრანსნაციონალიზმსა და „ბიზნესის კეთების” ნაწილში სუსტი -0.3642 მაჩვენებლით.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს შემოდინება უფრო მეტად განაპირობებს ტრანსნაციონალიზმის სიდიდეს, ვიდრე საერთაშორისო რეიტინგებში მოწინავე პოზიციები. ამასთან ტრანსნაციონალიზმის მაღალმა დონემ შესაძლოა წარმოშვას კითხვები რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობების შესახებ და მიგვანიშნოს ძლიერ საერთაშორისო კონკურენციაზე იმ კომპანიებს შორის, რომლებიც მონაწილეობენ ადგილობრივ ბაზარზე. (იხ. ცხრილი №14)

ცხრილი №14 : ტრანსნაციონალიზაციასა და ცვლადებს შორის შესატყვისობის სიკარგე

ტრანსნაციონალიზაცია - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები				
	სუსტი	საშუალო	ზომიერი	ძლიერი
საქართველო				0.8
სომხეთი			0.38	
აზერბაიჯანი			0.34	
ტრანსნაციონალიზაცია - ბიზნესის კეთება				
	სუსტი	საშუალო	ზომიერი	ძლიერი
საქართველო		0.2		
სომხეთი		0.24		
აზერბაიჯანი	-0.36			
შესატყვისობის სიკარგე				
სუსტი	საშუალო	ზომიერი	ძლიერი	
<0.1	0.11-0.3	0.31-0.5	>0.5	

როგორც ცხრილიდან ჩანს ტრანსნაციონალიზაციასა და პუი-ს ნაკადებს შორის დამოკიდებულება საქართველოსა და სომხეთში ერთნაირია (ზომიერი), ხოლო აზერბაიჯანის შემთხვევაში დამოკიდებულება შედარებით უფრო ძლიერია. საქართველოსა და სომხეთში შესატყვისობის სიკარგე საშუალოა ტრანსნაციონალიზაციისა და ბიზნესის კეთების ინდექსში არსებულ პოზიციების თვალსაზრისით, თუმცა დამოკიდებულება ამ ორ ცვლადს შორის სუსტია აზერბაიჯანის შემთხვევაში. ამასთან ლიდერია საერთაშორისო რეიტინგებში, თუმცა პირდაპირი უცხოური ნაკადები აზერბაიჯანში გაცილებით მეტია.

ცხრილში არსებული მონაცემები მიუთითებს, რომ მიუხედავად საერთაშორისო რეიტინგებში მოწინავე პოზიციებისა, ტრანსნაციონალიზაციას ქვეყანაში შემოდინებული უცხოური ნაკადები უფრო მეტად განსაზღვრავს, რაც ტნკ-ების საქმიანობასთან არის დაკავშირებული.


მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიის ქვეყნები განვიხილოთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“-ის ჭრილშიც. გვი-ს განსაზღვრა ეფუძნება ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებსა და სტატისტიკურ მონაცემებს, როგორცაა მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო მონეტარული ფონდი და სხვა.

გვი-ის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, სადაც შესწავლილია 141 ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საქართველოს 74-ე ადგილს იკავებს და გასულ წელთან შედარებით 8 ადგილით ჩამოქვეითდა. ჯამური ქულა 0.3-ით შემცირდა. აზერბაიჯანს 58-ე , ხოლო სომხეთს 69-ე ადგილი ერგო.

გვი-ს ანგარიშის მიხედვით 2014-2015 წლებში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში შემდეგი ტენდენციები იკვეთება: გვი ძირითადი მოთხოვნების ჯგუფში ჯანდაცვა და პირველადი განათლება, ინფრასტრუქტურა და ინსტიტუტების დაწინაურებული პოზიცია აქვს საქართველოს, ხოლო მაკროეკონომიკური გარემოს თვალსაზრისით აზერბაიჯანს. ანგარიშის ფაქტორთა მეორე ჯგუფის - ეფექტიანობის გამაძლიერებელი მდგენელების მიხედვით ბაზრის მოცულობის, ტექნოლოგიური მზაობის და შრომითი ბაზრის ეფექტიანობის კუთხით აზერბაიჯანი მოწინავე

პოზიციაზეა. საქართველო ლიდერია რეგიონში საფინანსო ბაზრის განვითარებისა და სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობის თვალსაზრისით, ხოლო ტრენინგებისა და უმაღლესი განათლების ნაწილში სომხეთი ლიდერობს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ აზერბაიჯანში მოთხოვნების და ეფექტიანობის გამაძლიერებელი მაჩვენებელი არ იცვლება. ძირითადი მოთხოვნების ჯგუფში 2016-2017 წლებში საქართველომ ლიდერობა დაუთმო აზერბაიჯანს ინფრასტრუქტურის კომპონენტში, ხოლო სომხეთს სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობის კომპონენტში. ბოლო 2 წელია სომხეთი მოწინავე პოზიციაზეა ჯანდაცვისა და პირველადი განათლების კომპონენტში. საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ სამივე ქვეყანაში გკი-ს მიხედვით დადებითი ტენდენცია შეინიშნება. (იხ. დიაგრამა №23).

დიაგრამა №23 რეგიონის ქვეყნების რეიტინგი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით 2010-2019 წლებში.



წყარო: <https://tcdata360.worldbank.org>

ამდენად, საქართველოს კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია უპირატესად წარმოების ფაქტორებზე (საბაზისო ფაქტორებზე: ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება), ამასთან მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეკომენდაციით, გარდამავალი ეკონომიკის სტატუსის მქონე ქვეყნებმა, მათ შორის საქართველომაც, საწარმოს დონეზე უნდა


გაუმჯობესოს საწარმოო პროცესები ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, მარკეტინგული კვლევების გააქტიურებისა და გრძელვადიანი დაგეგმვის სრულყოფის გზით. (ზარათაშვილი..., 2012).

გკი-ს მიხედვით ბოლო 10 წლის განმავლობაში აზერბაიჯანი არ თმობს მოწინავე პოზიციას, მას მოჰყვება საქართველო და შემდეგ სომხეთი. აზერბაიჯანმა საუკეთესო პოზიცია 2017 წელს დააფიქსირა (37-ე ადგილი), 2019 წელს (69-ე ადგილი), ხოლო საქართველომ 2016 წელს (59-ე ადგილი).

ვინაიდან გკი-ს მონაცემების მიხედვით დადებითი ტენდენცია შეინიშნება ჯამურ სარეიტინგო ქულების გაუმჯობესების ნაწილში, ეს რეგიონისთვის დადებითი სიგნალია, როგორც ტნკ-ების რეგიონში ინტერესის ზრდისადმი, ასევე რეგიონის მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრაციის შესაძლებლობების თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სარეიტინგო სტატისტიკა „კორუფციის აღქმის ინდექსი“-ს მიხედვითაც. ბერლინის სამდივნოს მიერ გამოქვეყნებული კვლევა „კორუფციის აღქმის ინდექსი“ (CPI) , რომელიც მოიცავს 180 ქვეყანას, ხასიათდება ობიექტურობის მაღალი ხარისხით, ვინაიდან იგი ეყრდნობა საერთაშორისოდ აღიარებული ინსტიტუტების (ბერტელსმანის ფონდის ტრანსფორმაციის ინდექსი, მსოფლიო სამართლის პროექტის უზენაესობის ინდექსი, „გლობალ ინსაითის“ ქვეყნების რისკის რეიტინგი, „ფრიდომ ჰაუსის“ ტრანზიციული ქვეყნების კვლევა, პროექტი „დემოკრატიული ვარიაციები“ და სხვა) მიერ ჩატარებულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ კვლევებს. ინდექსი ქვეყანაში აფასებს კორუფციის საერთო მოცულობას (სიხშირე ან/და კორუფციული გარიგებების მოცულობას) როგორც პოლიტიკურ, ასევე საზოგადოებრივ სექტორში და ახდენს ქვეყნების რანგირებას კორუფციის აღქმის მიხედვით. რეიტინგში 100 ქულა კორუფციის აღქმის ყველაზე დაბალ, ხოლო 0 ქულა - ყველაზე მაღალ დონეს აღნიშნავს. (იხ. დიაგრამა №24).

დიაგრამა №24 რეგიონის ქვეყნების რეიტინგი კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით 2010-2019 წლებში.



წყარო: Transparency... 2019

მოცემული ინდექსის მიხედვით საქართველო 44-ე ადგილს იკავებს, რაც ნიშნავს რომ წინა 2018 წელთან შედარებით 2 ქულით გაიუარესა შედეგი. მიუხედავად იმისა, რომ ორქულიანი ცვლილება კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით სტატისტიკურად უმნიშვნელოდ მიიჩნევა, აღსანიშნავია ბოლო წლებში საქართველოს პროგრესის ნაკლებობა ქულის მხრივ.

2018 წელთან შედარებით 2019 წელს მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა შედეგი სომხეთმა და აზერბაიჯანმა, თუმცა რეგიონის ქვეყნებში მაინც გადაუჭრელი რჩება ის პრობლემები, რაც გასული წლის ანგარიშში იყო მითითებული, კერძოდ:

- ანგარიშვალდებულების ნაკლებობა სამართალდამცავ უწყებებში
- კორუფცია და პოლიტიკური ჩარევა სასამართლო საქმიანობაში
- სახელმწიფო ინსტიტუტების მიტაცება
- მთავრობის მიერ ორგანიზაციული თავდასხმები დამოუკიდებელ სამოქალაქო საზოგადოებაზე
- დამოუკიდებელი ანტიკორუფციული საგამომეხო უწყებების არარსებობა

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ რეგიონის ცალკეულ ქვეყნებში სახელმწიფოს მიტაცება და ძალაუფლების კონცენტრაცია კერძო სექტორების ხელში მნიშვნელოვან


დაბრკოლებად კვლავ რჩება, ამიტომ მნიშვნელოვანია რეგიონის ქვეყნებმა გაითვალისწინონ კორუფციის აღქმის ინდექსის” კვლევის რეკომენდაციები, კერძოდ:

- ხელისუფლების შტოებს შორის წონასწორობის უზრუნველყოფა
- ძირითადი სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და მათი გაძლიერება
- სამართალდამცავი ორგანოების დაცვა არაჯეროვანი პოლიტიკური ზეგავლენისგან
- თავისუფალი და კონკურენტული საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა
- კორუფციის (მათ შორის მაღალი დონის კორუფციის) შემთხვევებზე რეაგირების ქმედითი მექანიზმის-დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის ჯამური ქულა ამ რეიტინგის მიხედვითაც უმჯობესდება ბოლო 10 წლის მანძილზე (სომხეთმა 123-ე ადგილიდან 77-ე ადგილზე გადაინაცვლა, აზერბაიჯანმა 234-ე ადგილიდან 126-ე ადგილზე, ხოლო საქართველომ 68-ე ადგილიდან 44-ე ადგილზე) საქართველოსგან განსხვავებით, სომხეთი და აზერბაიჯანი მაინც რჩება „მეტად კორუმპირებული” ქვეყნების ჯგუფში. როგორც ცხრილიდან ჩანს საქართველოს საუკეთესო რეიტინგული პოზიცია 2018 წელს ჰქონდა (41-ე ადგილი), ხოლო სომხეთის საუკეთესო პოზიცია ბოლო ათი წლის განმავლობაში 2013-2014 წლებში დაფიქსირდა (94-ე ადგილი). სომხეთი ტენდენციას 2017 წლიდან აუმჯობესებს, აზერბაიჯანი კი არასტაბილურობით ხასიათდება. აზერბაიჯანს საუკეთესო პოზიცია ბოლო ათი წლის განმავლობაში 2015 წელს დაფიქსირდა (115-ე ადგილი).

თუ ამავე ინდექსის მიხედვით მიღებული ქულებით ვიმსჯელებთ, ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს მიერ მიღებული ქულები მერყეობდა 38-დან-58-მდე ფარგლებში (სომხეთში 26-42, აზერბაიჯანში 24-31), რითაც იგი „ნაკლებად კორუმპირებული” ქვეყნების კატეგორიაში იმყოფება. სომხეთს 2019 წლამდე 37 ქულაზე მეტი ბოლო ათი წლის განმავლობაში არ მიუღია, ხოლო აზერბაიჯანის საუკეთესო შედეგი 31 ქულაა. (იხ. დიაგრამა №25).

დიაგრამა №25: რეგიონის ქვეყნების რეიტინგი „კორუფციის აღქმის ინდექსის“ ქულები მიხედვით 2010-2019 წლებში.



წყარო: Transparency... 2019


ის ფაქტი, რომ მოწინავე პოზიცია საერთაშორისო რეიტინგებში არ განსაზღვრავს ქვეყანაში უცხოური ნაკადების შემოდინების აუცილებლობას შემდეგითაც დგინდება. მაგალითად წარმოვადგინოთ დამოკიდებულება Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“-სა და სავაჭრო ბრუნვას შორის 2010-2019 წლებში.

Heritage Foundation-ის მიხედვით ქვეყნები ჯგუფდებიან შემდეგ კატეგორიებად: თავისუფალი (80-100 ქულა), უმეტესად თავისუფალი (70-79.9 ქულა). ზომიერად თავისუფალი (60-69.9 ქულა), უმეტესად არათავისუფალი (50-59.9 ქულა), რეპრესირებული (40-49.9 ქულა) და არარანჟირებული.

2019 წლის კვლევის მიხედვით საქართველომ წინა წელთან შედარებით რეგიონში პოზიცია 1 ადგილით გაიუმჯობესა. მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის 75.9 ქულით მე-16 პოზიციაზეა და „უმეტესად თავისუფალი“ კატეგორიის ქვეყნების ჯგუფშია. საქართველოს საერთო ქულა აღემატება, როგორც რეგიონის (68.6 ქულა), ისე მსოფლიოს საშუალო ქულას (60.8 ქულა). რეიტინგი პოზიტიურად აფასებს საქართველოში რეგულაციების ეფექტიანობას, კერძოდ ანგარიშის თანახმად ქვეყნის

ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა ლიბერალური ბიზნეს გარემოა. (იხ. დიაგრამა №26).

დიაგრამა №26: სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეიტინგი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით 2010-2019 წწ



წყარო: (Heritage... 2019)

როგორც ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგი გვიჩვენებს ცალკეული რეგიონის ქვეყნების სარეიტინგო ქულა მსოფლიო საშუალო სარეიტინგო ქულაზე მაღალია, ლიდერობას კი საქართველო ამ რეიტინგშიც არ თმობს. ამდენად საქართველო „უმეტესად თავისუფალი“ ქვეყნების ჯგუფში 2012 წლიდან გვხვდება, ხოლო სომხეთ ამ კატეგორიაში მოხვედრა ბოლო ათი წლის განმავლობაში მხოლოდ 2017 წელს პირველად ერგო 70.3 ქულით. აქამდე საკვლევი რაც შეეხება აზერბაიჯანს, ის 2014 წლამდე „უმეტესად არათავისუფალი“ ქვეყნების კატეგორიაში გვხვდება და მისი სარეიტინგო ქულები ყოველთვის დაბალია ვიდრე სომხეთისა და საქართველოსი. გაცილებით უარესი მდგომარეობა აქვს აზერბაიჯანს, რომელიც მიუხედავად 2016 წელიდან 5.2 ქულით დაწინაურებისა მაინც რჩება „ზომიერად თავისუფალი“ ქვეყნების კატეგორიაში.

მიუხედავად უკვე გატარებული რეფორმებისა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვთ გასავლელი მაღალი ეკონომიკური სტანდარტების მისაღწევად. მსგავსი ინდიკატორების ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ

კავკასიის ქვეყნების ბიზნეს გარემოს შესწავლის საქმეში, ვინაიდან აღმოფხვრილი უნდა იქნას რიგი ნაკლოვანებები სათანადო გეგმების დასახვით.

მიუხედავად სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გეოგრაფიული უპირატესობებისა, ისტორიული წარსული მაინც ახდენს გავლენას რეგიონის ქვეყნების დამოკიდებულებაზე დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებაში. რეგიონის ქვეყნებიდან ყველაზე მეტად საქართველოს აქვს დასახული ევროპული ორიენტირები, აზერბაიჯანს ევროპასთან ერთად, რუსეთთანაც ცდილობს დაბალანსებული ეკონომიკის წარმართვას, ხოლო სომხეთს მკვეთრად გამოხატული პრორუსული ორიენტაცია აქვს სამხრეთ კავკასიის რეგიონი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, სატრანზიტო და ენერგეტიკულ გზაჯვარედინს წარმოადგენს, რაც ზრდის მის მიმართ ინტერესს და გარე ძალების მხრიდან ზემოქმედების სურვილს. ისტორიული წარსული დიდ ზეგავლენას ახდენს სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების დამოკიდებულებაზე დანარჩენ ქვეყნებთან, რაც დიდ როლს თამაშობს საგარეო ურთიერთობების ფორმირებაზე. რეგიონში საქართველოს აქვს ყველაზე მკაფიოდ გაცხადებული ევროპული ორიენტირები, დაბალანსებული პოლიტიკის წარმოებას ცდილობს აზერბაიჯანი რუსეთთან და ევროპასთან, ხოლო სომხეთს ძირითადად მკაფიოდ პრორუსული ორიენტაცია აქვს. ლოგიკურად, სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე არსებულ-აფხაზეთის, მთიანი ყარაბაღის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტს, ხელი უნდა შეეშალა ევროპისათვის ეფიქრა მილსადენის მშენებლობაზე. თუმცა, ინტერესი იმისა, რომ რუსეთის გვერდის ავლით მოეძიებინათ ალტერნატიული რესურსები უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა მისთვის.

ბოლო პერიოდში შავი ზღვის კასპიის რეგიონების მიმართ ევროკავშირის და ასევე აშშ-ს ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა. ასეთმა ინტერესებმა პერსპექტივაში შესაძლოა დიდი სიკეთე მოუტანოს რეგიონს. რეგიონის ქვეყნებს შორის ინტეგრაციის ხარისხის გაზრდა, ცხადია არ შედის რუსეთის დღევანდელი პოლიტიკის ინტერესებში. სამხრეთ კავკასიის რეგიონი ყოველთვის იყო დიდი სახელმწიფოების ინტერესის ობიექტი და დღესაც არ კარგავს აქტუალობას. რეგიონის გეოგრაფიული განლაგება ბუნებრივად განსაზღვრავს იმას, რომ სამხრეთ კავკასია მოხერხებული სატრანსპორტო მაგისტრალია. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა

საშუალებას მისცემს ევროპასა და რეგიონის სამ ქვეყანას (თურქეთი-საქართველოს-აზერბაიჯანს) დაუკავშირდნენ ერთმანეთს. ბოლო წლებში რეგიონში სატრანსპორტო სისტემები უკეთესმა გამართვამ ხელი შეუწყო რეგიონის ინტეგრაციის პროცესებსა და ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებას როგორც აზიასთან ისე ევროპასთან. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონს აქვს დიდი ბიზნეს პოტენციალი, რომელიც ჯერ კიდევ არასათანადოდა ათვისებული.

ვინაიდან ტრანსნაციონალიზაციის პროცესებში საფუძველს მოკლებული არ იქნება იმ პერსპექტივის ჩვენება, რომელიც გამომდინარეობს რეგიონის ამა თუ იმ ადგილობრივი კომპანიის რეგიონული ოპერაციების მაღალი მაჩვენებლებიდან, აზერბაიჯანს მეტი შანსი აქვს იყოს დომინანტი რეგიონში. (იხ. ცხრილი №15)

ცხრილი №15 : აზერბაიჯანში საერთაშორისო ინდექსებსა და ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის დამოკიდებულება

წლები	საერთაშორისო ინდექსები				ეკონომიკური მაჩვენებლები	
	ბკი	გკი	ეთი	კაი	პუი	სავ. ბრუნვა
2010	-	-	+	=	-	+
2011	+	+	+	-	+	+
2012	-	+	-	-	+	-
2013	+	+	+	-	+	+
2014	+	+	+	-	+	-
2015	+	-	-	-	-	-
2016	-	+	-	-	+	+
2017	+	-	+	-	-	+
2018	+	-	+	+	-	+
2019	-	+	+	-	+	+

აზერბაიჯანში ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი მთავარი მოტივი ყოველთვის იყო და არის ბუნებრივი რესურსები (Hubner., 2011), ამას ცხრილი №15-იც მოწმობს, რომლის მიხედვითაც აზერბაიჯანში ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის ტენდენცია მაინც შეინიშნება, მიუხედავად საერთაშორისო ინდექსებში გაუარესებული რეიტინგისა. მაგალითად, 2016 წელს აზერბაიჯანს 3 საერთაშორისო რეიტინგში აქვს გაუარესებული მდგომარეობა, მაგრამ ინვესტიციების რაოდენობა ქვეყანაში მაინც გაიზარდა, რაც ტრანს-ანატოლიური (TANAP) და ტრანს-ადრიატიკული (TAP) მილსადენების მშენებლობას შეიძლება დავუკავშიროთ.

ვინაიდან ცალკეულად საერთაშორისო ინდექსებისა და ეკონომიკურ მაჩვენებლების შედარებისას სახრეთ კავკასიის რეგიონში ლიდერი ქვეყნები ერთმანეთს არ ემთხვევა, ამიტომ ბიზნეს და სოციალური გარემოს შეფასებისთვის გამოვიყენებთ მრავალკრიტერიუმიანი ანალიზი მეთოდებს: ანალიტიკური იერარქიის პროცესის AHP მეთოდს და შემდგომ პროპორციულობის ყოველმხრივი შეფასების (COPRAS) მეთოდს.

კვლევა მოიცავს 10 წლის მონაცემებს, სადაც მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის (MCDM) მეთოდები გამოყენებულია, როგორც სოციალური და ეკონომიკური პრობლემების განხილვის საუკეთესო საშუალებად და კრიტერიუმები შერჩეულია დაინტერესებული მხარისათვის თავდაპირველად განისაზღვრა ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმები ინვესტორების მხრიდან, რათა მათ სწორად შეარჩიონ პარტნიორი ქვეყანა სხვადასხვა პრიორიტეტების გათვალისწინებით.

ამ შემთხვევაში მრავალკრიტერიუმიანი MCDM მეთოდები გამოყენებული იქნება შემდეგი ლოგიკით:

AHP მეთოდი გამოყენებულია ბიზნესისა და სოციალური გარემოს შეფასების თითოეული კრიტერიუმისათვის წონის დასადგენად.

შემდგომ ეტაპზე კი გამოყენებული იქნება COPRAS მეთოდი, რათა შეფასებულიყო ქვეყნების სოციალური და ბიზნეს გარემო.

მრავალკრიტერიუმიანი ანალიზის დროს ალტერნატივები ფასდება სხვადასხვა კრიტერიუმით და ხდება ვარიანტების შედარება, ანალიზის დროს თითოეულ კრიტერიუმს მიენიჭება წონა და როგორც წესი, წარმოდგენილია მატრიცის სახით.

ვინაიდან მრავალკრიტერიუმანი ანალიზი გარკვეულწილად სუბიექტურია, განსაკუთრებით, წონების მინიჭების ეტაპზე და ხშირად ასახავს ანალიტიკოსის პირად დამოკიდებულებას, ამიტომ თავდაპირველად გამოვიყენებთ AHP მეთოდის (Saalty, 2008) სოციალური გარემოს ცალკეული დარგები შეფასებისას და მოვარგებთ სამხრეთ კავკასიის ცალკეულ ქვეყანას. კერძოდ AHP მეთოდის მიხედვით სოციალურ, ფინანსურ, გარემოსდაცვით და მმართველობით დარგებს (Global 2004) მინიჭებული აქვთ ქულები (0,135; 0,534; 0,104; 0,227). ჩვენს შემთხვევაშიც ცალკეული ქვეყნის კრიტერიუმებიც დავყავით ოთხ ნაწილად და მივუთითეთ წონა AHP მეთოდის მიხედვით.

ჩვენს შემთხვევაში სულ ჩამოყალიბდა 12 კრიტერიუმი. (იხ. ცხრილი №16)

ცხრილი №16: ბიზნეს და სოციალური გარემოს შეფასებისთვის გამოყენებული კრიტერიუმები

X_1 : მშპ წლიური ზრდა (საშუალო) 2009-2019
X_2 : მშპ ერთ სულ მოსახლეზე, 2019 წელი
X_3 : პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (საშუალო) 2009-2019
X_4 : პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2019
X_5 : სავაჭრო ბრუნვა (საშუალო) 2009-2019
X_6 : სავაჭრო წლიური ბრუნვა 2019
X_7 : ბიზნესის კეთების სიმარტივე (საშუალო) 2009-2019
X_8 : ბიზნეს კეთების რეიტინგი 2019
X_9 : ადამიანის განვითარების ინდექსი (საშუალო ზრდა) 2010-2018
X_{10} : ადამიანის განვითარების ინდექსი 2018
X_{11} : სოციალური პროგრესის ინდექსი (საშუალო) 2014-2017
X_{12} სოციალური პროგრესის ინდექსი 2017

წყარო: ავტორის მიერ შემუშავებული

კრიტერიუმები დაყოფილია ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი მოიცავს საშუალო მაჩვენებელს 2009-2019 წლებში და მეორე ჯგუფი ასახავს უახლეს მონაცემს. წონის მინიჭებისას კი გამოყენებულია AHP მეთოდის მიხედვით არსებული მონაცემები.

შემდეგ ეტაპზე ვიყენებთ მრავალკრიტერიუმანი გადაწყვეტილების ანალიზის მეთოდს - პროპორციულობის ყოველმხრივი შეფასების (COPRAS) მეთოდს, რომელიც გულისხმობს პირდაპირი და პროპორციული დამოკიდებულების მნიშვნელობის

განსაზღვრას და არსებული ალტერნატივებიდან სასარგებლო ხარისხის დადგენას ურთიერთსაწინააღმდეგო კრიტერიუმების არსებობის პირობებში. (Kaklauskas., 2007) მეთოდი ითვალისწინებს ალტერნატივების შესრულებას სხვადასხვა კრიტერიუმებისა და აგრეთვე შესაბამისი კრიტერიუმების წონის მიხედვით. ეს მეთოდი ირჩევს საუკეთესო გადაწყვეტილებას როგორც იდეალურს და ასევე გამოყოფს ყველაზე ცუდ გადაწყვეტილებებს. მეთოდი ასევე გამოყოფს ხუთ ეტაპს, რათა მოახდინოს ალტერნატივების შეფასება მათი სარგებლიანობის ხარისხის მიხედვით. (Kaklauskas., 1994).

პირველი ეტაპი: გადაწყვეტილების მატრიცის განსაზღვრა. X (იხ. ცხრილი N2)

$$D=[X_{ij}]_{m \times n} = \begin{bmatrix} X_{11} & X_{12} & X_{13} & \dots & X_{1n} \\ X_{21} & X_{22} & X_{23} & \dots & X_{2n} \\ X_{m1} & X_{m1} & X_{m1} & \dots & X_{mn} \end{bmatrix} \quad (i=1,2, \dots, m; j=1, 2, \dots, n) \quad (1)$$

ცხრილი №17: კრიტერიუმების მაჩვენებლები

ქვეყანა კრიტერიუმები	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯან ო	წონა (AHP)
X_1	4,87	4,53	1,6	0,534
X_2	5,1	7,6	2,2	0,534
X_3	1157	360,9	2551,6	0,534
X_4	1300	255	1500	0,534
X_5	10466,1	5941,2	28329,67	0,534
X_6	12834	8154,1	30923,6	0,534
X_7	170	144,1	131,9	0,227
X_8	7	47	39	0,227
X_9	0,91	0,52	0,36	0,104
X_{10}	0,786	0,760	0,754	0,104
X_{11}	106	88	102	0,135
X_{12}	53	59	76	0,135

წყარო: ავტორის მიერ შემუშავებული

მეორე ეტაპი: გულისხმობს ნორმალიზებული და შეწონილი ნორმალიზებული გადაწყვეტილების მატრიცების განსაზღვრას. D

$$\bar{X}_{ij} = \frac{x_{ij}}{\sum_{i=0}^m x_{ij}} \quad (2)$$

$$D = |Y_{ij}|_{m \times n} = r_{ij} \times XW_j \quad (3)$$

სადაც X_{ij} არის i- ის ალტერნატივის შესრულება j- ის კრიტერიუმების მიმართ, ხოლო \bar{X}_{ij} მისი ნორმალიზებული მნიშვნელობა და m ალტერნატივების რაოდენობა.

r_{ij} არის i- ის ნორმალიზებული შესრულების მნიშვნელობა ალტერნატივა j- ის კრიტერიუმების გათვალისწინებით, ხოლო w_j არის j - ის კრიტერიუმის წონა. ამასთან, თითოეული კრიტერიუმის შეწონილი ნორმალიზებული მნიშვნელობების ჯამი ყოველთვის ტოლია ამ კრიტერიუმის წონის.

გამოთვლა:

$$X_{11} = 1 * 4,87 / (4,87 + 4,53 + 1,6) = 1 * 4,87 / 11 = 0,442727 \quad (2)$$

$$X_{11} = 0,534 * 0,442727 \quad (3)$$

ცხრილი №18: ნორმალიზებული გადაწყვეტილებათა მატრიცა

	X_1	X_2	X_3	X_4	X_5	X_6	X_7	X_8	X_9	X_{10}	X_{11}	X_{12}
საქართველო	0,442727	0,342282	0,652382	0,425532	0,233947	0,247228	0,487246	0,036823	0,50838	0,341739	0,358108	0,267677
სომხეთი	0,738989	0,77551	0,585401	0,145299	0,17336	0,208664	0,262717	0,787002	0,590909	0,501982	0,463158	0,475862
აზერბაიჯანი	0,749766	0,804682	0,997915	0,999644	0,999981	0,999983	0,998282	0,994213	0,775862	0,878788	0,998678	0,998227

ცხრილი №19: შეწონილი ნორმალიზებული გადაწყვეტილებათა მატრიცა

	X_1	X_2	X_3	X_4	X_5	X_6	X_7	X_8	X_9	X_{10}	X_{11}	X_{12}
საქართველო	0,236416	0,182779	0,348372	0,227234	0,124928	0,132019	0,110605	0,008359	0,052872	0,035541	0,048345	0,036136
სომხეთი	0,39462	0,414122	0,312604	0,07759	0,092574	0,111426	0,059637	0,178649	0,061455	0,052206	0,062526	0,064241
აზერბაიჯანი	0,400375	0,4297	0,532887	0,53381	0,53399	0,533991	0,22661	0,225686	0,08069	0,091394	0,134822	0,134761

მესამე ეტაპი: ამ ეტაპზე შეწონილი ნორმალიზებული მნიშვნელობების ჯამები გამოითვლება როგორც სასარგებლო, ისე არა სასარგებლო კრიტერიუმებით, შემდეგი განტოლებების გამოყენებით.

$$S_{+j} = \sum_{i=1}^n y + ij \quad (4)$$

$$S_{-j} = \sum_{i=1}^n y - ij \quad (5)$$

სადაც $y + ij$ და $y - ij$ შეწონილი ნორმალიზებული მნიშვნელობებია სასარგებლო და არასასურველი კრიტერიუმებისათვის.

$$S_{+j} = 0,236416 + 0,182779 + 0,348372 + 0,227234 + 0,124928 + 0,132019 = 1,251748 \quad (4)$$

$$S_{-j} = 0,110605 + 0,008359 + 0,052872 + 0,035541 + 0,048345 + 0,036136 = 0,291857 \quad (5)$$

ცხრილი №20: ღირებულებების მინიმუმ და მაქსიმუმ მაჩვენებლები

	S_{+j}	S_{-j}
საქართველო	1,251748	0,291857
სომხეთი	1,402937	0,478714
აზერბაიჯანი	2,964752	0,893962

მეოთხე ეტაპი: შემდეგ პოზიტიური და ნეგატიური ალტერნატივების განსაზღვრისათვის უნდა გამოვიყენოთ ფორმულა:

$$Q_j = S_{+j} + \frac{S_{-min} \cdot \sum_{j=1}^n S_{-j}}{S_{-j} \cdot \sum_{j=1}^n S_{-min}}, \quad j=1, 2, \dots, n \quad (6)$$

$$S_{-min} = 0,291857$$

საიდანაც,

$$\sum_{j=1}^n \frac{S_{-min}}{S_{-j}} = \frac{0,291857}{0,291857} = \frac{0,291857}{0,478714} = \frac{0,291857}{0,893962}$$

	$\sum_{j=1}^n \frac{S_{-min}}{S_{-j}}$
საქართველო	1
სომხეთი	0,609668
აზერბაიჯანი	0,326476

ბოლო:

$$Q_1 = 1,251748 + \frac{0,291857 \cdot (1,251748 + 1,402937 + 2,964752)}{0,291857 \cdot (1 + 0,609668 + 0,326476)} = 2,111464$$

	Q_i
საქართველო	2,111464
სომხეთი	1,402937
აზერბაიჯანი	2,964752

მეხუთე ეტაპი: თითოეული ალტერნატივისთვის ფარდობითი წონის განსაზღვრა

$$U_j = \frac{Q_i}{Q_{max}} \times 100\% \quad (7)$$

სადაც Q_{max} არის მაქსიმალური ფარდობითი მნიშვნელობა. რაც უფრო მაღალია მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია მისი ხარისხი.

$$U_1 = \frac{2,111464}{2,964752} \times 100\% = 0,7122 \times 100\% = 71.2\%$$

	U_i
საქართველო	71,21891
სომხეთი	47,32055
აზერბაიჯანი	100

ე.ი $Q_{max} = Q_3 = 100\%$

ცხრილი №21: მრავალკრიტერიუმის ანალიზის მეთოდის შედეგი

ქვეყნები (a_j)	წარმატება (Q_j)	ადგილი (P_j)	სარგებლიანობის ხარისხი (U_j) %
საქართველო	2,111464	2	71,21%
სომხეთი	1,402937	3	42,32%
აზერბაიჯანი	2,964752	1	100%

თუ სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური მაჩვენებლებით ლიდრობდა აზერბაიჯანი, ხოლო საერთშორისო რეიტინგში მოწინავე პოზიციით - საქართველო, მრავალკრიტერიუმის ანალიზის მეთოდებმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბიზნეს და სოციალური გარემოს შეფასების დროს, სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით აზერბაიჯანი წარმოაჩინა რეგიონში ყველაზე წარმატებულ ქვეყნად.

მრავალკრიტერიუმის ანალიზის მეთოდმა გამოყო დაინტერესებული მხარისათვის ცალკეულ ქვეყანაში მისთვის სასარგებლო და არასასარგებლო კრიტერიუმები და ასევე განისაზღვრა ის პოზიტიური და ნეგატიური ალტერნატივების ჩამონათვალი, რომელიც თითოეულმა ქვეყანამ უნდა გაიუმჯობესოს.

ამდენად რეგიონში წარმატების მისაღწევად და შემდგომ უკვე მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირებისათვის ქვეყნები კონკურენტულ ბრძოლაში ავტომატურად ჩაერთნენ. რასაც კარგად შემუშავებული სტრატეგია და საინვესტიციო პოლიტიკა სჭირდება. მათთვის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის ზრდის მთავარი ფაქტორი უნდა იყოს არამარტო ექსპორტის მხარდამჭერი სტრატეგიების შემუშავება და ამით საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ზრდა, არამედ ტნკ-ების რეგიონით დაინტერესება და მათ მიერ ინვესტიციების განხორციელება. შესაბამისად რეგიონმა აუცილებლად უნდა გამოიყენოს გეოგრაფიული უპირატესობა, მოიზიდოს ინვესტორები და ხელი შეუწყოს ახალ წამოწყებებს, რომლის მიზანი მსოფლიო ბაზრის მომხმარებლებზე ორიენტირებული საქონლისა და მომსახურების შექმნა

იქნება. ამავე დროს, რეგიონის ქვეყნებმა აქცენტი უნდა გააკეთონ ისეთ საინვესტიციო პოლიტიკის გატარებაზე, რომელშიც კარგად იქნება გათვალისწინებული ეკონომიკის დარგთა პრიორიტეტული განვითარების მიმართულებები. ასევე მნიშვნელოვანია მოხდეს სამივე ქვეყნის საინვესტიციო ინტერესების თანხვედრა პრიორიტეტულ სფეროებში. (მანველიძე..., 2021).

3.2 ტრანსნაციონალური კომპანიების სოციალური პოლიტიკა და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა რეგიონის ქვეყნებში

დღევანდელ მსოფლიოში კომპანიები სულ უფრო და უფრო დიდ გავლენას ახდენენ ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ პროცესებზე, ამასთან საზოგადოებას აინტერესებს არამხოლოდ კომპანიის საქმიანობის საბოლოო შედეგები, არამედ ისიც თუ როგორ ახორციელებს კომპანია თავის საქმიანობას.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ახალი და მზარდი ტენდენციაა დღევანდელ მსოფლიოში, თუმცა იგი სიახლეა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ნელ-ნელა ადგილს იმკვიდრებს საზოგადოების სხვადასხვა სექტორის ცნობიერებასა და ბიზნეს პრაქტიკაში, რეგიონის ქვეყნებში განხორციელებული სოციალური საქმიანობები ხშირად უსისტემოა და სპონტანურ ხასიათს ატარებენ.

ნაშრომის ფარგლებში განვახორციელეთ რაოდენობრივი კვლევა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, რომლის მიზანი მის შესახებ საზოგადოების დამოკიდებულების და საკითხის შესახებ არსებული ცოდნის შესწავლა წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. კითხვარი შედგა სამ ეგზემპლარად - ერთი ქართული და ორი ინგლისურ ენაზე, ვინაიდან კვლევა ჩატარდა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ცალ-ცალკე.

კითხვარი შედგებოდა როგორც დახურული, ასევე ღია კითხვებისაგან. ინფორმირებულობის ხარისხის მეტი სიზუსტით დასადგენად და შემდგომ შედეგების რეგიონის მასშტაბით განზოგადების მიზნით, კვლევაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ და მხოლოდ კერძო სექტორში დასაქმებულმა კატეგორიამ,

რომლებიც კომპანიაში საშუალო რგოლს წარმოადგენდნენ. საილუსტრაციო მასალა მოცემულია დანართის სახით. (დანართი N1).

იმისათვის, რომ გაგვეზომა საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების დონე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ობიექტური შედეგების მიღების მიზნით კვლევაში გამოყენებული იყო ორი ტექნიკა სპონტანური პასუხი და ცოდნა დახმარებით. სოციალური პასუხისმგებლობის ყველა არსებული განმარტება მეტ-ნაკლებად ეფუძნება იმ ფაქტის აღიარებას, რომ დღესდღეობით მსოფლიოში, იმისათვის, რომ წარმატებული ბიზნესი გქონდეს არ არის საკმარისი თანამშრომლებისათვის დროულად ხელფასის გადახდა, გადასახადების გადახდა. საზოგადოება მეტს ელოდება, საკუთარი თავის გარდა საზოგადოება კომპანიას სხვა სოციალური და გარემოსდაცვით ფასეულობებზეც ამახვილებს ყურადღებას.

სულ გამოკითხული იქნა 300 ადამიანი, აქედან 100 საქართველოს მოქალაქე, 100 აზერბაიჯანის და 100 სომხეთის. კითხვაზე თუ რა არის

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, რესპონდენტთა პასუხი არაერთგვაროვანი აღმოჩნდა. თუმცა რეგიონში გამოკითხულთა ნახევარს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა. (საქართველოში 47%, აზერბაიჯანში 48% და სომხეთში 45%).

საქართველოში რესპონდენტთა ერთი ნაწილისათვის „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“ კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებასთან, გადასახადების გადახდასთან, გამჭვირვალე ბიზნესთან ასოცირდება, სომხეთში სახელმწიფოს წინაშე დაკისრებული გარკვეული ვალდებულებების შესრულებასთან, ხოლო აზერბაიჯანში ყველა ერთად. საქართველოს რესპონდენტთა მეორე ნაწილისათვის კი „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“-ს ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია: პასუხისმგებლობა თანამშრომელთა მიმართ, (სადაც გულისხმობენ თანამშრომლების სადაზღვევო პოლისებით უზრუნველყოფას, მოგების ნაწილის სოციალურ სფეროებზე გამოყენებას - მოყვანილია თიბისი ბანკის ერთ-ერთი ფონდის მაგალითი სოციალურ დახმარებებთან დაკავშირებით). სომხეთის რესპონდენტთა მეორე ნაწილი

შემადგენელ კომპონენტად მოიაზრებს საქველმოქმედო საქმიანობას და გამჭვირვალე ბიზნეს საქმიანობას. აზერბაიჯანის რესპონდენტთა მეორე ნაწილი სპონტანურ პასუხში ძირითადად საქველმოქმედო და გარემოსდაცვით საქმიანობად განიხილავს სოციალურ პასუხისმგებლობას.


„სხვაში“ დასახელებული პასუხებია: „ბიზნესის განვითარება“, „სოციალური ფონდების შექმნა“, „მომხმარებლისათვის ხარისხიანი პროდუქციის მიწოდება“, „კომპანიის მოგების მაქსიმიზაცია“, „ვალუტის კურსის გამყარებაზე ზრუნვა“, „ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა“, „ეკლესიის დახმარება“.

„კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“ გაზრება, როგორც აღინიშნა, შესწავლილი იყო განსხვავებული ტექნიკითაც - დახმარებით. მეორე კითხვაში მათ შეეძლოთ დაეფიქსირებინათ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის რამდენიმე შემადგენელი კომპონენტი. შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტების უმრავლესობა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კომპონენტებად თანაბრად მოიაზრებენ, როგორც კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნების შესრულებას (ლეგალური ბიზნესის წარმოება, გადასახადების გადახდა და შრომის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დაცვა), ასევე კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების მიღმა განხორციელებულ საზოგადოებისათვის სასიკეთო საქმიანობებს და პროგრამებს. (სოციალური პროგრამები/პროექტების განხორციელება, შიდაკორპორაციული პასუხისმგებლობა, გარემოსდაცვითი პროგრამების განხორციელება, საქველმოქმედო საქმიანობა).

საქართველოში გამოკითხულთა თითქმის ნახევარს (46%), (სომხეთში -48%-ს და აზერბაიჯანში 48%-ს) გაუჭირდა სპონტანურად ესაუბრა კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაზე. თუმცა დახმარების შედეგად რესპონდენტების უმეტესობამ (64%) საქართველოში სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელ ნაწილად „სოციალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელება“ მიიჩნია. (იხ. დიაგრამა №27).

დიაგრამა №27: კითხვაზე პასუხი გრაფიკულად (თქვენი დაკვირვებით, რომელია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელი კომპონენტები)

თქვენი დაკვირვებით, რომელია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელი კომპონენტები (შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე პასუხი).
50% ответов



სომხეთშიც რესპონდენტთა 52% იგივე კომპონენტს მოიაზრებს კსპ-ის კომპონენტად, ხოლო აზერბაიჯანში 45%. შემადგენელი კომპონენტების ნაწილში რესპონდენტების უმრავლესობა (საქართველოში 43%, სომხეთში 48% და აზერბაიჯანში 52%) პრიორიტეტი „გარემოსდაცვითი კუთხით პროგრამების/პროექტების განხორციელება“-ს. თუ სომხეთსა (50%) და აზერბაიჯანში (48%) რესპონდენტების ნახევარი კსპ-ის კომპონენტად განიხილავს „საქველმოქმედო საქმიანობა“-ს საქართველოს რესპონდენტების (32%) ეთანხმება იგივე მოსაზრებას.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცოდნის განსაზღვრის გარდა კვლევა კონცენტრირდა რესპონდენტების მოსაზრებების შესწავლაზე, კომპანიების მდგრადი განვითარების სამი ძირითადი მიზნის (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი) კონტექსტში.

საქართველოში გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (94%) (სომხეთში 83,3%, აზერბაიჯანში 94%) თვლის, რომ ბიზნეს კომპანიებმა თავიანთი უშუალო საქმიანობის გარდა უნდა მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების ცხოვრების დონის გაუმჯობესებასა და გარემოსდაცვაში.

მცირეა იმ რესპონდენტთა წილი (საქართველოში - 4%, სომხეთში 6,7% და აზერბაიჯანში 6%), ვისაც რადიკალურად ნეგატიური შეფასებები გააჩნია. საქართველოსა და სომხეთში, ასევე მცირეა პასუხი „არ ვიცი“. აზერბაიჯანში კი საერთოდ არ არის. (იხ. დიაგრამა №27).

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის და ცნობიერების დონის განსაზღვრის მიზნით, რესპონდენტებს ასევე დაევალებათ განესხვავებინათ ერთმანეთისგან ქველმოქმედება და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა. შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში გამოკითხულთა უმცირესობის (12%) აზრით, ქველმოქმედებად სოციალური პასუხისმგებლობა ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებაა. ამ ორ ცნებას შორის სხვაობას ვერ ხედავს სომხეთში გამოკითხული რესპონდენტების 13%. (აზერბაიჯანში 16%). ყოველივე ზემოთ თქმული მიუთითებს, რომ ინფორმირებულობის ხარისხი და ცნობიერების დონე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ რეგიონის ქვეყნებში არცთუ ისე მაღალია.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა ასევე დააფიქსირეს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორები. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო აღმოჩნდა მიღებული შედეგების მიმართებაზე განხილულ მონაცემებთან მიმართებაში. ყველაზე ხშირად ხელისშემშლელ ფაქტორთა შორის საქართველოში ყველაზე ხშირად დასახელებული პასუხებია: „ბიზნეს კომპანიებს არა აქვთ ამის სურვილი, არასაკმარისი პროპაგანდა ასეთი საქმეების საკეთებლად და ქვეყანაში მსგავსი პრაქტიკის/გამოცდილების ნაკლებობა. სომხეთში „არ არსებობს მთავრობის მხრიდან მითითება/არ არსებობს მთავრობის მხრიდან დავალება“. აზერბაიჯანში გამოკითხული რესპონდენტები კითხვარში ჩამოთვლილი ყველა ფაქტორს თანაბრად განიხილავს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორად. „არაჯანსაღი ბიზნეს გარემო/არაჯანსაღი კონკურენცია“ კი სამივე ქვეყნის რესპონდენტების უმრავლესობის აზრით ყველაზე ხელისშემშლელი ფაქტორია.

პროექტებს/პროგრამებს, რომლებსაც კომპანიები ახორციელებენ სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილში, საქართველოში კვლევაში მონაწილე ასივე რესპონდენტს სურს რომ იყოს ინფორმირებული. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ყველაზე დაბალია სომეხი რესპონდენტების ინტერესი კომპანიების კსკ-ის პროექტებთან მიმართებაში. სომხეთში 76,3%-ს და აზერბაიჯანში 88% გამოთქვამს სურვილს მეტ ინფორმირებულობაზე.

საქართველოში გამოკითხულთა 45% (სომხეთში 26,7%, აზერბაიჯანში 38%) მიუთითებს, რომ მათი დამსაქმებელი კომპანია ახორციელებს კსპ-ის პროგრამებს. პროგრამების შესახებ ინფორმაცია არ აქვს საქართველოში 30%-ს. (სომხეთში 50%, აზერბაიჯანში 47%).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ კორონავირუსის მსოფლიო პანდემიამ ყველაზე მეტად სომხეთში (კითხვაზე პასუხი 1. იმოქმედა და 2. მეტნაკლებად იმოქმედა ჯამური მაჩვენებელი 93,3%-ია) იმოქმედა საზოგადოებაში სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ წარმოდგენის შექმნაზე. ცნობიერების ამაღლებაში კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ სამივე ქვეყანაში რესპონდენტების აზრით დომინირებს სოციალური ქსელებიდან მიღებული ინფორმაცია.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევაში შესწავლილი იყო საზოგადოების ინფორმირებულობის დონე საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში კომპანიების მიერ განხორციელებული „სოციალური პასუხისმგებლობის“ პროექტების შესახებ. ამასთან აღმოჩნდა, რომ რეგიონის ქვეყნების რესპონდენტები ერთმნიშვნელოვნად ეთანხმებიან მოსაზრებას, რომლის თანახმად სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება პოზიტიურად აისახება : ბიზნესის კომპანიის დადებითი რეპუტაციის იმიჯის შექმნაზე.

ძირითადი მიგნებები: რეგიონის ქვეყნებში საზოგადოების ცნობიერების ინფორმირებულობის ხარისხი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ არცთუ ისე მაღალია. (გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა პირდაპირ განაცხადა, რომ არ იცის ცნების მნიშვნელობა). რესპონდენტთა მეხსიერებაში არსებული ინფორმაცია ზოგადად ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის და მისი განხორციელების ცალკეული მიმართულებების შესახებ რეგიონში ძალიან დაბალია. სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებების და კომპონენტების სპონტანურად დასახელება, ვერც კონკრეტული მაგალითის მოყვანა ვერ შეძლეს რესპონდენტთა უმრავლესობამ. თუმცა, დახმარების შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზარდა თითოეული მიმართულებით ცალკეული კომპონენტების ცნობადობის წილი. ამ შედეგს ეხმიანება ის ფაქტიც, რომ რესპონდენტებმა დახმარების

შემთხვევაში გაიხსენეს მათ მიერ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებული ისეთი საქმიანობები, რომლებიც სპონტანურად არ ახსენდებოდათ.

რეგიონის ქვეყნების საზოგადოების კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ არასაკმარის ხარისხზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სამივე შემთხვევაში „სოციალურ პასუხისმგებლობაში” თანაბრად მოიაზრებდნენ როგორც კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას და უშუალო ბიზნესის საქმიანობის ხარისხიანად წარმოებას. (გადასახადების გადახდა, გამჭვირვალე ბიზნეს საქმიანობა, მომხმარებლისთვის ხარისხიანი პროდუქციის და სერვისის მიწოდება, ინვესტიციების მოზიდვა, ბიზნესის განვითარება და ა.შ.), ასევე კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების მიღმა სხვადასხვა სახის საზოგადოებრივად სასიკეთო პროექტების და საქმიანობის განხორციელებას. ცნობიერების არასაკმარის დონეზე მიუთითებს ისიც, რომ უმრავლესობამ არ იცის არის თუ არა განსხვავება ქველმოქმედებასა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობას შორის. რესპონდენტთა აზრით, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს არასაკმარისი ინფორმირებულობა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ფორმების შესახებ, აგრეთვე შესაბამისი გამოცდილების და ცოდნის ნაკლებობა სოციალურად პასუხისმგებელი ინიციატივების სათანადო დაგეგმვის, პრიორიტეტების სწორი განსაზღვრის და მენეჯმენტის მიმართულებით.

მიღებული მონაცემების თანახმად, კვლევაში მონაწილე სამივე ქვეყნის რესპონდენტებმა არ იციან განუხორციელებია თუ არა მათ დამსაქმებელ კომპანიას რაიმე საზოგადოებრივად სასიკეთო საქმიანობა.

გამოკითხულთა უმრავლესობას აუმაღლდა ცნობადობა კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ კორონავირუსის მსოფლიო პანდემიის დროს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

რაც შეეხება კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის პროექტები/პროგრამების განხორციელებას რეგიონის ქვეყნებში, იგი არ განსაზღვრავს კომპანიის წარმატებას, თუმცა მაღალი მაჩვენებლებით შეფასდა.


იმისათვის, რომ შეგვესწავლა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში რომელი დარგის კომპანიები იყვნენ ყველაზე სოციალურად პასუხისმგებლობიანი და განგვესაზღვრა პრიორიტეტული კსკ-ს მიმართულება დარგების მიხედვით, ამისათვის შევარჩიეთ რეგიონის ცალკეულ ქვეყანაში ყველაზე მსხვილი 100 კომპანია (საქართველოში შემოსავლების სიდიდის მიხედვით (**Forbes.ge**), სომხეთში გადასახადების გადახდის სიდიდის მიხედვით (**harkatu.am**) და აზერბაიჯანში ყველაზე მნიშვნელოვანი კომპანიების მიხედვით (**Wikipedia.org**) და შევისწავლეთ აღნიშნული კომპანიების ოფიციალური ვებ-გვერდები.

შედეგმა გვიჩვენა, რომ რეგიონის ქვეყნებში მოქმედი კომპანიები არამცთუ არ აქვეყნებენ ინფორმაციას კსკ-ს შესახებ, არამედ დიდ პრობლემას წარმოადგენს ვებ-გვერდების არსებობაც. საქართველოში მოქმედი 100 უმსხვილესი კომპანიიდან მხოლოდ 79 (სომხეთში 74; აზერბაიჯანში 83) კომპანიას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი.

- საქართველოში 6 კომპანიას საერთოდ არ გააჩნია ვებ-გვერდი, (სომხეთში 18; აზერბაიჯანში 11),
- საქართველოში 9 კომპანიის ვებ-გვერდი განახლების პროცესშია (სომხეთში 8; აზერბაიჯანში 7),
- საქართველოში 6 ადგილობრივი კომპანიის შესახებ ინფორმაცია იძებნება მთავარი კომპანიის ვებ-გვერდზე (სომხეთში 9; აზერბაიჯანში 10).
- საქართველოში 79 კომპანიიდან მხოლოდ 21 კომპანიას აქვს მითითებული ინფორმაცია კსკ-ნაწილში განხორციელებული აქტივობების შესახებ, (სომხეთში 16; აზერბაიჯანში 10),

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტენდენცია კომპანიების საქმიანობის დარგსა და კსკ-ს მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით. (იხ დიაგრამა და იხ. დიაგრამა №28)

დიაგრამა №28: სამხრეთ კავკასიის ცალკეულ ქვეყანაში მოქმედი კომპანიები საქმიანობის მიხედვით



კომპანიების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე მითითებული ინფორმაციაზე დაყრდნობით, სამხრეთ კავკასიაში კომპანიების უმრავლესობის პრიორიტეტული მიმართულებაა გარემოს დაცვა და მოწყვლად ჯგუფებზე დახმარება, რაც ხშირად სპონსორობითა და ქველმოქმედებით შემოიფარგლება.

მაგალითად, კსპ-ს მიმართულებით არ მოიძია ინფორმაცია სასტუმრო Hilton ბათუმის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, თუმცა ადგილობრივი აქტივობების შესახებ ინფორმაცია სოციალური ქსელის „Facebook“-ის მეშვეობით საჯაროვდება. აღნიშნული კომპანიის „Facebook“ გვერდიდან ირკვევა სოციალური პროგრამების შემუშავება-განხორციელება ადამიანური რესურსების განყოფილების პრეროგატივაა. ბათუმში ჰილტონის სოციალური პროგრამები კი ძირითადად ორიენტირებულია განათლებასა და გარემოს დაცვაზე.

განათლების ნაწილში: ხშირად აწყობს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია ახალგაზრდების დასაქმებაზე. მაგალითად, ბათუმში პროფესიული სკოლების (Black Sea და ხალი ტალღა), სტუდენტებს ეხმარებიან სამუშაო გამოცდილების მიღებაში (სტაჟირების სახით), ცხრაკლასდამთავრებულ სტუდენტებისათვის პროფესიების შერჩევაში და სხვა.

გარემოსდაცვითი მიმართულებით ბოლო წლებში ახორციელებს ნარჩენების გადამუშავებასთან დაკავშირებულ პროექტებს. გრძელვადიან გარემოსდაცვით სტრატეგიის კვალდაკვალ ახორციელებს ერთჯერად ქველმოქმედებას, კერძოდ, ნარჩენი საპნების შეგროვების შემდეგ გადახარისხებული ახალი საპონი ურიგდება უპატრონო ბავშვთა სახლებს.

საქართველოში რეიტინგის მიხედვით ყველაზე მსხვილ კომპანიას მიეკუთვნება აზერბაიჯანის ნავთობკომპანია სოკარი-ი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ნავთობისა და გაზის კორპორაციაა და საქართველოში 2006 წლიდან ფუნქციონირებს. სოკარის ავტოგასამართი სადგურების ქსელი უკრაინაში, თურქეთში, რუმინეთსა და შვეიცარიაშიც გვხვდება.

როგორც საქართველოს სოკარის ოფიციალური ვებ-გვერდის შესწავლამ აჩვენა, კომპანიამ სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს სისტემური სახე მისცა და შექმნა გრძელვადიანი კსპ-ს სტრატეგია, რომელიც მოიცავს 5 მიმართულებას. ესენია:

1. გარემოს დაცვა - რომელიც გამოიხატება სკვერებისა და რეკრეაციული ზონების აშენებაში, ნარჩენების მართვისა და გარემოზე მოქმედი მავნე ნივთიერებების კონტროლში,
2. ახალგაზრდების მხარდაჭერა - კომპანია ხშირად აწყობს შემეცნებით ვიდეო გაკვეთილებს, მხარს უჭერს ახალგაზრდების სპორტში (ძირითადად დარგებში) განვითარებისთვის.
3. უსაფრთხოება - კომპანია უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტს და კამპანიების საშუალებით სოციალურ ქსელებსა და მედიაში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით ზრუნავს უსაფრთხოების დაცვაზე.
4. ქალთა გაძლიერება - კომპანია ხშირად აწყობს საინფორმაციო კამპანიის ქალთა გაძლიერების მიმართულებით და ნერგავს გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპებს.
5. შშმ პირების უფლებების რეალიზაცია - სოკარი ამ მიმართულებით აფინანსებს შშმ პირებისათვის გარემოს ადაპტირების ხელშეწყობის პროექტებს.

კომპანია სოკარის სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიებიდან ჩანს, რომ კომპანია ყველა შემთხვევაში ცდილობს კსკ-ის ცალკეული ასპექტების შესახებ გაზარდოს ცნობადობა, თუმცა საქართველოში კომპანია ძირითადად ორიენტირებულია მოსახლეობის კომფორტისა და სოციალური გარემოს გაუმჯობესებაზე, ხოლო აზერბაიჯანში, არამხოლოდ საზოგადოებას, არამედ კომპანიის თანამშრომლებსაც უდიდესი ყურადღება ეთმობა. (უფასო დაზღვევა თანამშრომლებისათვის, რეკრეაციული პარკები თანამშრომლებისათვის, უფასო სპორტული ცენტრების ვაუჩერები, უფასო დასვენება, ბინით უზრუნველყოფა და ა.შ).

აზერბაიჯანში რიგი ტრენინგები იქნა ჩატარებული 2009 წელს მობილური ოპერატორის „Azercell“-ის მიერ, რომელიც მოუწოდებდა ბიზნესის სხვა წარმომადგენლებს ემოქმედათ სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე სოციალურ პასუხისმგებლობას ცალკე განყოფილება ეთმობა, ვებ-გვერდი არ ხასიათდება სიახლეებით. (საუბარია კსკ-ს ნაწილში. ფინანსური ანგარიშები 2019 წლის მონაცემებიც არის გასაჯაროვებული). კომპანია მიუთითებს, რომ 2013 წელს კსკ-ს სამ ძირითად მიმართულებით იყო ორიენტირებული, კერძოდ, განათლება, გარემოს დაცვა და სოციალური კეთილდღეობა. კომპანია ასევე მიუთითებს, რომ დღემდე სოციალური პროგრამების განხორციელებისათვის 16 მილიონი აზერბაიჯანული მანათი დახარჯა (დაახლოებით 9 417 358 USD), თუმცა შესაბამისი ანგარიში გვერდზე არ მოიძებნა.

კვლევამ ცხადყო, რომ აზერბაიჯანის კომპანიების უმეტესობას არ გააჩნია კსკ-ის სტრატეგიები, ან არსებობის შემთხვევაში არ მისდევენ მას, ვინაიდან 100 კომპანიიდან მხოლოდ 10 კომპანია ახორციელებდა კსკ-ს მიმართულებით აქტივობებს, რაც სამხრეთ კავკასიის რეგიონში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ასევე გამოვლინდა, რომ სოციალური პასუხისმგებლობა შემოიფარგლება ერთჯერადი საქველმოქმედო აქტივობებით, მაგალითად რელიგიურ დღესასწაულებზე უპატრონო ბავშვთა სახლში ვიზიტი.

ამასთან აზერბაიჯანში კომპანიების უმეტესობა არ გასცემს ინფორმაციას და არ პასუხობს სხვადასხვა კვლევებს კსპ-თან დაკავშირებით. (CESD-ის კვლევა). მსგავსი სიტუაცია აქვს კომპანია „Akkord Industry Construction Investment Corporation-OJSC“-ს, რომელიც ასრულებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს საქართველოში, უკრაინაში, ყაზახეთში, უზბეკეთსა და თურქეთში. კომპანია აცხადებს, რომ ის იცავს კსპ-ის პრინციპებს, თუმცა ვებ-გვერდზე არ იძებნება აღნიშნული საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია.

აზერბაიჯანში სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით აქტიურობით ხასიათდება ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ნავთობკომპანია „BP“. კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის შესაბამისად შეიძლება გამოვყოთ 5 ძირითადი საქმიანობა კსპ-ის მიმართულებით:

1. მთავრობასთან თანამშრომლობა - კომპანია კი არ აკრიტიკებს მთავრობის პოლიტიკას, არამედ იგი ლეგიტიმური წევრია განვითარების პროცესში. მაგალითად, გაეროს განვითარების პროგრამის „UNDP“-ის პრეზენტაციაზე, სადაც შეიმუშავეს სიღარიბის აღმოფხვრის სტრატეგია, ის იყო ერთადერთი კომპანია რომელმაც არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების და დიპლომატიური წარმომადგენლების ერთად მიიღო მონაწილეობა.

მთავრობასთან თანამშრომლობის ნაწილში კომპანიამ ზრუნავს ქვეყანაში კორუფციის დონის შემცირებაზე, კერძოდ კომპანიის მიერ დაფინანსდა ეკონომიკის დარგში დამოუკიდებელი ექსპერტთა ჯგუფები, რომლებიც ურთიერთობენ მთავრობის წარმომადგენლებთან და უწყებებთან. თუმცა კომპანიის გვერდზე არ მოიძებნა ინფორმაცია და კონკრეტული მაგალითები კორუფციის პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით.

2. ნავთობის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა - კომპანია პირველი იყო, რომელიც 2004 წელს ჩაერთო პილოტირებულ პროგრამაში და საჯარო გახადა ინფორმაცია ანგარიშსწორების, ნავთობისა და გაზის მოცულობის, მოგებისა და სხვა დეტალების შესახებ.

3. საზოგადოებრივი ინვესტიციები - კომპანიამ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად განახორციელა პროექტი „გადაარჩინე ბავშვები“ რომელიც

ითვალისწინებდა „BTC“ მილსადენის გასწვრივ ბავშვების მომავალზე ზრუნვას არამხოლოდ აზერბაიჯანში, ასევე საქართველოსა და თურქეთში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაფინანსდა სკოლებისა და სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობა, თუმცა პროექტის ძირითადი მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის უნარ-ჩვევების განვითარება იყო, რომელიც შემდგომ უზრუნველყოფდა საზოგადოების დამოუკიდებლად განვითარება-წარმატებას.

კომპანია ასევე იყო „Build your Future“-ს პროგრამის ინიციატორი, რომლის მიზანი სოციალურად დაუცველი ოჯახების ახალგაზრდების, მე-11 კლასის მოსწავლეებს, შშმ პირებსა და სპეციალური საჭიროებების მქონე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს მხარდაჭერას გულისხმობდა. თუმცა, როგორც ოფიციალური გვერდიდან ვიგებთ, კომპანია საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით აქტიურად ახორციელებს განათლების ხელშეწყობის სხვა პროგრამებსაც.

აღნიშნულის გარდა კომპანია დიდ ყურადღებას აქცევს კულტურისა და სპორტის მიმართულებით კსპ-ის აქტივობების განხორციელებას, მაგალითად კომპანიის მიერ დაფინანსდა „Imadeddin Nesimi“ წიგნის ინგლისურ ენაზე პუბლიკაცია, რომლის მიზანი ნესიმის პოეზიისა და ფილოსოფიის პოპულარიზაცია გახდა. კომპანია ასევე აფინანსებს აზერბაიჯანის კულტურული მემკვიდრეობის კვლევასა და გამოქვეყნებას, რომლის მიზანი აზერბაიჯანის მდიდარი კულტურის საერთაშორისოდ გაცნობას წარმოადგენს.

კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდის მიხედვით კომპანია მზად არის 2020 წლის ბოლომდე გააგრძელოს ხელშეკრულება აზერბაიჯანის ოლიმპიურ კომიტეტთან, რომლის ფარგლებშიაც მხარს დაუჭერს აზერბაიჯანელ სპორტსმენებს. (ხელშეკრულება ჯერ კიდევ 2012 წელს დაიდო).

4. ეროვნული და რეგიონალური განვითარება - გამოიხატება ჯერ კიდევ 2005 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით სხვა ნავთობკომპანიებთან ფინანსური ვალდებულებების, შიდა მმართველობითი სტრუქტურის, საოპერაციო მმართველობითი პრინციპების და სამწლიანი სტრატეგიის შესახებ. ინიციატივა მიზნად ისახავდა ნავთობისა და გაზის პარტნიორებს შორის გრძელვადიანი ბიზნეს-ინტერესებისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობის განვითარებას კასპიის

რეგიონში. აღნიშნული ინიციატივა ასევე ეხებოდა საქართველოს და თურქეთს. მსგავს ინიციატივას „BP” კომპანიის წარმომადგენელი ინვესტიციურ მიდგომად უფრო მიიჩნევს, ვიდრე ქველმოქმედებად.

5. ადგილობრივი ბიზნეს საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა - ამ მიმართულების კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა გამოიხატება საწარმოთა განვითარების კომიტეტის შექმნაში. კომიტეტი 2000 წელს „BP” კომპანიამ „Statoil” კომპანიასა და ბრიტანეთის ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან „International Alert”-თან პარტნიორობით შექმნა, რითაც ადგილობრივ კომპანიებს გაუმარტივა ნავთობის სექტორში ჩართვის პროცესი. (ფორუმების მოწყობა). (BP...com).

მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა კსპ-ის განვითარებისათვის აზერბაიჯანში შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ბევრი კომპანია, რომელიც ახორციელებს პროექტებს არ აშუქებს მათ საჯაროდ. ამ მიზეზის გამო, ზოგიერთი საქმიანობა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ პასუხისმგებლურად, შეიძლება იყოს ფარული და აუხსნელი საზოგადოებისათვის. კომპანიების მხრიდან ჩუმად ყოფნა კსპ-ის მიმართ, შეიძლება ასევე მიუთითებდეს გაუმჭვირვალე საქმიანობაზე და სხვადასხვა სამართლებრივ დარღვევებზეც. მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ კომპანიამ მიუთითოს სოციალური პროექტებისათვის გამოყოფილი თანხის კონკრეტულ რაოდენობა, მას ურჩევნია ინფორმაცია დაფაროს და თანხა სხვა მიზნით გამოიყენოს.

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანული კომპანიები რეგულარულად არიან ჩართული საქველმოქმედო საქმიანობებში, გარდა ნავთობკომპანიებისა, მათ არ გააჩნიათ გრძელვადიანი სტრატეგიები და კომპანიებს არ აქვთ ადეკვატური გაგება კსპ-ის სარგებლიანობის შესახებ.

არსებითად კსპ-ის ასპექტები აზერბაიჯანში სამი ძირითადი მიმართულებით შეიძლება გამოვყოთ: 1. საქველმოქმედო აქტივობები მოწყვლადი ჯგუფებისათვის, ყოველგვარი PR-ის გარეშე, 2. ფილანტროპიული საქმიანობა კომპანიის იმიჯისა და რეპუტაციის გაუმჯობესების მიზნით და 3. სტრატეგიული მიდგომა, სადაც

კომპანიებისათვის საზოგადოებრივი სოციალური ასპექტები ნამდვილად მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება სომხეთს, აქ სოციალური პასუხისმგებლობიანი პროექტების ინიციატივები და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება აქ ნაწილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებმა ითავეს. „CSR Armenia“-მ და „AmCham“-ის მიერ შეიქმნა პასუხისმგებლიანი ბიზნესის ქსელი, რომელიც მიმართული იყო სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ხარისხის გაუმჯობესებაზე. აღნიშნული კავშირის ფარგლებში ერთმანეთს დაუკავშირდა არასამთავრობო ორგანიზაციები და კორპორაციები, რომლებიც 2017 წელს ორიენტირებულები იყვნენ სოციალურ-კულტურული პროექტებზე. 2018 წელს სწორედ მათ დაეკისრათ შუამავლის როლი, სამთავრობო დონეზე აშშ-სა და სომხეთს შორის ვაჭრობისა და საინვესტიციო ხელშეკრულების გაფორმებაზე. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნა ისეთი სოციალური ასპექტები, როგორცაა მომხმარებელთა უფლებების და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა. (Amcham, 2019).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ტენდენცია, რომელიც სომხეთში მომედი კომპანიების შესწავლისას გამოიკვეთა, კერძოდ კომპანიების ნაწილი ინვესტორების დაინტერესებას ცდილობს არა „კსპ“-ს ნაწილში ცალკე განყოფილების შექნას ოფიციალურ ვებ-გვერდზე, არამედ ამჯობინებს შექმნან ინვესტორებისათვის ცალკეული განყოფილება და წარუდგინონ იმიჯზე მოქმედი სხვადასხვა სერტიფიკატები და დოკუმენტაცია.

სომხეთის შემთხვევაში შესწავლილი კომპანიების დარგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ „დამამუშავებელი მრეწველობა“ და „ვაჭრობა“ სექტორში მოქმედი კომპანიების საქმიანობა გამოირჩევა მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის დონით. მაგალითად კომპანია „Planet of Pure Iron“ კსპ-ს მიმართულებით საქმიანობის განხორციელებისას მჭიდრო კავშირშია სახელმწიფო ხელისუფლების უწყებებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან. მსგავსი ურთიერთქმედება ცხადყოფს, რომ დიალოგი კომპანიებსა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის, ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრაში უფრო ეფექტურია, ვიდრე ბიუჯეტიდან დაფინანსება ან/და პრივატიზაცია. კომპანიის მიერ

ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალი საკმაოდ დიდია, თუმცა ქველმოქმედებასა და სპონსორობას არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომპანიისათვის. (PurePlanet...2020).

სომხეთში მოქმედი ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია „ CJSC Gazprom Armenia”, რომლის ძირითადი საქმიანობა სომხეთის შიდა ბაზარზე ბუნებრივი გაზის მიწოდება და რეალიზაციაა, კსკ-ს ნაწილში შემოიფარგლება მხოლოდ სპონსორობითა და საქველმოქმედო პროგრამებით რომელთა ძირითადი მიზანი მნიშვნელოვანი კულტურული და სპორტული ღონისძიებების, საგანმანათლებლო დაწესებულებების და სპეციფიკური სასწავლო პროგრამის მხარდაჭერას გულისხმობს. (ArmeniaGazprom...2020).

შედეგმა ცხადყო, რომ სოციალური პასუხისმგებლობის ინტერესები რეგიონის ქვეყნებში ორ კომპონენტში (განათლება და გარემოს დაცვა) ემთხვევა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ უმეტესი კომპანიების ოფიციალურ ვებ-გვერდები არ იძლევა დეტალურ ინფორმაციას კსკ-ის მიმართულებით აქტივობების შესახებ. თავისმხრივ ინფორმაციის საჯაროობა და საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია კსკ-ის ერთ-ერთი გამოხატულებაა, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის რეპუტაციის გამყარებასა და მდგრად განვითარებას.

სამივე ქვეყანაში კომპანიების ოფიციალური ვებ-გვერდების შესწავლის შემდგომ ირკვევა, რომ საქართველოში შედარებით ყველაზე მეტად აქვთ გათავისებული კსკ-ის განვითარების სტრატეგიებში ჩართვის და მარტივი საქველმოქმედო აქტივობებიდან გრძელვადიან პოლიტიკის შემუშავებაზე გადასვლის აუცილებლობა. ის ფაქტი, რომ საქართველოში მოქმედი კომპანიები უფრო მეტად გვევლინებიან კსკ-ის პრინციპების გამტარებლებად, არ ცვლის რეგიონის სურათს, სადაც კომპანიების საქმიანობა კსკ-ს მიმართულებით ძირითადად მიმართულია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, მიუსაფარ ბავშვების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერისაკენ, საქველმოქმედო ღონისძიებებისა და აქციების ორგანიზებისკენ. ასევე კომპანიების მიერ გარემოს დაცვის აქტივობებში ჩართულობა იწვევს ეჭვს, რომ მათი კომპანიების საბოლოო მიზანი პიარი და კომპანიის იმიჯის გაუმჯობესებაზე

ზრუნვაა და არა საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული მხარის სარგებლობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ქველმოქმედება, სპონსორობა და ბიზნეს ეთიკა კსპ-ს შემადგენელი ნაწილია, არის ბევრი სხვა მიმართულებაც, რომელთა დაგეგმვა-განხორციელება ხანგრძლივი პროექტის ფარგლებში მიიღწევა. მსგავს პროექტებს კი ძირითადად უფრო მსხვილი კომპანიები ახორციელებენ. (SOCAR, BP) ეს ტენდენცია ერთნაირია საქართველოსა და აზერბაიჯანისათვის.

სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკა უფრო ღრმა და ყოვლისმომცველია ამერიკასა და ევროპაში. მაგალითად, ამერიკული ბიზნესის მოდელი ორიენტირებულია კომპანიების კორპორაციულ პოლიტიკაში ჩარევის მინიმიზაციაზე, მას შემდეგ რაც შეიქმნება ინოვაციური პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით. ამერიკული ფარმაცევტული კომპანიის „Abbott Laboratories” სოციალური პრაქტიკა მოიცავს შემდეგ სფეროებს: ეკოლოგია, სოციალური მუშაობა, საკადრო ურთიერთობები, კორპორაციული მმართველობა და მომწოდებელთან ურთიერთობა. გარემოსდაცვითი პოლიტიკის მხრივ კომპანია ზრუნავს ქიმიური ნივთიერებების რაოდენობის შემცირებაზე, ქვეყნის წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და წარმოების პროცესში ნარჩენების მართვაზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია უმსხვილესი ამერიკული კომპანია ხასიათდება სამეწარმეო კულტურით, იგულისხმება სოციალური სტრატეგიის არსებობა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ყოველწლიური ანგარიშების გამოქვეყნება.

სოციალური პასუხისმგებლობის ევროპული პრაქტიკა ქვეყნების მიერ კსპ-ის მკაფიო რეგულირებას და სოციალური საქმიანობის კომპანიის დამატებითი ღირებულების წარმოქმნის საერთო სტრატეგიაში ჩართვას გულისხმობს, რაც შემდგომში გამოიხატება სავალდებულო ჯანმრთელობის დაზღვევისა და საპენსიო ანაზრების უზრუნველყოფაში, გარემოს დაცვაზე სავალდებულო ზრუნვაში, პერსონალის განვითარებაში (ტრენინგი, სემინარი) უზრუნველყოფაში და სხვა.

სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილში, ევროპული და ამერიკული სოციალური პასუხისმგებლობა საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულებასაც გულისხმობს. საკანონმდებლო მოთხოვნები არეგულირებს მომხმარებლებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობებს, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხო სამუშაო პირობებს, გარემოს დაცვას. კანონების საშუალებით წესდება სავალდებულო მინიმალური მოთხოვნები კსპ-ის მიმართულებით, კერძოდ პრიორიტეტი ენიჭება ადამიანური კაპიტალის განვითარებას და დაცვას, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და გარემოსდაცვითი საკითხებს.

სოციალური პროექტების განხორციელებით, ქვეყნების წარმატების შესაფასებლად, ამერიკული კომპანია „სოციალური პროგრესის ინდექსი“ სოციალური განვითარების სფეროში 2014 წლიდან ქვეყნების მიღწევებს აფასებს 50 მაჩვენებლით, რომლებიც სამ ძირითად ჯგუფშია გაერთიანებული:

- ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებები - კვება, სამედიცინო დახმარებაზე წვდომა, საცხოვრებელი უზრუნველყოფა, წყლის, ელექტრობისა და სანიტარული მომსახურების ხელმისაწვდომობა, პირადი უსაფრთხოების დონე.
- ადამიანის ძირითადი კეთილდღეობა - საბაზისო ცოდნის ხელმისაწვდომობა და მოსახლეობის განათლების დონე, ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებებისადმი წვდომა, ჯანდაცვის დონე, ეკოლოგიური მდგრადობა
- ადამიანის განვითარების შესაძლებლობა - პირადი და სამოქალაქო თავისუფლების დონე, ადამიანის უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ტოლერანტობა და ინკლუზია, უმაღლეს განათლებაზე წვდომა.

ინდექსის მეშვეობით, ერთი ქვეყნის მონაცემები 15 ქვეყნის მონაცემებს ედარება, სადაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე მსგავსია. ამ შემთხვევაში საქართველო სომხეთთან ერთად შეადარეს შემდეგ ქვეყნებს: პარაგვაი, უკრაინა, ინდონეზია, გვატემალა, იორდანია, ეგვიპტე, ეკვადორი, მაროკო, ფიჯი, ელ სალვადორი, სვაზილენდი, ტუნისი, გვინეა და ბუტანი. (Socialprogress.org)


მსოფლიოს 149 ქვეყნიდან, საქართველოს სოციალური პროგრესის ინდექსის საშუალო მაჩვენებელი 100-დან 56 ქულითაა შეფასებული. (სომხეთის 59 ქულით). კვლევის თანახმად, საქართველომ უმაღლესი ქულები მიიღო შემდეგ

კომპონენტებში: ძირითად ცოდნაზე ხელმისაწვდომობა - 96.32 ქულა (სომხეთი - 90.67 ქულა), ბაზისური სამედიცინო დახმარება - 92.46 ქულა (სომხეთი 93.47 ქულა), წყალი და სანიტარია- 92.34 ქულა (სომხეთი - 98.17 ქულა). დაბალი ქულებით კი შეფასდა შემდეგი კომპონენტები: უმაღლეს განათლებაზე წვდომა - 40.95 ქულა (სომხეთი - 31.03 ქულა), ტოლერანტობა და ინკლუზია - 41.85 ქულა (სომხეთი - 45.47 ქულა).

რაც შეეხება აზერბაიჯანს, რეიტინგის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არ მოიძებნა ქვეყნის საშუალო ქულასთან დაკავშირებით, თუმცა მიუთითებს, რომ უმაღლესი ქულები დაფიქსირდა შემდეგ სფეროებში: სავალდებულო სამედიცინო მომსახურება - 91.31 ქულა, წყალი და სანიტარია - 91.25 ქულა, ხოლო დაბალი ქულები: უმაღლეს განათლებაზე წვდომა - 28.93 ქულა, ტოლერანტობა და ინკლუზია - 19.61 ქულა.

საინტერესოა საქართველოს სოციალური პროგრესის ინდექსის შედარება რეგიონში მასზე ძლიერი ეკონომიკის მქონე ისეთ ქვეყანასთან, როგორცაა აზერბაიჯანი. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის მშპ საქართველოს მშპ 2-ჯერ მაინც აღემატება, აზერბაიჯანის სოციალური პროგრესის ქულები ცალკეულ დარგში გაცილებით ჩამოუვარდება საქართველოს ქულებს. მსგავსი სურათი გვაქვს ბევრი სხვა ქვეყნის შემთხვევაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მშპ ერთ სულ მოსახლეზე და სოციალური პროგრესის ინდექსი ყოველთვის ერთი და იგივე მიმართულებით არ მოძრაობს, ხოლო იმისათვის, რომ განგვესაზღვრა კომპანიების როლი, სოციალური გარემოს გაუმჯობესებაში, ამისათვის ჯერ შევადარეთ „სოციალური პროგრესის ინდექსი“ სამხრეთ კავკასიის ცალკეული ქვეყანაში 6 წლის განმავლობაში (იხ. დიაგრამა) და შემდგომ გავარკვიეთ: იწვევს თუ არა სოციალური პროგრესის ინდექსის ზრდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოვიყენეთ რთული რეგრესიის მეთოდი.

დიაგრამა №29 : სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეიტინგი „სოციალური პროგრესის ინდექსი“-ს მიხედვით 2014-2019



დიაგრამიდან ჩანს, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში ინდექსი წლიდან წლამდე მცირედით იცვლება და ამ რეიტინგის მიხედვითაც საქართველოს ლიდერი პოზიცია უკავია, შემდეგ მოდის სომხეთი და ბოლოს აზერბაიჯანი. ვინაიდან სოციალური პროგრესის ინდექსში შესული კრიტერიუმები პირდაპირ გავლენას არ ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, თუმცა შემოსავლების ზრდა ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ დონეზე აისახება, იკვეთება შემდეგი ტენდენცია, რომ საქართველოში შემოსავლები, პუი-ს სახით შედარებით დაბალია, სოციალური დონის გაუმჯობესებაში წვლილი ადგილობრივი კომპანიების დამსახურებაა.

სოციალურ პროგრესსა და მშპ-ს შორის დამოკიდებულება შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ცხრილი №22)

ცხრილი №22: სოციალურ პროგრესსა და მშპ-ს შორის რეგრესული ანალიზი

ვარიაცია	R2	R	რ სკიარე	F-statistics	P-value
საქართველო	0.714	0.845	0.570	4.982	0.52
სომხეთი	0.398	0.098	0.631	1.327	0.368
აზერბაიჯანი	0.444	0.666	0.166	1.60	0.333

როგორც ცხრილიდან ჩანს დამოკიდებულება ორ ცვლადს შორის სამივე შემთხვევაში დადებითია, თუმცა „შესატყვისობის სიკარგე“ განსაკუთრებით დიდია საქართველოს შემთხვევაში, რაც გულისხმობს, რომ ერთი ერთეულით სოციალური პროგრესის ზრდა იწვევს 0.7 ერთეულით მშპ-ს ზრდას.

განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ხელისუფლებას არ აქვს შემუშავებული საკმარისი ბერკეტი, რომლითაც უზრუნველყოფს კანონმდებლობით განსაზღვრულ მინიმალურ სოციალურ და გარემოსდაცვითი სტანდარტების შესრულებას. მიუხედავად იმისა, რომ კსპ ნებაყოფლობითი პოლიტიკაა, რეგიონის ქვეყნებში არსებულმა კომპანიებმა ნებაყოფლობით საწყისებიდან უნდა გადავიდეს უფრო მაღალ სტანდარტებზე, რათა დადებითი ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნების საერთაშორისო სტრუქტურებში ინტეგრირებაზე.

საქართველოში კომპანიების მიერ მინიმალური, სავალდებულო საკანონმდებლო რეგულირება კსპ-ის მიმართულებით მოიცავს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოებას. მაგალითად კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ განმარტავს, რომ: „საქართველოს ყველა მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს... პროდუქციის უსაფრთხოება“. იგივე კანონის მიხედვით: „მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ პროდუქცია მისი შენახვის, ტრანსპორტირებისა და გამოყენების ჩვეულებრივ პირობებში იყოს უსაფრთხო მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოსათვის, აგრეთვე არ აყენებდეს ზიანს მის ქონებას“.

საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“ შეიძლება განისაზღვროს ერთ-ერთ მარეგულირებელ კანონად კომპანიების კსპ-ის მიმართულებით. კანონი ავალდებულებს კომპანიებს დაიცვან სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი (16 წლის ასაკიდან) და ბავშვები აარიდონ ისეთი სამუშაოების შესრულებას, რომლებიც შეიძლება საზიანო იყოს მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის ან/და ზღუდავდეს სავალდებულო და საბაზო განათლების მიღებას. აღნიშნული კანონი კომპანიებს ასევე უწესებს სამუშაო საათების მაქსიმალურ რაოდენობასა და ურეგულირებს შვებულებასთან, მივლინებასთან, შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს.

საქართველოში არსებობს საერთაშორისოდ აღიარებული ვალდებულებების პრაქტიკული იმპლემენტაციის პრობლემა. საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორისო კონვენციებით დადგენილ პრინციპებს ხშირად ასახავს კანონმდებლობაში, თუმცა არასათანადოა მათი აღსრულების მექანიზმები. საქართველოს კანონი „შრომის კოდექსი“ შეფასდა როგორც ლიბერალური კანონი, თუმცა კანონში მითითებული მინიმალური შრომითი უფლებებისა და სტანდარტების დაცვა დღესაც პრობლემურია.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია განვითარებადი ქვეყნების ტენდენცია, სადაც მთავრობის ჩართულობა კსკ-ის პროგრამების განვითარების უზრუნველყოფის მხრივ არის მინიმალური. რეგიონის ქვეყნების არცერთ ოფიციალურ სამთავრობო დოკუმენტში არ არსებობს მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს კსკ-ის ფართო დანერგვას ქვეყნების კომპანიებში.

რეგიონის ქვეყნებში კსკ-ის ინტეგრაციას მხოლოდ უცხოური მულტინაციონალური კომპანიები ახდენენ, რომლებსაც კარგად ესმით გრძელვადიან პერსპექტივაში პასუხისმგებელი ბიზნესის საქმიანობის მნიშვნელობა. ადგილობრივ საქმიანობაში მხოლოდ ისინი ნერგავენ ბიზნესის წარმოების საერთაშორისო სტანდარტებს, როგორცაა ანგარიშვალდებულებას, გარემოსდაცვით მენეჯმენტს, კარგ კორპორაციულ მმართველობას და სხვა.

რეგიონის მთავრობები არ შედიან იმ სახელმწიფოთა რიცხვში, რომლებმაც ოფიციალურად მიუერთდნენ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის „OECD“ სახელმძღვანელო მითითებებს. რეგიონის ქვეყნების მთავრობებს არ აუღიათ მისი დანერგვისა და ხელშეწყობის ვალდებულება, ამასთან მოიკოჭლებს პროფკავშირების როლიც, რომლებიც კომპანიების მამომრავებელი ძალა უნდა იყვნენ პასუხისმგებელი ქცევების ნაწილში.

კსკ-ის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ელემენტია ბიზნეს კომპანიებსა და სახელმწიფო ხელისუფლების უწყებებს შორის დიალოგი, რაშიც ასევე მოიკოჭლებს რეგიონის ქვეყნები. თუმცა რეგიონში ზოგიერთი კომპანია (Hilton ბათუმი - საქართველოში, Pureplanet-სომხეთში) ნათელი მაგალითია, იმისა, რომ მთავრობამ

გააცნობიეროს კერძო სექტორის მნიშვნელობა ქვეყნის მდგრადი განვითარებაში და არამხოლოდ ითანამშრომლოს, არამედ წაახალისოს ის კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ პასუხისმგებელ საქმიანობებს კანონით დაკისრებული ვალდებულებების მიღმა.

საქართველოს მთავრობის მხრიდან კეთილგანწყობას იმსახურებს კომპანია „ნენსკრა ჰესი“-ს, რომელიც ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური იქნება დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. „ნასკრა ჰესი“-ს კაშხალი, ასევე პირველი იქნება, რომელიც ელექტროენერჯის გენერაციის გარდა, გამოყენებული იქნება: სასმელი და სარწყავი წლის მიწოდებისთვის, წყალდიდობებისა და გვალვების მართვისთვის, სანაოსნო, ტურისტული და სხვა მიზნებისათვის. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარეების ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში.

საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია მსგავსი კომპანიების მიმართ კეთილგანწყობა გამოხატოს ნებართვებისა და ლიცენზიების დამტკიცების დაჩქარებულ ან გაადვილებულ პროცედურებში. მთავრობას, ასევე შეუძლია დაუწესოს საგადასახადო შეღავათები, რადგან ქვეყნის მდგრადი განვითარება ორივე მათგანის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს. შესაბამისად, ბიზნეს კომპანიებისა და სახელმწიფო უწყებების შორის პარტნიორობა მომგებიანად ითვლება ორივესთვის და ამავდროულად აქვს დამატებითი სოციალური დატვირთვა, კერძოდ ხორციელდება საზოგადოებრივი საჭიროებების დაკმაყოფილება.

საქართველოში კანონმდებლობის დონეზე კსპ-ს ხელშეწყობას ვხდებით საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძირითადად ეხება საქველმოქმედო საგადასახადო კოდექსის 117-ე მუხლის თანახმად: „კომპანიას ერთობლივი შემოსავლიდან გამოექვითება საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული თანხა, აგრეთვე ერთობლივ შემოსავალში ასახული უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლის (გარდა უძრავი ქონებისა)/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასი, მაგრამ არაუმეტეს ერთობლივი შემოსავლიდან ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების შემდეგ დარჩენილი თანხის 10 პროცენტისა.“

მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქართველოს მთავრობის მცდელობა ბიზნესის სტიმულირების შემუშავებაში, კერძოდ საუბარია არაფინანსურ სტიმულირებაზე, რომელიც გულისხმობს პასუხისმგებლიანი კომპანიების დაფასებას და წახალისებას კონკურსებისა და ჯილდოების სახით. მაგალითად, „საქართველოს პასუხისმგებელი ბიზნესის კონკურსი Meliora“, რომელიც პირველად 2018 წელს ჩატარდა სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ორგანიზებით, მიზნად ისახავს იმ კომპანიების დაჯილდოვებას, რომლებიც ახორციელებენ სამაგალითო პროექტებს სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში. მსგავსი მიდგომა წახალისებს კომპანიებს დანერგონ კსპ-ის პრინციპები საკუთარ საქმიანობაში და გახდნენ სამაგალითო სხვებისთვის.

მთავრობის მხრიდან კომპანიების ერთ-ერთ არაფინანსური სტიმულირებას წარმოადგენს მთავრობის მიერ მაგალითის მიცემა კომპანიებისათვის. სახელმწიფო უწყებების მიერ მდგრადი განვითარების ანგარიშების გამოქვეყნება, რომლებიც ასახავს სამთავრობო უწყებათა საქმიანობის გარემოსდაცვით და სოციალურ მაჩვენებლებს, მისაბამი მაგალითია კერძო სექტორისათვის. სამწუხაროდ, საქართველოში სახელმწიფო უწყებების მიერ მომზადებული ანგარიშთა უმრავლესობა ზედაპირული, მიმოხილვითი ხასიათისაა და ზეგავლენის შეფასების სტანდარტიზირებულ ინდიკატორებს არ ეფუძნება. მიკრო და მცირე კომპანიების უმეტესობას კი არასოდეს მოუზადებია სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიშები, ვინაიდან ისინი ვერ გრძნობენ ზეწოლას სახელმწიფოს მხრიდან. ამდენად, სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიშებს გლობალურ დონეზე მხოლოდ მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციები ახორციელებენ. (ჩვენს მიერ განხილული მაგალითებიდან SOCAR და BP შემთხვევა).

სულ სხვა სიტუაცია გვაქვს პანდემიის დროს კსპ-ის ფინანსურ ან ეკონომიკურ სტიმულირებასთან დაკავშირებით, როგორცაა საგადასახადო შეღავათები, სუბსიდიები, საგრანტო სქემები და სხვა. (როგორც წესი, ეს კანონმდებლობით რეგულირდება). შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური სტიმულირება საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან მსოფლიო პანდემიამ განსაკუთრებით

გააქტიურა. საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების გზით, დახმარება გათვალისწინებულია ბიზნეს კომპანიებისათვის შემდეგნაირად:

- ამოქმედდება დღგ-ს ავტომატურად დაბრუნების მექანიზმი, ანუ მთავრობა ბიზნესს დღგ-ს უკან დაუბრუნებს ერთი წლის განმავლობაში და ამისთვის ბიუჯეტიდან 600 მლნ. ლარი გამოყო.
- მთავრობის გადაწყვეტილებით ყველა კომპანია, რომელიც შეინარჩუნებს სამუშაო ადგილს 6 თვის განმავლობაში 750 ლარის ოდენობის სრულ სუბსიდირებას მიიღებს საშემოსავლო გადასახადის ნაწილში
- კომერციულ ბანკებს მიეწოდებათ 600 მილიონი ლარის გრძელვადიანი რესურსი და იმ კომპანიებს, რომლებსაც აქვთ ძველი სესხი, სახელმწიფო შეეხიდება 30%-ის გარანტირების ნაწილში.
- ქონების გადასახადისგან გათავისუფლდა სასტუმროების, რესტორნების და ტურისტულ სექტორში დასაქმებული პირების (ტურ-ოპერატორები, ტურისტული სააგენტოები) საკუთრებაში არსებული ქონება, ასევე იჯარით გაცემული ქონება.
- პანდემიის დროს საურავის დარიცხვის გარეშე გადავადდა ცალკეული ბიზნეს კომპანიების გადასახადები

საქართველოს სახელმწიფოს ფინანსური სტიმულირების კიდევ ერთი გამოხატულებაა სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომლის თანადაფინანსების მექანიზმის პანდემიის დროს შეცვლა. სახელმწიფოს მონაწილეობა პროცენტის დაფინანსებაში გაიზარდა და ასევე გაიზარდა სესხისა და ლიზინგის თანადაფინანსების პერიოდიც (იყო 24 თვე, გახდა 36 თვე).

საგადასახადო შეღავათებს „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“-ს სახით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამინისტრო 6 წელზე მეტია ახორციელებს, რომლის მიზანი სოფლის მეურნეობაში ჩართული მეწარმეების გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფაა. პანდემიისა და ფინანსური კრიზისის გამო, სახელმწიფომ პროექტის პირობები შეცვალა და კიდევ უფრო მთავარი მეწარმეებს.

საგრანტო სქემები კსპ-ის სტიმულირებისათვის საქართველოში საკმაოდ აქტუალურია. სახელმწიფო სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

თანამშრომლობით კომპანიებს საშუალებას აძლევს მიიღოს გრანტები გარემოსდაცვით პროექტებზე. (ეკოლოგიური პროექტების საგრანტო კონკურსი-ევროპის ფონდი ღია კარის პროგრამა).

გრანტებს სოციალური პროგრამის ფარგლებში გასცემს კომპანიებიც, რომელიც ჯერ ირჩევს კსკ-ის პრიორიტეტულ მიმართულებას, შემდეგ ადგენს ბიუჯეტს, აცხადებს საგრანტო კონკურსს და ბოლოს არჩევს არასამთავრობო ორგანიზაციას. ასეთი სქემა კომპანიების ფინანსურ და დროით რესურსების ეკონომიას ახდენს და ბენეფიციარებიც უფრო მეტ სარგებელს იღებენ, რადგან მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაცია აქვს არასამთავრობო სექტორს. დღევანდელ რეგიონის ქვეყნებში ადგილობრივი კომპანიები ნაკლებად ენდობიან არასამთავრობო სექტორს და მათ შორის კომუნიკაციის დონეც დაბალია. (შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს საქართველოში). აუცილებელია ორივე მხარემ გაითავისოს, ერთმანეთთან თანამშრომლობის საჭიროება, რათა სოციალური პროგრამები მეტად მოერგოს საზოგადოებას.

სოციალური პასუხისმგებლობა ნიშნავს დახმარებას საჭიროების შემთხვევაში, იქნება ეს ჯანმრთელობის კუთხით თუ მოულოდნელი ბუნებრივი კატასტროფების სახით. ყოველივე ეს ქმნის კომპანიის რეპუტაციას, რომელიც არამატერიალური აქტივებისგანაც შედგება, მაგალითად ნდობა, საიმედოობა, ხარისხი, გამჭვირვალობა, სამომხმარებლო ურთიერთობები და სხვა.

საქართველოში პანდემიის დროს ე.წ. ნდობა დაკარგა ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისმა“. კომპანიამ, იმის ნაცვლად, რომ პანდემიის დროს სახელმწიფოს დახმარებოდა მოქალაქეების სხვა ქვეყნებიდან სამშობლოში სწრაფად და ორგანიზებულად ჩამოყვანაში, პირიქით, გააძვირა სამგზავრო ბილეთის ფასი. ამას დაემატა ისიც, რომ ავიაკომპანიამ, პანდემიის პერიოდში თანამშრომლების 95% უვადო, უხელფასო შვებულებაში გაუშვა. კომპანიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არ იძებნება ინფორმაცია სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით.

მიუხედავად კომპანია „ჯორჯიან ეარვეის“-ს მაგალითისა, საქართველოში კსკ-ის განვითარების სერიოზული წინაპირობები და პოტენციალი არსებობს. კერძოდ,

ბიზნესის მხრიდან ადგილობრივი თემების მხარდაჭერა, კორპორაციული ფილანთროპიის ხანგრძლივი ტრადიციის არსებობა, ბიზნესის მიერ საზოგადოებაში საკუთარი როლისა და ფუნქციების საკმაოდ ფართო ხედვა, მოსახლეობის მხრიდან საკმაოდ მაღალი მოლოდინები კომპანიების მიმართ განხორციელებულ კსპ-ის პროგრამებზე (კვლევის ნაწილი), კომპანიის რეპუტაციისა და იმიჯზე კსპ-ის დადებითი ზეგავლენის გაცნობიერება და სხვა.

საბოლოოდ კი ყველა კომპანია უნდა ზრუნავდეს კსპ-ს განვითარებაზე და უნდა გაითავისოს რომ იგი უზრუნველყოფს:

- საქმიანობის უფრო ეფექტურად შესრულებას - კსპ-ის პროგრამების განხორციელება მინიმალური საკანონმდებლო მოთხოვნათა გადაჭარბებით, (ტრენინგი, სამუშაო პირობები, პერსონალის ურთიერთობები და სხვა) დადებით გავლენას ახდენს პროდუქტიულობაზე.

- ხარჯების შემცირებას - მიმზიდველი სოციალური პროგრამები, სოციალური პროგრამების კონკურსებში გამარჯვება ამცირებს სარეკლამო ხარჯებს, იმ თვალსაზრისით, რომ კომპანიის გაშუქება ხორციელდება მედია საშუალებებით.

რაოდენ გასაკვირიც, არ უნდა იყოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში კსპ-ის შემდგომი განვითარება საერთაშორისო ურთიერთობის გაღრმავების საწინდარია. რეგიონის ქვეყნები ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციისა და ინიციატივის წევრია, რომელთა მნიშვნელოვან პრიორიტეტს სწორედ კსპ წარმოადგენს. რეგიონის ქვეყნები ინდივიდუალურად მიერთებული არიან სხვა მრავალ საერთაშორისო შეთანხმებებთან, რომლებიც საერთაშორისო დონეზე არეგულირებენ კსპ-ის ამა თუ იმ კომპონენტს. ამდენად, რეგიონის ქვეყნებში კსპ-ის განვითარება ხელს შეუწყობს მსოფლიო დონეზე რეგიონის იმიჯის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების უფრო ეფექტიანად განხორციელებას. (Manvelidze..., 2019).

რეგიონის ქვეყნებში სოციალური პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი მიდგომების გამოყენება, ხელს შეუწყობს:

- სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის მოგვარებას - უმუშევრობა, ეკონომიკური ზრდის დაბალი დონე, უმუშევრობა, შრომით საქმიანობაში სტანდარტების დანერგვა და სხვა.

- გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრას - ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ რეგიონის ქვეყნების კომპანიებს, მიუხედავად ეკონომიკური საქმიანობის დარგისა, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა კსპ-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამასთან, კსპ ხელს უწყობს გარემოზე კომპანიის საქმიანობით მოხდენილი მავნე ზემოქმედების შემცირებას სხვადასხვა ხერხებით (თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ინოვაციური მიდგომით, წყლის რესურსების მოხმარების შემცირებით, ენერგომოხმარების შემცირებით, გარემოსთვის მავნე ნივთიერებების შემცირებით და სხვა.), რომელსაც ახლავს საწარმოების მიერ საერთაშორისო სტანდარტების ნებაყოფლობით დანერგვა.

- ნებაყოფლობით საწყისებიდან უფრო მაღალი სტანდარტების დანერგვას - რეგიონის ქვეყნების მთავრობამ უნდა იზრუნოს მინიმალური სტანდარტების შესრულების უზრუნველყოფაზე, რადგან შემდეგ ეტაპს მდგრადი სტანდარტები წარმოადგენს, რომელიც საერთაშორისო სტრუქტურებში ინტეგრაციის საწინდარია.

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას - საქართველო და სომხეთი, როგორც მცირე ბუნებრივი რესურსები მქონე ქვეყნები, განსაკუთრებით უნდა ზრუნავდეს კსპ-ის დარგის განვითარებას ამ თვალსაზრისით. მათ შეუძლიათ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან მიიღონ დაფინანსება სხვადასხვა პროექტების განხორციელებით.

დასკვნები და წინადადებები

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული თეორიული და პრაქტიკული კვლევის საფუძველზე შესაძლებელია კონკრეტული ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ საკვანძო საკითხებზე.

1. გლობალური ბიზნესის ტრანსნაციონალიზაციის არსებობის ერთ-ერთი საფუძველი რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე მისი საქმიანობის ინსტიტუციონალიზაციაა, რაც ბუნებრივია იწვევს ადგილობრივ რეალობასთან მის დაპირისპირებას, რაც ვლინდება სხვადასხვა ინტერესთა კონფლიქტებში, ეს კი მოითხოვს ამ რეალობაზე მორგებას. ამ ფაქტორმა კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ისეთი ფენომენის ფორმირებაში როგორც არის ბიზნესის სოციალური გარემო და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა.

2. ნაჩვენებია, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში - საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ბიზნესის განვითარების ტენდენციებისა და არსებული მდგომარეობის ოპტიმალური შეფასებისთვის შეიძლება გამოყენებული იქნას შემდეგი ინდექსები: ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, კორუფციის აღქმის ინდექსი, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, ბიზნესის კეთების ინდექსი, ხოლო აღნიშნული საერთაშორისო სარეიტინგო მონაცემებსა და ეკონომიკური მაჩვენებლების შორის (პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და სავაჭრო ბრუნვა) კავშირის დადგენით, შესაძლებელია ნაწილობრივ აისახოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ტრანსნაციონალიზაციის ჩამოყალიბების და ბიზნესის განვითარებაში ტკნ-ების როლი.

3. გამოვლინდა, რომ 1. საქართველო „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“-ს მიხედვით 2010-2019 წლებში მიეკუთვნებოდა „უმეტესად თავისუფალი“ ქვეყნების ჯგუფს, აზერბაიჯანი „ზომიერად თავისუფალი“ ქვეყნების ჯგუფს, ხოლო სომხეთმა მხოლოდ ერთხელ ბოლო 10 წლის განმავლობაში დააფიქსირა უმაღლესი ქულა (70,3 ქულა) და „ზომიერად თავისუფალი“ ქვეყნების ჯგუფიდან გადაინაცვლა „უმეტესად თავისუფალი“ ქვეყნების ჯგუფში. 2. საქართველო ლიდერია „კორუფციის აღქმის

ინდექსი”-ს მიხედვითაც, მას მოჰყვება სომხეთი და შემდგომ აზერბაიჯანი. საკვლევი პერიოდის (2010-2019წწ) მიხედვით საქართველო ნაკლებად კორუმპირებულ ქვეყნების რიგშია, ხოლო სომხეთი და აზერბაიჯანი მეტად კორუმპირებულ ქვეყნების, 3. „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი”-ს მიხედვით აზერბაიჯანი ლიდერობს, მას მოჰყვებოდა საქართველო და შემდეგ სომხეთი, ხოლო 4. „ბიზნესის კეთების” ინდექსის მიხედვით ლიდერია საქართველო, შემდეგ სომხეთი და აზერბაიჯანი. აღნიშნულ საერთაშორისო რეიტინგებში დაკავებული პოზიციები წარმოდგენას ქმნის ქვეყანაში არსებულ ლიბერალური საბაზრო პოლიტიკაზე, რაც ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

4. გამოვლინდა, რომ არცერთ ინდექსის მიხედვით სომხეთს არ ქონია ლიდერი პოზიცია, რაც მიუთითებს, რომ მას გაცილებით მეტი აქვს სამუშაო, რათა შეძლოს უკეთესი პოზიციების დაკავება და გაიუმჯობესოს საინვესტიციო გარემო. ამის მიზეზი ნაწილობრივ რუსული სახელმწიფო კომპანიების მნიშვნელოვნად დიდი გავლენაა სომხეთის ეკონომიკის სტრატეგიულ დარგებში. მსგავსი მიდგომით სომხეთი რუსეთზე დამოკიდებული ხდება, რაც შემდგომში კიდევ უფრო შეაფერხებს სხვა ტნკ-ების ქვეყანაში შესვლას და ამით უზრუნველყოფს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას.

5. გამოვლინდა, რომ ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაში, გარდა ტრანსნაციონალიზაციის და ტნკ-ების როლისა, მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსების გავლენაც, ამას ისიც, ადასტურებს, რომ აზერბაიჯანი საერთაშორისო რეიტინგებში მონაცემების გაუარესების მიუხედავად, მაინც ინარჩუნებს უცხოური ნაკადების შემოდინებისა და საგარეო სავაჭრო სალდოს დადებით ტენდენციას.

6. დასაბუთებულია, რომ საქართველოსა და სომხეთს აქვს შედარებით ძლიერი დამოკიდებულება საერთაშორისო რეიტინგებში მოწინავე პოზიციებსა და პირდაპირი უცხოურ ნაკადებს შორის, ვიდრე აზერბაიჯანს. ამასთან ერთად, გამოვლინდა, რომ საქართველოსა და სომხეთში 10 წლის საერთაშორისო სარეიტინგო მონაცემების და ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილების დინამიკა ძირითადად ერთიდაიგივე მიმართულებით მოძრაობდა.

7. დადასტურდა, რომ საქართველო უფრო მეტად არის დამოკიდებული მოწინავე პოზიციებით ეკონომიკური მაჩვენებლების დადებითი ტენდენციების შენარჩუნებაზე, ვიდრე სომხეთი. კერძოდ, სომხეთს 10 შემთხვევიდან (10 წლის სტატისტიკა), მინიმუმ 2 და საქართველოს მინიმუმ 3 სარეიტინგო მონაცემში ჭირდება გაუმჯობესებული პოზიცია, რათა ერთ-ერთ ეკონომიკურ მაჩვენებელმა მაინც შეუნარჩუნოს დადებითი ტენდენცია.

8. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში - საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ტრანსნაციონალიზაციის ჩამოყალიბებაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას მარტივი წრფივი რეგრესიის მეთოდი.

9. რეგრესიის მეთოდზე დაყრდნობით დამტკიცდა, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება, უფრო მეტად განაპირობებს ტრანსნაციონალიზმის სიდიდეს, ვიდრე საერთაშორისო რეიტინგებში მოწინავე პოზიციები. ამას ადასტურებს საერთაშორისო რეიტინგებში რეგიონის ქვეყნებში აზერბაიჯანის მკვეთრად ჩამორჩენილი პოზიციები შედარებით უფრო მაღალი პუი-ს ნაკადები.

10. რეგრესიის მეთოდზე დაყრდნობით ასევე გამოვლინდა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება, ყოველთვის არ გულისხმობს მიმზიდველ საინვესტიციო გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებს. არამედ, სწორი ეკონომიკური პოლიტიკასთან ერთად, ინვესტიციების შემოდინებას რესურსების არსებობაც განაპირობებს. კერძოდ, აზერბაიჯანის საერთაშორისო რეიტინგებში გაუარესებული პოზიციებისა, ეკონომიკური მაჩვენებლები მაინც დადებითი ტენდენციის მატარებელია, რაც განპირობებულია ბუნებრივი რესურსების არსებობით.

11. რეგრესიის მეთოდმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოსა და სომხეთში, აზერბაიჯანთან შედარებით ნაკლები პუი-ს ნაკადების შემოდინება მიუხედავად გაუმჯობესებული საერთაშორისო რეიტინგებისა, ნაწილობრივ მწირი ბუნებრივი რესურსები განაპირობებს, სწორედ ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, საქართველოსა და სომხეთის ტრანსნაციონალიზაცია განხორციელდეს დანიინგის ეკლექტიკური თეორიის კვალდაკვალ. ამდენად, დანიინგის თეორია ამტკიცებს ქვეყანაში ინვესტიციების ზრდის დამოკიდებულებას სამ უპირატესობაზე

(მფლობელობა, ადგილმდებარეობა, ინტერნაციონალიზაცია), აღნიშნული თეორიის ქვეყნებზე მისადაგებით მიგვითითებს უცხოური ინვესტიციების შემოდინების ერთ-ერთ გზაზე, რომელიც ადგილმდებარეობის უპირატესობის გამოყენებით სატრანზიტო ფუნქციის გამოყენებას გულისხმობს.

12. აუცილებელია, რეგიონის ქვეყნებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს გეოგრაფიული უპირატესობა. რეგიონმა უნდა შეასრულოს დერეფნის როლი ევროპასა და აზიას შორის, რაც კიდევ უფრო გაზრდის ტნკ-ების როლს ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით.

13. ვინაიდან ტრანსნაციონალიზაციის სიდიდეს პუი-ს ნაკადების შემოდინებაც განაპირობებს, ამიტომ აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან მუდმივი მონიტორინგი საინვესტიციო გარემოს მდგომარეობაზე, მის შეფასებაზე რამდენად მუშაობს ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ პუი-ს ნაკადების შემოდინებას, ტნკ-ების საქმიანობას ანუ ეკონომიკური ზრდის წახალისებას, რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვასა და ადამიანური რესურსების ზრდა-განვითარებას.

14. აუცილებელია, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალური გარემოს შეფასებისთვის მშპ-ს მაჩვენებლებთან ერთად, სოციალური პროექტებით განხორციელებით მიღწეული წარმატების გათვალისწინებაც. ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანის მშპ საქართველოს მშპ 2-ჯერ მაინც აღემატება და ამასთან აზერბაიჯანის სოციალური პროგრესის ქულები ცალკეულ დარგში გაცილებით ჩამოუვარდება საქართველოს ქულებს, მიუთითებს იმაზე, რომ ცვლილების დინამიკა მშპ ერთ სულ მოსახლეზე და სოციალური პროგრესის ინდექსს შორის, ყოველთვის ერთიდაიგივე მიმართულებით არ მოძრაობს.

15. შესწავლილია სოციალური გარემო რეგიონის ქვეყნებში, კერძოდ, განხორციელდა რეგიონის ცალკეულ ქვეყნებში კომპანიების მიერ განხორციელებული სოციალური აქტივობების მისადაგება საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მდგრადი განვითარების პრინციპებთან. რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ პრინციპების დაცვასთან

დაკავშირებული დამოკიდებულება რეგიონის ქვეყნებში კომპანიების მიერ თითქმის ერთნაირია.

16. სოციალური გარემო ასევე შესწავლილია, „სოციალური პროგრესის ინდექსი“-ს მიხედვით, სადაც სოციალური განვითარების სფეროში რეგიონის ცალკეული ქვეყნების მიღწევები (50 მაჩვენებლის გათვალისწინებით), თითქმის ერთნაირია. რეიტინგის მიხედვით რეგიონის ქვეყნებში სოციალური გარემოს დონე განისაზღვრა „საშუალო დონით“, რაც მიუთითებს ტრანსნაციონალიზაციის კვალდაკვალ შეიცვალოს ეროვნული ეკონომიკების ბიზნესის სოციალური გარემო.

17. გამოვლინდა (ჩვენს შემთხვევაში, ვებ-გვერდებით შესწავლილ კომპანიების მიერ განხორციელებული პასუხისმგებლიანი პროექტების პარალელურად) რეგიონში კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტული შიდა და გარე მიმართულებები

18. აუცილებელია შეიქმნას ცენტრი/სააგენტო, რომელიც იქნება ერთგვარი საინფორმაციო ბანაკი კომპანიების ცალკეულ საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეკრების და ანალიზისა. მსგავსი ტიპის სააგენტოს/ცენტრის ფარგლებში არსებული ინფორმაცია ასევე ხელს შეუწყობს ქვეყნის, რეგიონის შესაძლებლობების წარმოჩენას და პრიორიტეტების შემუშავებას.

19. მსოფლიოში ეროვნული ეკონომიკების ტრანსნაციონალიზაციამ განაპირობა ტრანსნაციონალური კორპორაციების სოციალურ პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება, მდგრადი განვითარების საკითხების წინ წამოწევით, საქმიანობის მასშტაბების გაფართოებითა და ახალი საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებით. იმ ფაქტს, რომ სოციალური პასუხისმგებლობის პრაქტიკა უფრო მეტადაა გამოხატული იყო მსხვილ ტრანსნაციონალურ კორპორაციებში, ვიდრე მცირე და საშუალო ბიზნესში, იმითაც აიხსნება, რომ ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა გრძელვადიანი სტრატეგიების კვალდაკვალ, უფრო ადრე გააცნობიერეს სოციალური პასუხისმგებლობის დადებითი შედეგები ბიზნესის წარმატებისთვის და უფრო მარტივად შეძლეს შესაბამისი რესურსების მობილიზება საკუთარ საქმიანობაში.

20. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ტრანსნაციონალიზაციის პროცესისა და მასთან დაკავშირებული საკითხების ტენდენციების ცვლილება კორონავირუსის მსოფლიო

პანდემიის დროს. თუ ადრე ქვეყნებში (განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, როგორცაა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) სოციალური და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაში ტნკ-ების საქმიანობის როლი მნიშვნელოვნად დიდი იყო, კორონავირუსის მსოფლიო პანდემიამ ნაწილობრივ შეცვალა გარემოებები. კერძოდ, პანდემია გახდა ერთგვარი ბიძგი ადგილობრივ კომპანიებს ნებისთნე თუ უნებლიედ დაენერგათ უპრეცედენტო სოციალური პრაქტიკა. ადგილობრივი კომპანიების მიერ პანდემიის დროს უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეებსა და მოწყვლად ჯგუფებზე ზრუნვამ კიდევ უფრო განამტკიცა სოციალური პასუხისმგებლობის კულტურა ადგილობრივ კომპანიებში და ხელი შეუწყო მოქალაქეების კეთილგანწყობის მოპოვებას, რაც შემდგომში შეიძლება გახდეს ბრენდის მიმართ ლოიალურობას და კონკურენტულ უპირატესობის საწინდარი.

21. აუცილებელია საკანონმდებლო სისტემის სრულყოფა, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული უცხოური კომპანიების შემოსვლასა და საქმიანობასთან. უნდა მოხდეს ბიუროკრატიული ბარიერების აღმოფხვრა და მოქნილი საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა.

22. აუცილებელია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ შემუშავდეს საკმარისი ბერკეტი, რომლითაც უზრუნველყოფს კანონმდებლობით განსაზღვრულ მინიმალურ სოციალურ და გარემოსდაცვითი სტანდარტების შესრულებას. რაც შემდგომში, რეგიონის ქვეყნებში არსებულ კომპანიებს უბიძგებს ნებაყოფლობით საწყისებიდან უფრო მაღალ სტანდარტებზე გადასვლას და მოახდენს დადებით ზეგავლენას ქვეყნების საერთაშორისო სტრუქტურებში ინტეგრირებაზე.

23. გამოვლინდა, რომ რეგიონის ქვეყნებში საზოგადოების ცნობიერების დონე და ინფორმირებულობის ხარისხი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ არცთუ ისე მაღალია. ასევე, შეინიშნება კორონავირუსის მსოფლიო პანდემიის გავლენის შედეგად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმირებულობის დონის ზრდაც.

24. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მთავრობის დაბალ დონეზე ჩართულობა კსკ-ის პროგრამების განვითარების უზრუნველყოფის მხრივ.

რეგიონის ქვეყნების არცერთ ოფიციალურ სამთავრობო დოკუმენტში არ არსებობს მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს კსპ-ის ფართო დანერგვას ქვეყნების კომპანიებში. ამას ადასტურებს ისეთი (იძულებით) სოციალური პასუხისმგებლობის გვიან დანერგვა, როგორცაა კომპანიის ვალდებულება გადაიხადონ საპენსიო სადაზღვევო ანარიცხები შესაბამის ფონდში, წლიური ანგარიშების წარდგენის ვალდებულების რეფორმა, რომელიც კიდევ უფრო გამჭვირვალეს გახდის კომპანიების საქმიანობას.

25. აუცილებელია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში კომპანიებმა გაითავისოს სოციალური პასუხისმგებლობის მიდგომების გამოყენების დადებითი ასპექტები, როგორცაა: სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის მოგვარება, გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა, ნებაყოფლობით საწყისებიდან უფრო მაღალი სტანდარტების დანერგვა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და სხვა, ვინაიდან აღნიშნული შეიძლება გახდეს საერთაშორისო ურთიერთობის გაღრმავების საწინდარი. კერძოდ, ქვეყნები ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციისა და ინიციატივის წევრია, რომელთა მნიშვნელოვან პრიორიტეტს სწორედ კსპ წარმოადგენს. ასევე, რეგიონის ქვეყნები ასევე ინდივიდუალურად მიერთებული არიან სხვა მრავალ საერთაშორისო შეთანხმებებთან, რომლებიც საერთაშორისო დონეზე არეგულირებენ კსპ-ის ამა თუ იმ კომპონენტს. ამდენად, რეგიონის ქვეყნებში კსპ-ის განვითარება ხელს შეუწყობს მსოფლიო დონეზე რეგიონის იმიჯის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების უფრო ეფექტიანად განხორციელებას.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულენოვანი:

1. **აბრალავა, 2003** : აბრალავა ა., გლობალური ეკონომიკის თანამედროვე ტენდენციები, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“. N1. 2003
2. **ავდალიანი, 2008:3** : ავდალიანი ემილ, ქართული მეწარმეობის ისტორიიდან (XIX-XX სს. მიჯნა), ჭიათურის მანგანუმი – ქართული „შავიქვის“ ისტორია; თბილისი. 3. გვ. 28-35, 2008წ.
3. **გასვიანი, 2019** : გასვიანი ბონდო, სადისერტაციო ნაშრომი „საერთაშორისო ბიზნესის სამეწარმეო სტრუქტურების განვითარების ძირითადი მიმართულებები გლობალიზაციის პირობებში, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2019წ.
4. **გიგაური, 2012** : გიგაური იზა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საფუძვლები. თბილისი, 2012წ.
5. **გიგაური, 2012** : გიგაური, იზა., მარკეტინგის სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტები საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე, დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, გვ.102, 2012წ.
6. **გოცირიძე, 2018** : გოცირიძე მედეა, კორპორაციული მენეჯმენტი, კორპორაციული სტრუქტურების ორგანიზაციული ფორმები, თბილისი, გვ.26, 2018წ.
7. **ევროპული ინიციატივა..., 2012:** საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი, შუალედური ანგარიში. 1. გვ. 7-16, 2012წ.
8. **ეროვნული ბანკი..., 2006** : . საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგია 2006-2009 წლებისთვის, საბანკო სისტემის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი პირობები. 2. გვ.14-23, 2006წ.
9. **ერქომაიშვილი, 2016** : ერქომაიშვილი გულნაზი, „საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები“, თბილისი, გვ. 34, 2016წ.

10. **მანველიძე, 2009:1.2** : მანველიძე ირაკლი, ტრანსნაციონალური კომპანიები ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში, პრობლემები, ტენდენციები, პერსპექტივები, 1.2. გვ. 21-27, 2009წ.

